გაზეთების გაქრობაში
გამავრცელებელი
თელავის გამგეობას ადანაშაულებს
A3

მეგობრობა ირანთანაც შეიძლება
ისე, რომ დასავლეთი
არ გაღიზიანდეს
A4

ხმაური
რკინიგზის ირგვლივ
A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 27 აპრილი, 2005 წელი. №95 (955) — ფასი 50 თეთრი

ზღვრული ვადა
2008 წლის 1 იანვარი

როდის უნდა დატოვოს საქართველოს ტერიტორია უკანასკნელმა რუსმა ჯარისკაცმა? გახდება თუ არა ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრი საქართველოსთვის მორიგი სამხედრო საფრთხე? რა თანხა დაუჯდება საქართველოს რუსული ბაზებისგან თავის დახსნა და როგორ ემზადება საქართველო რუსი ჯარისკაცის ორასწლიანი სტუმრობის დასასრულისთვის?

სოფო ბუკია

საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვში გამართული შეხვედრის რეალური შედეგი, სავარაუდოდ, პარასკევს, 29 აპრილს იქნება ცნობილი - მაშინ, როდესაც რუსული მხარე ბაზებთან დაკავშირებით ხელმოსაწერი დოკუმენტის საკუთარ ვერსიას ქართულ მხარეს გამოუგზავნის.

ქართველი ექსპერტების აზრით, ყველაზე დიდი "ეშმაკი", რომელიც ამ დოკუმენტში შეიძლება იმალებოდეს, იქნება საქართველოდან ბაზების გაყვანის პროცესის საბოლოოდ დასრულების თარიღი. ქართულმა მხარემ არაერთხელ აღნიშნა, რომ რუსულმა ბაზებმა საქართველო 2008 წლის პირველი იანვრისთვის უნდა დატოვონ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, "ეს თარიღი თითქმის შეთანხმებულია რუსულ მხარესთან." თუმცა, ალბათ, ყველასათვის ცხადია, რა წონა აქვს სიტყვას - "თითქმის" პოლიტიკაში და, მით უფრო, რუსულში...

ბაზების საკითხს "თითქმის" გადაწყვეტილად მიიჩნევს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. **"ჩვენ ვუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანა წელსვე დაიწყოს,"** - აღნიშნა ივანოვმა, რომელიც აქამდე დაუღალავად იმეორებდა, რომ **"რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის პროცედურას მხოლოდ 2008 წელს დაიწყებს."**

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოში სტიქია მძვინვარებს

ნინო ბერელიძე

რამდენიმე დღეა, რაჭაში კოკისპირულად წვიმს, გაზაფხულის წყალდიდობამ აქამდე გაუგონარი ზარალი და ზიანი, განსაკუთრებით, მთიან რაჭას მიაყენა. ადიდებულმა რიონმა სახელმწიფო გზის რამდენიმე კილომეტრი წალეკა, უსახლკაროდ დატოვა ათეულობით ოჯახი, იმსხვერპლა დიდი რაოდენობით მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი. წვიმის გაგრძელების შემთხვევაში, გამწვავდება კატასტროფული მდგომარეობა, რომლის გამოსწორებას წლები დასჭირდება.

რამდენიმე დღეა, უგზოობის გამო ონის რაიონს მოწყვეტილია თითქმის ყველა სოფელი, მათ შორის, განადგურებულია ღები-ჭიორას 12 კილომეტრიანი ცენტრალური და ადგილობრივი გზები, ამ სოფლებში მწყობრიდან გამოვიდა რაიონთან დამაკავშირებელი ხიდები, ასევე საფრთხის წინაშეა ონის რაიონის ცენტრალური ხიდიც, რომელიც წყლის შემოტევას, ჯერჯერობით, უძლებს, ხვალ კი შეიძლება, ჩამოიქცეს. სტიქიამ გაანადგურა სახნავ-სათესი მიწებიც, მათ შორის, 30 ჰექტარი დათესილი სიმინდის ყანა.

გაგრძელება A2 გვერდზე

სახლები საცხოვრებლად სახიფათო ხდება.

რჩეული უმცირესობა -
ვისთვისაც გადაწყობა ღირს

რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი ამბობს, უნდა დაეთანხმო - ამ პროფესიას თაფლი სცხიაო. თუმცა, ეს თაფლი აქამდე საუკეთესო ალპური ხარისხისა არ ყოფილა. როდესაც ეს საბჭოთა დარგი იყო, უნივერსიტეტში, მომავალ ჟურნალისტებს იდეოლოგიის მუშაკებად ზრდიდნენ. ის იდეოლოგია წარსულს 14 წლის წინ კი ჩაბარდა, მაგრამ სანაცვლო ღირებულებები არ შექმნილა. ჰოდა, გაივსო მედიები ნახევარფაბრიკატი სპეციალისტებით. ვინც თვითგადარჩენა მოახერხა, მაღალი პროფესიული სტანდარტი შეინარჩუნა, ვინც არა - იცავს საზოგადოების ინტერესებს ისე, რომ საკუთარი დამოუკიდებლობის შელახვისას ხმის ამოღებას ერიდება. ვინ და რა რესურსით მოემსახურება დამოუკიდებელ ქართულ მედიას მომავალში - ამ ხალხის ნაწილზე, პასუხისმგებელია რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტი, თსუ კურსდამთავრებული და ამავე სასწავლებლის ლექტორი 13 წლიანი სტაჟით, დავით პაიჭაძე, რომელიც თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანად 11 მარტს წარადგინეს.

გაგრძელება B1 გვერდზე

ამბები

პრემიერ-მინისტრმა უსახლკაროდ დარჩენილებს დახმარება აღუთქვა

A2

უცხოეთი

ამერიკული ზეწოლა ერაყის ახალი მთავრობის კონტურებს სახავს

A5

იურიდიული ოფისი ,,გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

	27/4	28/4	29/4
თბილისი	20	24	27
ქუთაისი	23	17	23
ბათუმი	24	14	19
სოხუმი	23	16	21
ფოთი	24	16	22
თელავი	18	24	27
ზუგდიდი	25	18	23
გორი	16	14	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8200
ევრო	2.3618
გირვანქა სტერლ.	3.4695
რუბლი	0.0656

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
საზოგადოება	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
ეკონომიკა	A6	ავტომობილი	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

დიდი გამარჯვება თუ დროებითი სატყუარა?

კოტე გაბაშვილს პასუხი ჯერ არა აქვს

გიორგი ასანიშვილი

საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით, სალომე ზურაბიშვილსა და სერგეი ლავროვს შორის 25 აპრილს მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებას ქართველი პოლიტიკოსები სიფრთხილით უდგებიან.

"თუ შეთანხმება მართლა ისე გაფორმდა, როგორც ახლა საუბრობენ, მაშინ ეს საქართველოს დიდი გამარჯვებაა. მაგრამ თუ შეთანხმების ცალკეული დეტალები მის განხორციელებას ხელს შეუშლის, მაშინ იგი მხოლოდ დროებითი სატყუარა იქნება," - აცხადებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.

მისივე თქმით, ანტიტერორისტული ცენტრების შექმნაზე საუბარი, რასაც ასე დაჟინებით ითხოვს რუსული მხარე, მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაიწყოს, როდესაც რუსული ბაზები საბოლოოდ დატოვებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას. ამასთან, პარლამენტარი გაზვიადებულად მიიჩნევს ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს, შესაძლოა, ანტიტერორისტული ცენტრები, შენიღბული ფორმით, სამხედრო ბაზებს ჩაენაცვლოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სახელმწიფო სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებს არ მიატოვებს

გუშინ, გვიან საღამოს, საქართველოს პრეზიდენტი სტიქიით დაზარალებული რეგიონებიდან დაბრუნებულ პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა შექმნილი მდგომარეობის შესახებ ანგარიში მოისმინა და პრემიერს, პირველ რიგში, დანგრეული კომუნიკაციების აღდგენა დაავალა.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას სახელმწიფო მატერიალურ კომპენსაციას მისცემს. **"ჩვენ დღეს ამის საშუალება გვაქვს. ხალხი უნდა იყოს მშვიდად. ყველამ ვიფიქროთ იმაზე, რომ მსხვერპლი მომავალშიც თავიდან ავიცილოთ. სახელმწიფო მოქალაქეებს არ მიატოვებს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც კი ამის საშუალება გაჩნდება, ყველაზე მეტად დაზარალებულ მთიან რაიონებს ეწვევიან და მდგომარეობას ადგილზე შეისწავლიან.

24 საათი

აურზაური გრძელდება

ენათმეცნიერების ინსტიტუტი საკუთარი სტატუსის დაცვას ცდილობს

ირმა კახურაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში არსებული ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები აკადემიის პრეზიდიუმის მიერ წარდგენილი ოპტიმიზაციის პროექტის წინააღმდეგნი არიან. მართალია, აქციებით ჯერჯერობით არავინ იმუქრება, მაგრამ აკადემიის პრეზიდენტისა და პრეზიდიუმის სახელზე საპროტესტო წერილები უკვე დაიწერა.

გაგრძელება A2 გვერდზე

თამარ ხორბალაძის სვეტი

ბზარი

ქვეყანაში, სადაც ბიზნესმენებს შინაგან საქმეთა მინისტრი უფრო დიდი სიხშირით ხვდება, ვიდრე ფინანსთა ან ეკონომიკის მინისტრი, რაღაც აშკარად ვერ არის წესრიგში.

სხვათა შორის, "წესრიგის დამყარება" ქვეყანაში ყველას თავისებურად ესმის - თუ ევროპისთვის, საითკენაც საქართველო, თითქოსდა, მიილტვის, წესრიგი კანონის უზენაესობაა, საქართველოში ჰგონიათ, რომ მესაკუთრის "განკულაკება" დემოკრატიული წესრიგის ისეთივე ატრიბუტია, როგორც დანიშნული მერი.

დემოკრატიული დროშით ქვეყნის სათავეში მოსულ ხელისუფლებას ისიც ჰგონია, რომ თუ ბიზნესმენს სახელმწიფოსთან საგადასახადო დავის გარჩევას აუკრძალავ; ან თუ "დაბეჯითებით ურჩევ" საკუთარი ბიზნესის დასაცავად მაინცდამაინც სახელმწიფო დაცვის სამსახურის წარმომადგენლის აყვანას და არა - კერძო დაცვის სამსახურის; ან თუ ეტყვი, რომ ქვეყანაში რეკეტი აღარ არის და ბიზნესის "ერთადერთი მფარველი შინაგან საქმეთა და უშიშროების გაერთიანებული უწყებაა", ეს "ევროპულ სტანდარტებთან გვაახლოებს", "ქვეყანაში სტაბილურობას უწყობს ხელს" და "დემოკრატიულ სტანდარტებს ამკვიდრებს."

ასეთი "დემოკრატიის" და "სიტყვის თავისუფლების" შესანიშნავი მაგალითია დღევანდელი მედია და თავად დღევანდელი ბიზნესი, რომელიც კერძო არბიტრაჟის გაუქმებისას ხელებს უმწეოდ "ასავსავებს"; ქვეყნის უმთავრესი ძალოვანისგან ჭკუის დარიგებას ჩუმად ისმენს; განსაკუთრებული პროტესტის ნიშნად ან სხდომას ადრიანად ტოვებს (როგორც, მაგალითად, გოგი თოფაძე); ან დუმს და შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ "მეტისმეტად კმაყოფილია."

ამ "კმაყოფილების" უზრუნველსაყოფად საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ პოსტრევოლუციურ პერიოდში საკმაოდ აქტიურად იმუშავა: ვინც "დასაბერტყი" იყო, "დაბერტყა", ზოგი ღიად, ზოგი - ნაკლებად ღიად (გადახდილ თანხებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგალითად, სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებული პრივატიზებული საწარმოების საკონტროლო პაკეტებიც კმარა - ჰესებით დაწყებული და უკვე მეორედ გაყიდული ელექტროვაგონშემკეთებლით და სხვებით გაგრძელებული), ზოგი, როცა საჭირო გახდა, ციხეში მაინც ჩასვა (მაგალითად, მერაბ ჟორდანია), ზოგს გაქცევა აკმარა (ვენაში მყოფ ლევან პირველსაც გავიხსენებთ), ზოგი, უბრალოდ, შეაშინა - ჰქონდა მასალები და, აამოქმედა... მოკლედ, ვერ დაუკარგავ და, "კარგად იმუშავა."

ამ პროცესში კანონის დაცვაზე რა მოგახსენოთ და, ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა რომ წარმოების მასშტაბების გაზრდის გარეშე მოხერხდა, ისეთი ფაქტია, ყველაზე რადიკალური მოწინააღმდეგეც კი ვერ უარყოფს.

ამ ბიზნესს რომ საკმარისი ჰქონდა მოსადავებელი, ესეც ფაქტია და ამ არგუმენტსაც ხელისუფლებას ვერ დაუკარგავ.

თითქოს იმასაც ვერ დაუკარგავ, ფინანსური ამნისტია რომ მიიღო, თუმცა ამ ამნისტიას რეალურად ამოქმედებულს და წლის ბოლოს მის რეალურ შედეგს - ანუ "ძველი ტვირთისგან" და, შესაბამისად, სახელისუფლებო ზეწოლისგან გათავისუფლებულ ბიზნესს რომ ვიხილავთ, ხელისუფლებამ ქულებად შემდეგ უნდა ჩაიწეროს.

ბოლო დღეების განმავლობაში ქართული ბიზნესი უფრო შეშინებულს ჰგავს, ვიდრე "ტვირთმოხსნილს". მოკლედ, "კმაყოფილია", როგორც მოგახსენეთ.

შეპასუხებას დიდად ვერ ბედავს - "კონსტრუქციული გახლავთ", როგორც თავად უყვართ ხოლმე თქმა. "წინასწარი შეთანხმებების დარღვევაზე" რბილად და შეპარვით საუბრობს. შედეგად, რაც უნდა - მაგალითად, კერძო არბიტრაჟი, ვერ გააქვს...

ერთადერთი, ვინც ღიად ამბობს, რომ ბოლო პერიოდში ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ბზარი გაჩნდა და გაღრმავდა, ბადრი პატარკაციშვილია - დიდი ფული, დიდი ძალაუფლება და რუსეთის ძალოვანების მხრიდან მის მიმართ შერბილებული პოზიციები მას ამის "სითამამეს" აძლევს.

ბზარი კი რეალურად არსებობს... ქვეყანაში, სადაც ბიზნესმენებს შინაგან საქმეთა მინისტრი უფრო დიდი სიხშირით ხვდება, ვიდრე ფინანსთა ან ეკონომიკის მინისტრი, რაღაც აშკარად ვერ არის წესრიგში.

ასეთი შეხვედრების გახშირება, როგორც მინიმუმ, იმას ადასტურებს, რომ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ბიზნესს დღევანდელ ხელისუფლებაში აღარ ეგულება თავისი ინტერესების მთავარი ლობისტი და დასაყრდენი და ასეთ ფიგურას ღიად, ყველგან და საკმაოდ აქტიურად ეძებს. ბიზნესის წესები კი მარტივია: როცა არსებობს "მოთხოვნა", არსებობს - "მიწოდებაც"...

აურზაური გრძელდება

საქმე ისაა, რომ 1941 წლიდან მოქმედ ენათმეცნიერების ინსტიტუტს, რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში 3500 ნაშრომზე მეტი აქვს გამოცემული, ე.წ მოდურ ცნებად ქცეული "ოპტიმიზაცია", უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი შტატების შემცირება ემუქრება. ამჟამინდელი 115 საშტატო ერთეული მინიმუმამდე შემცირდება. თუმცა, ჯერჯერობით ამაზე არავინ საუბრობს, რადგან ინსტიტუტს სხვა, გაცილებით სერიოზული პრობლემები აქვს მოსაგვარებელი.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ შედგენილი პროექტის შესახებ თანამშრომლებთან საუბარი ინსტიტუტის დირექტორმა გუჩა კვარაცხელიამ თავად მოისურვა. არც ისე დიდი ხნის წინ, ბიუჯეტის ეკონომიის მიზნით, მთავრობამ მეცნიერებათა აკადემიას მის დაქვემდებარებაში არსებული ინსტიტუტების ოპტიმიზაციის პროექტის შედგენა სთხოვა. მის შექმნაზე ორმა ჯგუფმა იმუშავა. პირველის ავტორი, ცნობილი მეცნიერი ვანო კილურაძე იყო. მისი პროექტის თანახმად, ყველა კვლევითი ინსტიტუტი, რომელთა დარგობრივი საქმიანობაც მეტ-ნაკლებად ემთხვეოდა ან ერთმანეთთან მიახლოებული იყო, გაერთიანდებოდა. კილურაძის პროექტს საზოგადოების არც ერთი ნაწილი არ გაულიზიანებია და მისმა განხილვამ მშვიდ გარემოში ჩაიარა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები აცხადებენ, რომ მეორე პროექტი, პრეზიდიუმის წევრების ერთობლივი ნაშრომი, სასწრაფო წესითა და ყოველგვარი ლოგიკის გარეშე შედგა.

"პრეზიდიუმის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ჩვენი ინსტიტუტი თავის ფუნქციას დაკარგავს. ახალი პროექტის მიხედვით, სამი ინსტიტუტი - აღმოსავლეთმცოდნეობის, ქართული ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ცენტრებად გადაიქცევა. ეს ცენტრები კი ქართული ენისა და ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის სახელწოდების ქვეშ გაერთიანდება. აღსანიშნავია, რომ ქართული ენა და ლიტერატურა სხვადასხვა რამაა. მათი ერთი ნიშნით გაერთიანება აბსურდია. გამოდის, რომ ამ პროექტზე არაპროფესიონალებმა იმუშავეს," - აცხადებს გუჩა კვარაცხელია. მისი თქმით, უფრო მართებული იქნებოდა, თუ ინსტიტუტებსა და მათ თანამშრომლებს ატესტაცია ჩაუტარდებოდათ და, შესაბამისად, რეფორმაც მის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდებოდა.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი იმედოვნებს, რომ აკადემიის პრეზიდიუმის მიერ წარდგენილი პროექტი მთავრობის დასტურის გარეშე დარჩება. **"ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანია ამბობდა, რომ ასეთი მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტები მთავრობისგან მეტად ფინანსირებადი უნდა იყვნენ. ასეთი კვლევითი ინსტიტუტით ხომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს?1 სახელმწიფო ენაზე მეტი პრიორიტეტი რას და რომელ სფეროს შეიძლება ჰქონდეს?"** - კითხულობს ინსტიტუტის დირექტორი.

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგის შუქია აფრიდონიძის განცხადებით, ინსტიტუტის თანამშრომლები პრეზიდიუმის წევრებს უნდობლობას უცხადებენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეცნიერებათა აკადემიიდან გასვლას მოითხოვენ. სხვათა შორის, რუსული ენის თავისებურებებს ერთ მილიონამდე ენათმეცნიერი იკვლევს. საქართველოში დარჩენილ მეცნიერთა რაოდენობა კი ისედაც მცირეა, თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ენას რამდენიმე დიალექტიც აქვს. ასე რომ, ამ დარგის სპეციალისტებს საქმე არც ადრე დალევიათ და არც ახლა აკლიათ.

საქართველოში სტიქია მძვინვარებს

რაჭა განსაცდელშია

პირველი გვერდიდან

განსაკუთრებული ზარალი მიაყენა სტიქიამ სორის, ნაკიეთის, უწერისა და შარდომეთის მოსახლეობას. ადიდებულმა რიონმა ონის რაიონში თვრამეტი სახლი დაანგრია, სამოცდაათი ოჯახი კი საფრთხის წინაშე დგას, სოფელ ღარში ხუთი სახლი წაიღო მდინარემ, გომის, ღებისა და გლოლის რამდენიმე ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი ონის რაიონი. მთლიანად განადგურდა ჟიჟორეთის წყალსაცავი, არადა, სულ რამდენიმე თვეა, რაც წყლის მიწოდება აღუდგა რაიონს (ორი წლის წინათ მსგავსმა სტიქიამ ეს წყალსაცავი მთლიანად გაანადგურა).

რამდენიმე დღეა, ელექტროენერგია არ მიეწოდება მთელი რაიონის მოსახლეობას, წყალმა წაიღო ოთხი მაღალი ძაბვის გადამცემი ანძა და კიდევ ორი დააზიანა. მათ რეაბილიტაციას დიდი დრო დასჭირდება.

ონის რაიონის გამგებელი ვასო მეტრეველი: **"მსგავსი წყალდიდობა რაიონს არ ახსოვს და მინდა გითხრათ, რომ ასეთი ზარალი მოსახლეობას არასოდეს უნახავს. კალაპოტში წყლის დონემ თითქმის ორ მეტრამდე მოიმატა და ახლად გაკეთებული წყალსამაგრი ჯებირები მთლიანად წალეკა. განსაკუთრებული განსაცდელის წინაშე დგას ონის მოსახლეობა. ჯერ კიდევ გუშინ სოფლებთან კავშირი შესაძლებელი იყო, დღეს კი ესეც შეუძლებელი გახდა, ამიტომ არ ვიცით, იქ ამჟამად რა მდგომარეობაა. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სახელმწიფო გზა აღვადგინოთ. სასწრაფოდ დახმარება სჭირდება უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებსაც, რადგან ნაწილმა დაზიანებული სახლების დაშლა უკვე დაიწყო. ვცდილობთ, დღეს საღამოსთვის, რაიონის მოსახლეობას დენის მიწოდება აღვუდგინოთ. ვფიქრობ, ეს ჭიათურის რაიონიდან მოხერხდება, რადგან ამბროლაურის რაიონი თვითონ საგრძნობლად დაზიანდა და ის დენს ვერ მოგვაწვდის. ამჟამად ოთხი ტრაქტორი მუშაობს გზის გასახსნელად და, მადლობა ღმერთს, საწვავის მარაგი სამყოფი გაგვაჩნია. სოფლებშიც ცხენების საშუალებით ვახერხებთ მცირე საწვავის მიწოდებას. რაც შეგვიძლია, ვცდილობთ, მოსახლეობას სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი შევუმსუბუქოთ, ყველაფრის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, ალბათ, წლები დასჭირდება."**

დატბორილი ეზო-კარი.

წვიმების გამო, სოფელ შოუბნის თავზე გააქტიურდა მეწყერი. რამდენიმე ადგილზე უკვე გაჩნდა მიწის ნაპრალი. მეწყერის ჩამოწოლა გზას დაუკეტავს სოფელს, ხოლო მდინარეში ჩამოწოლილი მიწის უზარმაზარი მასა დააგუბებს მდინარე რიონს, რის გამოც საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი დაინგრევა. ეს ის დიდი საფრთხეა, რომელიც ისედაც შეჭირვებულ რაჭის მოსახლეობას კატასტროფის წინაშე აყენებს.

მტკვარი უფლისციხეს ანგრევს

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გუშინ გორს გარემოს დაცვის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ესტუმრა. მინისტრმა წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ისტორიული ქალაქი უფლისციხე მოინახულა.

ადიდებულმა მტკვარმა ჩამორეცხა ციხესთან მისასვლელი გზა და დატბორა გვირაბი, რომელითაც ექსკურსანტები უფლისციხის მნიშვნელოვან კომპლექსებს უკავშირდებოდნენ. წყალმა უნიკალური ძეგლის კედლები დაანგრია.

"არაფრის თქმა არ შეიძლება. დაველოდებით, დაიკლოს წყალმა, გავაკეთებთ ხარჯთაღრიცხვას და ჩავატარებთ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მოხდება ასევე ზარალის დათვლა და იმ ოჯახებს, რომელთა ნაკვეთებიც დაიტბორა, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ფინანსურად დაეხმარება," - განაცხადა პაპუაშვილმა.

ადიდებულმა მტკვარმა ზიანი მიაყენა სოფელ უფლისციხეს და მის შემოგარენს, სადაც აგარაკებია განთავსებული. დაიტბორა ხეხილის ნაკვეთები. მოსახლეობის აზრით, ხელისუფლებას კალაპოტის გამაგრებაზე დროულად რომ ეზრუნა, მსგავსი სიტუაცია არ შეიქმნებოდა.

გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი ამ პრობლემის მოგვარებას ვერ გასწვდება, რის გამოც ადგილობრივმა ხელისუფლებამ პრემიერ-მინისტრის სახელზე მიმართვა შეადგინა და დახმარებას ცენტრალური ბიუჯეტიდან ელის. დიდი წვიმების შედეგად ადიდდა მდინარე ლიახვიც. სოფელ შერთულთან და ძევერასთან მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდა და ნაკვეთები დატბორა. მდინარე ლიახვის ადიდებამ მოარღვია საავტომობილო გზაც. ადგილობრივი ხელისუფლება 20 მეტრის მანძილზე მდინარის კალაპოტს რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით ამაგრებს. არ არის გამორიცხული, ხშირი წვიმების შემდეგ მდინარემ კალაპოტი შეიცვალოს, რაც საფრთხეს სოფელ კარალეთს და გორის ერთ-ერთ დასახლებას, წმინდაწყალს შეუქმნის.

ჯებირები. ადიდებულმა მდინარემ დატბორა შერთულისა და ძევერის ტერიტორია. თუ ხვალ და ზეგ კავკასიონზე ჭარბი ნალექი მოვიდა, არ არის გამორიცხული, სხვა სოფლებიც დაიტბოროს. ჯერჯერობით, რეგიონის ადმინისტრაციისაა და რაიონის გამგეობის სახსრებით ვაგვარებთ პრობლემას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის," - აცხადებს რაიონის გამგებლის მოადგილე გია აბულაძე.

რამდენიმე წლის წინ ლიახვის ადიდება გორელებს კარგად ახსოვთ. მაშინ მდინარის მოვარდნამ მრავალი გორელი საცხოვრებელი სახლის გარეშე დატოვა. მოსახლეობას იმედი აქვს, რომ ხელისუფლება პრობლემას ახლა მაინც დროულად მიხედავს და მოსახლეობას საცხოვრებლის ძებნა სხვაგან არ მოუწევს.

მესტიაში კატასტროფული მდგომარეობაა

ლელა მარგიანი

მესტიის რაიონის გამგებლის ნინო ჯაფარიძის თქმით, მესტიაში ბოლო ხუთი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა. რაიონში კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. **"შეიძლება ითქვას, რომ რაიონში სოფელი არ დარჩენილა დაუმეწყრავი,"** - აცხადებს გამგებელი.

რაიონის ზედა სოფლები - უშგული, კალა, იფარი, იელი - ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველგან ადიდებულია პატარა ღელეები, წყალმა წაიღო შიდა ხიდები და გზები. იფარში დაზიანებულია შიდა გზები. მსხვილფეხა საქონლის მსხვერპლია სოფელ იელიში. აქ ადიდდა მდინარე ენგური, რომელმაც მოწყვიტა ნაპირი და გზა. ულვირის ულელტეხილზე წყალი მდინარესავით მოედინება. მულახის თემის სოფელ არცხელში ორი ოჯახის სამოსახლო სტიქიამ პირდაპირ მდინარეში ჩაიტანა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის, მაგრამ ოჯახები, ფაქტობრივად, უსახლკაროდ დარჩნენ. სოფელ მუჟალში 20 ოჯახის სამოსახლო საცხოვრებლად უვარგისია.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა რაიონულ ცენტრშიც. მესტიაში ადიდდა ლაღამის ღელე, მისი კალაპოტი მთლიანად ქვა-ღორღით და მიწით არის ამოვსებული. ამავე დროს, ღელეს თავზე მთის დიდი ნაწილი შეიძლება მოწყდეს, რაც დიდ საფრთხეს უქმნის 130 ოჯახს. ამას ემატება ისიც, რომ როდესაც ღელე ამოივსო, წყალი ორად გაიყო, ნაპირებზე გადავიდა და მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული დასახლებები დატბორა. წყალი თითქმის ყველა ოჯახში "შევარდა". გუშინ რამდენიმე ოჯახის ევაკუაცია მოხერხდა.

ნინო ჯაფარიძის თქმით, სოფელ ლენჯერში ადიდდა ღელე ფუშკვერი. იქაც და სოფელ ლატალშიც წყალი ცენტრალურ გზაზე მდინარესავით მოედინება, წყალმა ლატალში ხიდიც წაიღო. ამ სოფლებში 80 ოჯახია ძალიან დიდი საშიშროების წინაშე. სოფელ ცხუმარშიც ყველა ღელე ადიდებულია. წყალი სახნავ-სათესს სავარგულებზე და სათიბებზე მოედინება. საერთოდ, რაიონის მოსახლეობის სახნავ-სათესი სავარგულების 90 პროცენტი დაზიანებულია. სოფელ ბეჩოში, უშხვანარის უბანში, ჩამოწვა მეწყერი და მოსახლეობას საცხოვრებელი სახლები დაუნგრია. სოფელ ხაიშში რამდენიმე ოჯახი გარე სამყაროს საერთოდ მოწყვეტილია. მესტია-უშგულის ცენტრალურ გზაზე რამდენიმე ადგილას მეწყერი ჩამოწვა. **"იქ მობილიზებულია ტექნიკა და, წვიმის შეწყვეტის შემდეგ, გზის აღდგენა მოხდება. მაგრამ რაიონის სოფლებში, სტიქიის მასშტაბების გამო, მხოლოდ ჩვენი ძალებით მოსახლეობის დახმარებას, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ,"** - აცხადებს ნინო ჯაფარიძე. თითქმის ყველგან წაღებულია ელექტროგადამცემი ბოძები. **"ცენტრალური ხელისუფლება უნდა ჩამოვიდეს და ადგილზე დეტალურად გაეცნოს შექმნილ მდგომარეობას. ჩვენ ჩვენი ძალებით მოვახერხეთ მოსახლეობის ევაკუაცია, ხალხი ეხმარება ერთმანეთს, ყველა - დიდი და პატარა - გარეთაა გამოსული. მაგრამ საშიშროება ჯერ კიდევ წინაა, რადგან მთებში ძალიან დიდი რაოდენობის თოვლია დაგროვილი, ზედა სოფლებში ჯერ კიდევ 90 სანტიმეტრამდე თოვლი დევს. თუ ძალიან დათბება, თოვლის ეს უზარმაზარი მასა სწრაფად დაიწყებს დნობას და უარესი შედეგებია მოსალოდნელი,"** - აცხადებს ნინო ჯაფარიძე.

პრემიერ-მინისტრმა უსახლკაროდ დარჩენილებს დახმარება აღუთქვა

გუშინ დილით ქუთაისში ჩასულმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ 50 ოჯახს დახმარება აღუთქვა.

ნოღაიდელს თან ახლდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაური გიგი უგულავა.

ქუთაისში, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში პრემიერი რეზერვისტებს შეხვდა, რომლებსაც მდინარე რიონის დანგრეული ჯებირების ქვიშიანი ტომრებით ამოვსება დაევალათ. რეზერვისტები ჯებირებს, პირველ რიგში, დასახლებული პუნქტების სიახლოვეს გაამაგრებენ.

პრემიერ-მინისტრმა სტიქიით დაზარალებული რაიონები მოინახულა.

ქუთაისიდან ნოღაიდელი და უგულავა წყალტუბოს რაიონის სოფელ ჟონეთში გაემგზავრნენ, სადაც მოსახლეობა ასევე უსახლკაროდ დარჩა. ჟონეთში დატბორილია სახნავ-სათესი მიწები, საქონლის სადგომები, დანგრეულია გზები და ხიდები.

უამინდობისა და გზის არარსებობის გამო, პრემიერ-მინისტრმა ვერ შეძლო რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის მხარეებში არსებული სოფლების მონახულება.

"მიუხედავად ჩემი დიდი ძალისხმევისა, ადგილზე ჩასვლა ფიზიკურად ვერ ხერხდება. მაგრამ როგორც კი სტიქია უკან დაიხევს, შევძლებ, ყველა დაზარალებულ მოსახლეს პირადად შევხვდე და დახმარება აღვუთქვა," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

ქუთაისში მოქმედ, სტიქიასთან ბრძოლის ოპერატიულ შტაბში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც გაერთიანდნენ.

"ახალმა მემარჯვენეებმა" "ცხელი ხაზი" გახსნეს, რომლის მეშვეობით დაზარალებულებს 24 საათის განმავლობაში შტაბისთვის ინფორმაციის მიწოდება შეეძლებათ.

ქუთაისში ჩავიდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძეც, რომელმაც ოპერატიული შტაბის რეზერვისტების ხელმძღვანელობა ითავა. კირკიტაძე რეზერვისტებთან ერთად ქვიშიანი ტომრებით დატვირთული მანქანებით ზესტაფონის რაიონის სოფლებში გაემგზავრა, სადაც მდინარე ყვირილასთან მიმდინარე ნაპირ-გამაგრებით სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო.

დასავლეთ საქართველოში ძლიერი წვიმა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

როგორც "ინტერ-პრესს" ჰიდრომეტეოროლოგიურ დეპარტამენტში განუცხადეს, დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონში ამაღამ წვიმა გაძლიერდება, ასევე იმატებს წვიმა თბილისშიც.

სინოპტიკოსთა განცხადებით, ნალექიანი ამინდი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უახლოესი სამი დღის განმავლობაშია მოსალოდნელი.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლება" სამხედრო ბეგარის შესაძლო გაზრდას აპროტესტებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ერთი წლით გადავადებისთვის დღეისთვის არსებული 200-ლარიანი ბეგარის 1 500 ლარამდე გაზრდა იგეგმება, რაც "სამართალი და თავისუფლების" აზრით, წვევამდელთა შორის სოციალურ დისკრიმინაციას გამოიწვევს. ამასთან, თავდაცვის სამინისტროს ინიციატივის მოწინააღმდეგეთა განცხადებით, წვევამდელთა 99 პროცენტი ამ ოდენობის თანხას ვერ გადაიხდის, შესაბამისად, ბიუჯეტში თანხები ვერ შევა, გამწვევ განყოფილებებში კი კორუფციის მასშტაბები გაიზრდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუმინეთი და ბულგარეთი, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად, საქართველოს სრულ მხარდაჭერას და თანადგომას უცხადებენ.

"რუმინეთი და ბულგარეთი, ფაქტობრივად, უკვე ევროკავშირის წევრები არიან. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ 15 წელი მუხლჩაუხრელი შრომა დაგვჭირდა. იმედი გვაქვს, რომ ამ გზის გავლას საქართველოც წარმატებით შეძლებს," - აცხადებენ რუმინეთის და ბულგარეთის ელჩები.

როგორც საგანგებო ბრიფინგზე რუმინეთისა და ბულგარეთის ელჩებმა, კონსტანტინე გირბიამ და ივაილო ბრაზიტკოვამ აღნიშნეს, საქართველოს, მათი ქვეყნების სახით, ევროკავშირში "ძალიან კარგი ადვოკატები ეყოლება." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კოდორის ხეობის მოსახლეობისგან დაკომპლექტებულ რაზმ "მონადირეს" გაუქმებას არ აპირებს. სამინისტროს ხელმძღვანელობა აღნიშნულ სამხედრო ქვედანაყოფში მხოლოდ შემცირების ჩატარებას და იარაღის აღრიცხვას გეგმავს.

ლევან ნიკოლეიშვილის განცხადებით, "მონადირე" ჩვეულებრივად გააგრძელებს ფუნქციონირებას. მისივე თქმით, რაზმის გაუქმების შესახებ საუბარი არ ყოფილა. "თავდაცვის სამინისტრო მხოლოდ შტატების ოპტიმიზაციას გეგმავს, რის შემდეგაც, სამხედრო სამსახურში დარჩენილები სწავლების სპეციალურ კურსს გაივლიან," - აცხადებს ნიკოლეიშვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში დსთ-ს სამშვიდობო ძალებმა და გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა პატრულირება დაიწყეს, თუმცა ქართული მხარე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ მჟავია კოდორის ხეობის პატრულირების შესახებ საქმის კურსში არ არის. ლეგიტიმური ხელისუფლების მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ირაკლი გეგეჭკორის ინფორმაციით კი, ხეობაში პატრულირება ჯერჯერობით არ მიმდინარეობს და მის ზედა ნაწილში მონიტორინგი 27-28 აპრილიდან განახლდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში 3 ივნისს დსთ-ს ქვეყნების მთავრობის ხელმძღვანელთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება. როგორც პრემიერ-მინისტრის პრესმდივანმა ლეილა ავიძემ განაცხადა, დსთ-ს ქვეყნების მთავრობის ხელმძღვანელთა საბჭოს სხდომის გამართვა, თავდაპირველად, ბათუმში იყო დაგეგმილი, თუმცა სხდომა, შესაძლოა, თბილისში ჩატარდეს. ავიძის თქმით, პრემიერის აპარატი მოსამზადებელ სამუშაოებს უკვე ეწევა, თუმცა 3 ივნისის სხდომის დეტალები, ჯერჯერობით, უცნობია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სამხედრო ძალებში სავალდებულო სამსახურისთვის გასაწვევი კონტინგენტის რაოდენობა გაიზარდა და 4 750 კაცით განისაზღვრა.

საქართველოს პრეზიდენტის N229 ბრძანებულებით, დამატებით კონტინგენტს, მთლიანობაში - 455 კაცს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გაიწვევენ. შეიარაღებულ ძალებში გასაწვევი კონტინგენტი კი არ შეცვლილა და კვლავ 4300 რჩება.

კვლავ ძალაში რჩება ბეგარა, რომლის გადახდის შემთხვევაში წვევამდელს სამხედრო სავალდებულო სამსახური ერთი წლით გადაუვადდება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ერთწლიანი ბეგარა გაიზარდოს და 1500 ლარით განისაზღვროს.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, სამხედრო სამსახურის ვადა 18 თვით განისაზღვრა. გაწვევის ორგანიზებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ. პრეზიდენტის ამ ბრძანებულების შესრულებაზე კონტროლი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს აქვს დავალებული. გაწვევა 1 თებერვალს დაიწყო და 31 მაისს დასრულდება. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სოზარ სუბარი უკმაყოფილებას გამოთქვამს კახეთში თავისუფალი მედიის შეზღუდვის გახშირებული ფაქტების გამო

სახალხო დამცველი გასულ კვირას კახეთის რეგიონში მედიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ეხმაურება და ადგილობრივ ხელისუფლებას სიტყვის თავისუფლებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას ურჩევს.

19 აპრილს თელავში ქსელიდან ამოიღეს ადგილობრივ გაზეთ "სპექტრის", ხოლო 21 აპრილს გაზეთ "24 საათის" მთელი ტირაჟი. "სპექტრის" თანამშრომლებს თვითონ მოუწიათ გაზეთების ჩამორიგება ხელმომწერი ორგანიზაციებისა და პირებისათვის.

ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთა ინფორმაციით, გაზეთები თელავის გამგეობის განკარგულებით დაბლოკეს. როგორც ჩანს, გამგეობაში გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები არ მოეწონათ, სადაც საბიუჯეტო სახსრებიდან თელავის რაიონისთვის გამოყოფილი სოცპაკეტის - 132 ათასი ლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე იყო საუბარი. გასული წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველი ფენების ნაცვლად, თანხა გამგეობის თანამშრომლებზე ნაწილდებოდა. დარღვევის შესახებ კონტროლის პალატის დასკვნა უკვე ორი თვეა, გენერალურ პროკურატურაშია გადაგზავნილი, თუმცა სტატიაში აღნიშნულია, რომ თელავში გენერალური პროკურატურიდან ჯერ არავინ ჩასულა.

სახალხო დამცველი მედიაზე კონტროლს დაუშვებლად მიიჩნევს და თვლის, რომ მსგავს ფაქტებს დემოკრატიულ ქვეყანაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრესსამსახური

გაზეთების გაქრობაში გამავრცელებელი თელავის გამგეობას ადანაშაულებს

21 აპრილს, თელავში, კახეთის რეგიონულ გაზეთ "სპექტრის" და "24 საათის" საგაზეთო ჯიხურებიდან მიზანმიმართულად ამოღებამ, რაიონის საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მომხდართან დაკავშირებით, გაზეთ "24საათის" კახეთის ბიუროს, საკუთარი აზრის გამოსათქმელად, გაზეთების გავრცელების სააგენტო "პრესინფორმის" კურიერმა და "საქპრესის" თელავის წარმომადგენლობამ მიმართა.

"ჩვენს სააგენტოში ნამდვილად შემოვიდა გაზეთ "24 საათის" ხუთი ეგზემპლარი, უფრო მეტი რაოდენობით - "სპექტრი". ორივე ვიღაც უცხო მანდილოსანმა შემოსვლისთანავე სრული რაოდენობით იყიდა. უნდა ითქვას, რომ გაზეთები "სეტკებზე" არც კი დადებულა," - ამბობს „პრესინფორმის“ თელავის კურიერი.

აღნიშნულ ფაქტს კახეთის მახრეშის პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილიც გამოეხმაურა, იგი ასეთი საქციელის გამო იმ ადამიანებისგან და სამსახურებისგან მოითხოვდა პასუხს, რომლებიც კახეთში სიტყვის თავისუფალების შეზღუდვას ცდილობენ. გამოხმაურებაში ისიც არის მინიშნებული, რომ ეს საქმე რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, როგორც გაირკვა, "საქპრესა" დაადანაშაულა. აღნიშნული სამსახურის თელავის ფილიალის უფროსი ლამარა ფეიქრიშვილი "24 საათთან" საუბარში ასეთ განცხადებას აკეთებს:

"მე აღმაშფოთა ბატონი ცისკარიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ. თუ რაიონის გამგეობაში, სამ სხვადასხვა განყოფილებას "24 საათი" ასე მარტივად მიეწოდა, რა პრობლემად უნდა ქცეულიყო იმავე სართულზე, რამოდენიმე მეტრში რწმუნებულის პრესსამსახურისათვის გაზეთის აღება? ჯობდა, ბატონ პეტრეს ის ეკითხა, ვინ მიიტანა თელავის რაიონის გამგეობაში აღნიშნული გაზეთები. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კახეთის სამხარეო ადმინისტრაციისათვის გაზეთი არ დამიბლოკავს. „საქპრესიდან“ ის სრული რაოდენობით გავიდა. გაზეთები გამგეობისთვის და სამხარეო ადმინისტრაციისთვის კი საკუთარი ინიციატივით, თელავის გამგეობის აპარატის თანამშრომელმა ნუნუ წიგნაძემ და მედია კეკელიამ გაიტანეს დილის ათ საათზე. იმ დღეს გაზეთი არ მისვლია მხოლოდ თელავის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს მოხდა ჩვენივე დაუდევრობით, თუმცა "24 საათი" და "სპექტრი" ყველა გამომწერმა მიიღო."

24 საათი

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დღეის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.

სამართლდება ტრადიციების მოდერნიზაცია

ბრალდებული: ფოლკლორისა და ტრადიციების რემიქსი
მოსამართლე: გაგა გობრონიძე

პროკურორი: ნოდარ ხანდოლიშვილი, ქორეოგრაფი, ბავშვთა ანსამბლის »შევარდენი« სამხატვრო ხელმძღვანელი:

დაუშვებელია ქართული ფოლკლორის, ტრადიციების სხვა ერის და სხვა ქვეყნის ტრადიციების ელემენტებით გაჯერება. ეს დააკნინებს ჩვენს 3000 წლოვან ფოლკლორს. ხატი შეიძლება არაკანონიკური წესით დაწერო, მაგრამ ის ხატი აღარ იქნება, არ მოეცემა კურთხევა და დარჩება ნახატად.

ადვოკატი: კახა ბაკურაძე, მსახიობი, რეჟისორი:

ქართული ტრადიციები ფოლკლორში, ისევე, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აუცილებლად გადახედვას საჭიროებს. განვითარება, მოძრაობა აუცილებელია. ამას ილია ჭავჭავაძეც ამბობდა. მხოლოდ მოდერნიზაცია გადაარჩენს ტრადიციებს. ეს გამოცდილია, დღეს ამას მთელი მსოფლიო აკეთებს.

ბრალდების მოთხოვნა: ტრადიციები ხელშეუხებელია და დაუშვებელია მოდერნიზაცია ფოლკლორში

ვერდიქტი: თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა (ცხრა ხმა სამის წინააღმდეგ) ხალხური ტრადიციების მოდერნიზაცია მიუღებლად მიიჩნია

1. რევაზ გომარაძე	(არ შეიძლება)	7. თინა პეტრიდისი	(შეიძლება)
2. მაია ირემაძე	(არ შეიძლება)	8. გიორგი გიორგაძე	(შეიძლება)
3. მარინა აბულაძე	(შეიძლება)	9. ანონიმი	(არ შეიძლება)
4. ნოდარ ქართველიშვილი	(არ შეიძლება)	10. ჯანო იმედაძე	(არ შეიძლება)
5. თინათინ გოშაძე	(არ შეიძლება)	11. კახა შეყილაძე	(არ შეიძლება)
6. დიტო	(არ შეიძლება)	12. ზურაბ სამხარაძე	(არ შეიძლება)

ზღვრული ვადა - 2008 წლის 1 იანვარი

პირველი გვერდიდან

მოსკოვის შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოწვევით თბილისში მყოფმა, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის - ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა განაცხადა, რომ რუსეთს საკუთარი სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანა 2009 წლის 1 იანვრამდე შეუძლია.

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველო ამ თარიღს არ უნდა დათანხმდეს.

ექსპერტი არჩილ გეგეშიძე მიიჩნევს, რომ ბაზების გაყვანის საქართველოსთვის ხელსაყრელი ზღვრული თარიღი 2008 წელია. **"2009 წელი ცოტა გვიანია. იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) წარმატებით განახორციელა, მაშინ ნატო-ს 2006 წლის სამიტზე ჩვენ გაწევრიანების სამოქმედო პროგრამის (MAP) განხორციელების უფლება მოგვეცემა. მაპ-ი ნატო-ში გაწევრიანების მწვანე შუქია, ანუ გვაღიარებენ, როგორც ასპირანტ ქვეყანას. მაპ-ის მოქმედების პერიოდში ბაზების გაყვანა აუცილებლად უნდა დასრულდეს, რადგან მაპ-ის წარმატებით გავლის შემთხვევაში ჩვენ ნატო-ში უნდა გავწევრიანდეთ. გაწევრიანების მომენტში კი ბაზები აქ არ უნდა იყვნენ. ამიტომ, თუ მაპ-ის წარმატებით დასრულება 2009 წლისთვისაა ნავარაუდევი, მაშინ 2009 წლისთვის ჩვენთან ბაზა აღარ უნდა იყოს,"** - აღნიშნა გეგეშიძემ.

2009 წელი საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების წელია. წინასაარჩევნოდ საქართველოდან ბაზების გაყვანის დასრულება პრეზიდენტის საარჩევნო რეიტინგისთვის საკმაოდ მომგებიანი იქნება. "24 საათის" კითხვას - ხომ არ გახდება ეს ფაქტი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთისთვის ერთი წლის დათმობის საფუძველი, არჩილ გეგეშიძე პასუხობს: **"არ მგონია, ეს ასე მოხდეს. პრეზიდენტს, პირიქით, ხელს აძლევს, რომ ამ დროისთვის ბაზა გაყვანილი იყოს და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას წინ არაფერი ელობებოდეს,"** - განაცხადა მან.

ბაზების გაყვანის საბოლოო თარიღთან დაკავშირებით დათმობებს გამორიცხავს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი გივი თარგამაძეც. **"ჩვენ უკვე დავასახელეთ თარიღი - 2008 წლის 1 იანვარი. ერთი წელიც კი ძალიან ბევრ რამეს ცვლის. ჩვენ კარგად ვიცით, რა არის რუსული მხარის მოტივაცია, როდესაც იგი 2009 წელზე საუბრობს. ეს არის მათი აბსოლუტურად არაფერზე დაფუძნებული იმედი, რომ საქართველოში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სიტუაცია, შეიძლება, ისე შეიცვალოს, რომ არჩევნების შემდეგ პრორუსულმა ძალებმა კარგად მოიკიდონ ფეხი. ჩვენთვის მიუღებელია ასეთი ტიპის რუსული კაპრიზების დაკმაყოფილება, ამ შემთხვევაში ჩვენ ძალინ პრინციპულები ვიქნებით,"** - აღნიშნა თარგამაძემ. მისი თქმით, საქართველო მზადაა, რუსული ბაზების ტრანსპორტირების ხარჯებიც გაიღოს.

"ჩვენ გვაქვს ერთი კონკრეტული თანხა, რომელიც შეიძლება დავხარჯოთ ტრანსპორტირებაზე - 6 მილიონი დოლარი. ეს თანხა ჩვენ უკვე გვაქვს, იგი შენახულია. როგორც გახსოვთ, აშშ-მ თავის დროზე, რუსეთის ინფრასტრუქტურის გასაყვანად საქართველოს ათი მილიონი დოლარი გამოუყო. აქედან, 4 მილიონი ვაზიანის ბაზის ტრანსპორტირებაზე დაიხარჯა. შესაბამისად, დაგვრჩა ექვსი. რუსეთის სხვა ფინანსურ ინტერესებს ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ," - განაცხადა თარგამაძემ.

რაც შეეხება ანტიტერორისტული ცენტრების შექმნის იდეას, მასში პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი ცუდს ვერაფერს ხედავს. **"ეს იქნება ერთობლივი სასწავლო ცენტრი, სადაც ტერორისტებთან ბრძოლას ისწავლიან. ცენტრი აღჭურვილი იქნება ძალიან მცირე ტექნიკური დანამატით, რამდენიმე "ბეტეერზე" შეიძლება იყოს საუბარი, რაც ასევე მხოლოდ სასწავლო მიზნებით გამოიყენება. ანტიტერორისტული ცენტრი, თავისთავად, არავითარ საფრთხეს არ შეიძლება წარმოადგენდეს. იგი ორივე მხარის დაქვემდებარებაში იქნება და ორივე მხარეს შეუძლია, მისი მოქმედება შეწყვიტოს,"** - აცხადებს იგი.

არჩილ გეგეშიძის აზრით კი, საქართველოში ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა რუსეთისთვის პრესტიჟის საკითხია. **"რუსეთი აცნობიერებს იმას, რომ, ადრე თუ გვიან, მას საქართველოდან ბაზების გაყვანა მოუწევს და ამიტომ სურს, რომ რაღაც სახე შეინარჩუნოს, როგორც საკუთარი ამომრჩევლის, ასევე მსოფლიოს წინაშე. საქართველოდან ბაზების გაყვანა რუსეთისთვის თავმოყვარეობის შელახვაა. ბაზების გაყვანის პროცესის სანაცვლოდ, რუსეთს კომპენსაცია უნდა. სწორედ ამიტომ ის ანტიტერორისტული ცენტრების შექმნის იდეას ყველანაირად ჩაებღაუჭება,"** - ამბობს გეგეშიძე.

ბაზების გაყვანის კონკრეტულ გრაფიკს საქართველოს ხელისუფლება რუსული მხარისგან კვირის ბოლოს ელის. მანამდე კი, საქართველოს სახელისუფლებო უწყებები რუსი სამხედროების 200-წლიანი სტუმრობის დასასრულისთვის აქტიურად ემზადებიან. თავდაცვის სამინისტროში უკვე ბჭობენ იმაზე, თუ რა გზით გაამგზავრონ არასასურველი "სტუმრები". სავარაუდოდ, ბაზების ტექნიკური აღჭურვილობა საქართველოდან ზღვით რუსეთში, ან რკინიგზით - სომხეთში გაემგზავრება.

ფინანსთა სამინისტრო კი რუსული ბაზების მიერ საქართველოსთვის მიყენებულ ზარალს ითვლის. როგორც მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ აღნიშნა, მხოლოდ გარემოს დაბინძურებისთვის რუსებმა 700-800 მილიონი ლარი უნდა გადაგვიხადონ, ბაზების საგადასახადო ვალები 10 მილიონს აღემატება, ხოლო ენერგეტიკული დავალიანება 40-50 მილიონ ლარს უკაკუნებს.

დიდი გამარჯვება თუ დროებითი სატყუარა?

პირველი გვერდიდან

"ანტიტერორისტული ცენტრი სულ სხვა რამეა. თავისი დანიშნულებით, ის უფრო ინფორმატიული დაწესებულებაა, ვიდრე სამხედრო დანიშნულების ობიექტი. ანტიტერორისტულ ცენტრში ვიღაც ოფიცერს შეიძლება პისტოლეტი ჰქონდეს, მაგრამ არ იქნება არტილერია, ტანკები, სხვა სახის მძიმე ტექნიკა," - განმარტავს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. ამასთან, მას სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია რუსების შიში იმასთან დაკავშირებით, რომ გატანილი ბაზების ადგილზე სხვა ქვეყნების ჯარი ჩადგება.

კოტე გაბაშვილი ახალქალაქის ბაზაზე მომუშავეთა დასაქმების საკითხზეც საუბრობს და მიიჩნევს, რომ ეს არც ისე რთული პრობლემაა და მისი გადაწყვეტა საერთაშორისო დონორების გარეშეც შეიძლება. პარლამენტარის აზრით, ამისთვის სრულიად საკმარისია, რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი რამდენიმე საწარმო აშენდეს.

"პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ჩადებულია მოთხოვნა, რომ საქართველოს მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას ახალქალაქის მოსახლეობის დასაქმების მიმართულებით. ეს იქნება უებარი წამალი მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად," - დასძენს კოტე გაბაშვილი.



კოტე გაბაშვილი: "ანტიტერორისტული ცენტრი სულ სხვა რამეა".

ეკა კვესიტაძის სვეტი

ჯერ კიდევ არის დრო

ბოლო ერთი კვირის მანძილზე მარტო "24 საათში" რამდენიმე სტატია დაიბეჭდა ერთი და იგივე სულისკვეთებით - ნუ ფიქრობთ, ვინც გაკრიტიკებთ, ის თქვენი მტერია.

როგორც ჩანს, ამ სენტენციის ხშირად გამეორება საჭირო გახდა ბოლო პერიოდში და საჭირო გახდა თავად პრეზიდენტის "უცნაური" გამოსვლების გამო.

შევარდნაძის ხელისუფლების დაღმა სვლა განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა თვალშისაცემი, როცა ყოფილი პრეზიდენტი გამორჩეული არაადეკვატურობით პასუხობდა რეალობას. ის ყველაფერზე საუბრობდა ციფრული განხეთქილებიდან - ძროხების მეწველუნარიანობის გაზრდამდე, მაგრამ არა იმ რეალურ პრობლემებზე, რომელიც ქვეყნის წინაშე იდგა.

სააკაშვილი, ჯერჯერობით, ციფრული განხეთქილების საშიშროებაზე არ საუბრობს, თუმცა თვეების წინ დაწყებული ტენდენცია უკვე საშიშ მასშტაბებს აღწევს.

მინიმუმ ბოლო ექვსი თვის მანძილზე პრეზიდენტის თითქმის ყველა გამოსვლა ერთადერთ ბუნებრივ რეაქციას ბადებს - იმედგაცრუებას.

გზა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან - პრეზიდენტობამდე სააკაშვილის ძალზე შთამბეჭდავი, ცნობიერების შემცვლელი და სიახლის მატარებელი გამოსვლებით იყო გამორჩეული.

მისი ლექსიკაც მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნების სინტაქსურად გაუმართავი, გაუგებარი და მშრალი კომკავშირული გამოსვლების ფონზე სიახლე იყო. ის ხალხს მისი ენით, გასაგებად და გულწრფელად ელაპარაკებოდა.

დღეს სააკაშვილი ისევ გულმოდგინედ ცდილობს, ძველი სტილი შეინარჩუნოს, მაგრამ ის უკვე თავისი პოლიტიკური ფიგურის კიჩს უფრო დაემსგავსა, ვიდრე ხალხთან გულწრფელად მოსაუბრე პრეზიდენტს.

როგორც ჩანს, შეუმჩნევლად გადაილახა ის უხილავი ზღვარი, რომელიც ხალხის ენაზე საუბარს და ზედმეტად უტრირებული, გაუხეშებული ლექსიკის მეშვეობით ხალხის ენით საუბრის სიმულაციას შორის არსებობს.

რადგან ლექსიკა, სადაც ასე ჭარბობს "გაჩმახება," "ყიყინი", "ბრიყვები", "ნაგავში მქექავები" და ასე შემდეგ, ხალხის ენაზე ლაპარაკის სიმულაციაა მხოლოდ და მეტი არაფერი.

დღეს ისევ გულწრფელად მჯერა, რომ სააკაშვილს ჯანსაღი პოლიტიკური ამბიცია აქვს, უნდა, წარმატებული ქვეყნის წარმატებული პრეზიდენტი იყოს, მართლა შესტკივა გული იმ მოხუც პენსიონერებზე, რომელთაც შეხვედრების დროზე გულში იკრავს, მაგრამ მე ეჭვი მეპარება იმ გზის სისწორეზე, რომელიც მან დასახული მიზნის მისაღწევად აირჩია.

დიდი საქმის კეთებას დიდი შეცდომები სდევს თან - ეს ლათინური სიბრძნე ყველას კარგად ესმის და ალბათ, ძალიან ცოტას თუ ჰქონდა ან აქვს იმის ილუზია, რომ ახალ ხელისუფლებას შეცდომები არ ექნება. მაგრამ ძალიან ბევრს ჰქონდა იმის იმედი, რომ ამ შეცდომებზე მინიშნებისას ხელისუფლება ადეკვატურად მოიქცეოდა.

ანუ დღეს მთავარი პრობლემაა არა ის, რომ ხელისუფლება შეცდომებს უშვებს, არამედ ის, თუ როგორ რეაგირებს ის ამ შეცდომების კრიტიკაზე.

"თქვენს ჯინაზე მაინც ავაშენებთ ჯარს და სახელმწიფოს" - ეს არის ის ერთადერთი "არგუმენტირებული" ფრაზა, რომლესაც ხშირად იმეორებს პრეზიდენტი კრიტიკის საპასუხოდ და თან იმ ადამიანებთან მიმართებაში, ვისაც ქართული სახელმწიფოს შენების პროცესი ნამდვილად არ სწყინს.

პოლიტიკური ძალაუფლების ხიბლი, ალბათ, მართლაც ძალიან ძლიერია, მით უმეტეს, როცა ცივილიზებული მსოფლიოს სიმპათიები სააკაშვილის მიმართ, ამ ხიბლს კიდევ უფრო აძლიერებს. ისიც ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ პოლიტიკური ფიგურის სიძლიერე ამ ხიბლის დაძლევაშია. თუმცა, ამ ჭეშმარიტების ბანალურობის მიუხედავად, მისი ცხოვრებაში განხორციელება ყველას უჭირს.

დღეს საქართველოს პრეზიდენტი თვითკმაყოფილებისაგან მოგვრილ განცხრომაშია - და ამ კმაყოფილების გაძლიერებას ხელს ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტიც უწყობს. ბუშის ვიზიტის წინ ხელისუფლება ძველი სახლების ფასადების შეღებვით არის დაკავებული. მაგრამ ამერიკის პრეზიდენტს საქართველოში შეღებილ ფასადებზე უფრო მეტად დემოკრატიის ბედი ანაღვლებს. ხოლო დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული აზრის მოსმენა და დაფასებაა. ამ (საქართველოში ჯერ არ დაბადებულ) კულტურას კი, ნებისმიერი განსხვავებული აზრის მიმართ მტრული პოზიციით, ჩანასახში თავად პრეზიდენტი კლავს.

შეღებილ ფასადებიანი, დანგრევის პირას მისული სახლები უკვე ლამის სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო, რომ ეს სახლები ლამაზ შირმაში შეფუთული არშემდგარი დემოკრატიის სიმბოლო არ გახდეს.

ედპ-ს კრიზისი და ედპ-ს "ანტიკრიზისული კონცეფცია"

ვერიკო თევზაძე

თავად პოლიტიკურ კრიზისში მყოფმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მასმედიას ქვეყნის "ანტიკრიზისული კონცეფციის" ძირითადი თეზისების პრეზენტაცია მოუწყო. **"უნდა არსებობდეს პოლიტიკური კრიზისის დაძლევის და ქვეყნის განვითარების კონცეფცია, რომლის ცხოვრებაში გატარება აუცილებლად მოითხოვს ეროვნული და მონათესავე იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციების კოორდინირებულ მოქმედებას, რომელიც მის განხორციელებაზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს,"** - განაცხადა გუშინდელ შეხვედრაზე ბაჩუკი ქარდავამ. თუ დღეს ედპ-ს პოლიტიკურ პოტენციალს, ასევე იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობებს გადავხედავთ, რომლებიც ედპ-ს ინიციატივით გამართულ პირველ შეკრებაზე გამოცხადდნენ (მოძრაობა "წინ საქართველო", პარლამენტარი გოჩა ფიფია, სახალხო ფრონტი), დაბოლოს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "ტრადიციონალისტებმა" ახლად დაარსებულ "სახალხო ფორუმში" გადაინაცვლეს, ყოველგვარი ირონიის გარეშე, დავძენთ: ჯერჯერობით, საუბარი ეხება პოლიტიკურ სურვილებს, შეიძლება ითქვას, ოცნებას ქვეყნის უკეთეს მომავალზე.

ანტიკრიზისული კონცეფციის (მონახაზის) მიხედვით, სახელმწიფოს წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანებია: ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა. უსაფრთხოება, დემოკრატიული ღირებულებების განვითარება, ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება.

მართვის სისტემაში განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის ედპ აუცილებლად მიიჩნევს კონსტიტუციური ცვლილებების გატარებას, კერძოდ, პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვას და პარლამენტის როლის გაძლიერებას.

"აუცილებელია განხორციელდეს რეალური თვითმმართველობა, გაიმიჯნოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები. ყველა თანამდებობის პირი, მერები და გამგებლები, განსაკუთრებით კი, თბილისსა და რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებში, თავად ხალხმა უნდა აირჩიოს," - ნათქვამია კონცეფციის პროექტში.

ანტიკრიზისული კონცეფცია, ბუნებრივია, ეკონომიკის და ენერგეტიკის სფეროებსაც ეხება. ეკონომიკის განვითარების უმთავრეს პირობად მიჩნეულია ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება. ედპ-ს აქვს მისეული ხედვა, როგორ უნდა მოხდეს ქვეყანაში სასურსათო უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების განხორციელება.

ედპ იუწყება პარტიასთან შექმნილი სამოქალაქო სექტორის შესახებ. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციებს და გაერთიანების პერსპექტივებს, ამ საკითხების დაკონკრეტებისგან პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ თავი შეიკავა, როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე, ასევე "24 საათთან" საუბრისას. **"წინასწარ თავს ვიკავებთ,"** - ასეთია ქარდავას პოზიცია და ეს პოზიცია, "გასაგები მიზეზების გამო", ყველასათვის გასაგებია.

ქარდავას თქმით, ედპ ანტიკრიზისული კონცეფციის სრულყოფას უახლოეს ხანებში დაამთავრებს და პარტიის ყრილობაზე მას საზოგადოებას წარუდგენს.

ჩინეთის ელჩი რუსთავს ეწვია

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავში ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ვან კაივენი, რომელსაც თან ახლდა მეუღლე გუ ტინი და საელჩოს კულტურის ატაშე იან სენი. მათ მასპინძლობდნენ რუსთავის მერი და ქალაქის მთავრობის სხვა წევრები.

"შთაბეჭდილებები ძალიან კარგია. ეს ჩემი პირველი ვიზიტია რუსთავში. ამ ქალაქზე ცოტა რამ ვიცოდი, რუსთაველზე კი ბევრი წამიკითხავს. ჩამოსვლამდე მითხრეს, რომ აქ იყო კარგი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც დღეს ვერ ვნახეთ. დავათვალიერეთ "აზოტი", ლუდის ქარხანა, მოხუცებულთა სახლი და მუსიკალური სასწავლებელი. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ რუსთაველებს აქვთ მდიდარი ტრადიციები და ღარიბი ინფრასტრუქტურა, თუმცა ოპტიმისტურად არიან განწყობილი," - განუცხადა "24 საათს" ვან კაივენმა.

ჩინელმა სტუმრებმა რუსთავის მოხუცებულთა სახლის დახმარების სურვილი გამოთქვეს. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ლუდის დაჭაშნიკების შემდეგ ჩინეთის ელჩი ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს შეხვდა.

"მე ამიხსნეს, რომ რუსთავი ნიშნავს არხის სათავეს და აქ ადრე დიდი არხი გადიოდა. ჩინეთშიც გვაქვს ასეთი არხი. ვისურვებდი, რომ ეს ორი არხი გაგვეერთიანებინა. თქვენი ელჩი ჩინეთში აჭარიდან არის და ამ რეგიონსა და ჩვენს ერთ-ერთი პროვინციას შორის კონტაქტებზე მუშაობს. მე აუცილებლად მივანიშნებ მას, რომ რუსთავისთვისაც გამოძებნოს პარტნიორი ქალაქი," - განუცხადა ელჩმა მასპინძლებს, რომლებიც სიხარულით შეხვდნენ ამ წინადადებას და სოფელზეც თანამხა ვართო, უთხრეს. იმის წყალობით, რომ ჩინეთის ელჩი და მისი მეუღლე გახსნილი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანები აღმოჩნდნენ, მათმა ოფიციალურმა ვიზიტმა სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა.

ბოლო ერთი თვის მანძილზე რუსთავს ოფიციალური ვიზიტით ჩინელების გარდა თურქების, დანიელების და ირანელების დელეგაციები სტუმრობდნენ.

ქვეით პატრულს ისევ პოლიციას უქვემდებარებენ

ქვემო ქართლში საპატრულო პოლიციის შესვლის პირველივე დღეს სტრუქტურულმა გაურკვევლობამ იჩინა თავი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ექვსივე რაიონის ქვეითი პატრული ადგილობრივი პოლიციის დაქვემდებარებაში გადადის და, რადგან ავტოპატრული მხოლოდ რუსთავშია, ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო, ფაქტობრივად, უფუნქციოდ რჩება.

"ჩემი ინფორმაციით, დაახლოებით ოთხი დღის წინ გადაწყდა, რომ ქვეითი პატრული ადგილობრივ პოლიციას დაუბრუნდება. მართალია ეს თუ არა, ვერ გეტყვით, ოფიციალური მითითება ჯერ არ მიმიღია. ამ ეტაპზე მეც გაურკვევლობაში ვარ. სამხარეო სამმართველოს შტატების მიხედვით, რუსთავში უნდა ყოფილიყო სახაზო პატრული, ხოლო რაიონებში - ჯგუფები. მაგრამ ახლა რა იქნება, ვერ გეტყვით," - განუცხადა "24 საათს" ქვემო ქართლის საპატრულო სამმართველოს უფროსმა ოთარ გურგენიძემ. მისი ინფორმაციით, რუსთავში ავტოპატრულმა მუშაობა წარმატებით დაიწყო და პირველივე ღამეს ორი ბინის ქურდობა აღკვეთა. პირველი 24 საათის განმავლობაში 022-ზე 35 ზარი შევიდა და აქედან მხოლოდ რამდენიმე იყო ცრუ.

რუსთავში სულ 45 პატრულ-ინსპექტორი და ხუთი საპატრულო მანქანაა. მუშაობის დაწყების პირველივე დღეს ორი "ნივიდან" ერთ-ერთი მწყობრიდან გამოვიდა და ის შესაკეთებლად ხაზიდან დროებით მოხსნეს.

ქალებთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციაში დამკვიდრებული ტრადიცია არც რუსთავში დაარღვიეს და 45-დან ორი თანამშრომელი ქალია. ნათია ფარცხალაძე და ხათუნა ბაგალიშვილი, წესით, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში უნდა მუშაობდნენ, თუმცა, როგორც სამმართველოს უფროსი ამბობს, ისინი სამოქალაქო პირები არიან და იარაღის ტარების უფლებას ჯერჯერობით ვერ აძლევენ.

რაც შეეხება, ქვეითი პარტულის, ანუ უბნის ინსპექტორების კვლავ პოლიციის დაქვემდებარებაში გადასვლას, ამ ინფორმაციას რუსთავის პოლიციაშიც ადასტურებენ, თუმცა ოფიციალური გადაწყვეტილება სამინისტროს ჯერ არ გაუკეთებია.

„კონსერვატორების" გამარჯვება

"კონსერვატორებმა" საკონსტიტუციო სასამართლოში მათთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესი მოიგეს. მართალია, სარჩელი სასამართლოში პენსიონერების სახელით შევიდა, მაგრამ რეალურად, პროცესზე მოსარჩელე მხარედ სწორედ კონსერვატორები მოგვევლინენ. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გააუქმა მთავრობის დადგენილება, რომელიც საპენსიო დავალიანებების გასტუმრების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის დამატებითი ღონისძიებების გატარებას ეხებოდა. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, ამ დადგენილებით მთავრობა საპენსიო დავალიანებების გასტუმრებას მომატებული პენსიების ხარჯზე აპირებდა.

სხვათა შორის, "კონსერვატორები", დიდი ხანია, საუბრობენ იმის თაობაზე, რომ "ხელისუფლებამ თაღლითურად მოატყუა პენსიონერები და პენსიები გაყინული დავალიანებების ხარჯზე გაზარდა."

"კონსერვატორების" მტკიცებით, მომატებული თანხის "მოძიება" მთავრობამ სწორედ ამ ნაბიჯით შეძლო და, რეალურად, იგი პენსიონერებს არა მომატებულ პენსიებს აძლევს, არამედ არსებულ დავალიანებებს უფარავს. ახლა საქართველოს ხელისუფლებას დამატებით, დაახლოებით, ათი მილიონი ლარის მოძიება მოუწევს, რათა პენსიონერებისადმი არსებული დავალიანება ბოლომდე გაისტუმროს.

„კონსერვატორები" სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას კონტროლზე აიყვანენ.

გუშინ "კონსერვატორებმა" პარლამენტში სამთავრობო საათის გამართვა და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში პრემიერ-მინისტრის მისვლა მოითხოვეს.

შეგახსენებთ, რონ პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ოპოზიციას სრული უფლება აქვს, სამთავრობო საათის გამართვა მოითხოვოს და ის თანამდებობის პირი მიიწვიოს, რომლის მიმართაც შეკითხვები აქვს.

ძნელი სათქმელია, რამდენად მოისურვებს ზურაბ ნოღაიდელი პარლამენტში მისვლას. მით უფრო, როცა საკითხი პენსიებს ეხება. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული, სამთავრობო საათი ან არ გაიმართოს, ამ მასზე პრემიერ-მინისტრის რომელიმე წარმომადგენელი გამოცხადდეს.

თუმცა, "კონსერვატორებს" ხელთ სასამართლო გადაწყვეტილებაც აქვთ, რომელიც მოქმედების მეტ თავისუფლებას ანიჭებთ. "თაღლითობა, ტყუილი, წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობა," - ასე შეაფასეს გუშინ "კონსერვატორებმა" ხელისუფლების საპენსიო პოლიტიკა. ისინი საპენსიო დავალიანებების გასტუმრების პროცესის სრულ გამჭვირვალობას ითხოვენ, ხოლო მის კონტროლს საკუთარ თავზე იღებენ.

24 საათი

მეგობრობა ირანთანაც შეიძლება ისე, რომ დასავლეთი არ გაღიზიანდეს

ირანის ვიცე-პრეზიდენტის მუჰამედ რეზა არეფის თბილისში ვიზიტი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე მიღწეული შეთანხმებებით ქართული მხარე მეტად კმაყოფილია. საპატიო სტუმარი გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მიიღო. ამ შეხვედრას საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილიც ესწრებოდა, რომელიც აცხადებს, რომ "ბუნებრივ გაზთან დაკავშირებით ბრწყინვალე გადაწყვეტილება იქნა მიღებული."

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტში მიბრძანებამდე, ირანის ვიცე-პრეზიდენტმა სახელმწიფო კანცელარიაში, ზურაბ ნოღაიდელთან ერთად, მთელ რიგ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს მოაწერა ხელი, მათ შორის - შეთანხმებას, რომელიც ირანის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დამაკავშირებელი გაზსადენის რეაბილიტაციას და ამ მიზნით ქართულ მხარისთვის 2,5-მილიონიანი გრანტის გამოყოფას ითვალისწინებს.

კოტე გაბაშვილის მტკიცებით, გაზსადენის რეაბილიტაციას დიდი დრო არ დასჭირდება, იგი უახლოეს მომავალში დაიწყება და, სავარაუდოდ, უკვე მომავალ წელს, საქართველოს შესაძლებლობა ექნება, ირანიდან ბუნებრივი აირი მიიღოს. თუმცა, ეს არ იქნება ოფიციალური თეირანის მიერ თბილისისთვის გაწეული ცალმხრივი დახმარება: თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ხელს შეუწყობს ირანს, რომ ამ უკანასკნელმა ევროპაში თავისი გაზის გატანა მოახერხოს.

"ირანული გაზი ხარისხით საკმაოდ მაღალია და ძვირი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ რუსები იტყუებიან, როდესაც აცხადებენ, თითქოს, გაზს იაფად გვაძლევენ. სინამდვილეში, რუსულ ბუნებრივ აირს მსოფლიო ფასებში ვყიდულობთ. რუსები, უბრალოდ, "არ ითვალისწინებენ" იმას, რომ ევროპაში გაზის ტრანსპორტირება ძალიან ძვირი ჯდება და ამიტომ, დასავლეთში გატანილი გაზი, საქართველოში შემოტანილთან შედარებით, მეტი ღირს. ამდენად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ირანული გაზი რუსულზე იაფიც კი აღმოჩნდეს," - აღნიშნავს კოტე გაბაშვილი.

მუჰამედ რეზა არეფის საქართველოში სტუმრობის კომენტირებისას, საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ამ ვიზიტის პოლიტიკურ ასპექტებსაც ეხება. კოტე გაბაშვილს სიმბოლურად მიაჩნია, რომ ირანის ვიცე-პრეზიდენტის თბილისში ჩამოსვლა დროში თითქმის ემთხვევა აშშ-ს პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტს.

"საქართველოს შეუძლია, დასავლეთსა და ირანს შორის ურთიერთობების დათბობაში გარკვეული როლი შეასრულოს. ამაზე ღიად არავინ საუბრობს, მაგრამ ასეთი პერსპექტივა რეალურად არსებობს. მით უმეტეს, ოფიციალურ თეირანს თავად სურს ამერიკასა და ევროპასთან ურთიერთობების გაუმჯობესება," - აცხადებს ქართველი პარლამენტარი.

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ხაზს უსვამს, რომ **"ირანსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავების პოტენციალი ნამდვილად არსებობს, თანაც ისეთი, რომ ეს არა მარტო ორი ქვეყნისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის სასარგებლო იყოს."**

ირანის ვიცე-პრეზიდენტის საქართველოში სტუმრობა ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასაც შეუწყობს ხელს. კოტე გაბაშვილის თქმით, ორსამ კვირაში შეიქმნება ირან-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფი. გარდა ამისა, დაგეგმილია პარლამენტის თავმჯდომარეების ვიზიტების გაცვლა და ორივე ქვეყანაში მეზობელი სახელმწიფოს კულტურის დღეების ორგანიზება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ
შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად

პროექტი ილია ჭავჭავაძე

1. იურისტი
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფის ხელმძღვანელი
3. საქართველოს ისტორიისა და სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფის ხელმძღვანელი
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფის ექსპერტები (5 ვაკანსია)
5. საქართველოს ისტორიისა და სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფის ექსპერტები (3 ვაკანსია)

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, პროექტის "ილია ჭავჭავაძე" ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ ამოცანის განსახორციელებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

1. იურისტი
ძირითადი მოვალეობები:
■ პირობების შემუშავება და ხელშეკრულებების გაფორმება:
■ იმ პირებთან ან ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტესტების მოსამზადებელი მასალების გაყიდვასა და გავრცელებას;
■ საფოსტო მომსახურებისა და გადაზიდვების ორგანიზაციებთან;
■ სარეგისტრაციო პუნქტების და საგამოცდო ცენტრების უფროსებთან და თანამშრომლებთან;
■ დაცვის სამსახურებთან;'
■ საგამოცდო ტესტების გამსწორებლებთან;
■ სარეგისტრაციო პუნქტებისა და საგამოცდო ცენტრების ნორმალური მუშაობისათვის სამართლებრივი საფუძვლის მომზადება;
■ საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების პროექტის სამართლებრივი შესაბამისობის უზრუნველყოფა;
■ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კომერციული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ცენტრის წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
■ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლობა სასამართლოში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
■ უმაღლესი განათლების დიპლომი იურისპრუდენციაში;
■ სამოქალაქო სამართალში მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება;
■ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ღრმა ცოდნა;
■ გუნდში მუშაობის კარგი ჩვევები;
■ კომპიუტერის ცოდნა.

ანგარიშვალდებულება:
იურიდიული ექსპერტი ანგარიშვალდებული იქნება შეფასებისა და გამოცდების ცენტრის დირექტორის წინაშე.

დასაქმების ხანგრძლივობა:
თავდაპირველად შრომითი ხელშეკრულება დაიდება სამი თვის საგამოცდო ვადით და წარმატებული მუშაობის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.
აღნიშნული თანამდებობა ნახევარგანაკვეთიანია.

2. საბუნემისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფის ხელმძღვანელი
3. საქართველოს ისტორიისა და სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფის ხელმძღვანელი

ძირითადი მოვალეობები:
■ ჯგუფის ხელმძღვანელობა საგამოცდო პროგრამის მომზადებასა და მისაღები გამოცდების ტესტების შექმნაში;
■ ტესტის დიზაინისა და ტესტის ფორმატის განსაზღვრა;
■ ტესტის დავალებების შემქმნელთა მუშაობის ხელმძღვანელობა;
■ ტესტის გამსწორებელთა შერჩევის კოორდინაცია;
■ ტესტის გამსწორებელთა ტრენინგის ხელმძღვანელობა;
■ შეფასების სქემების შემუშავების ხელმძღვანელობა;
■ ტესტის დავალებათა გამოცდის პროცედურის დაგეგმვა;
■ საგამოცდო პროგრამის მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის;
■ დაინტერესებულ ჯგუფებთან შეხვედრებისა და სემინარების დაგეგმვა;
■ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი მასალების შექმნის კოორდინაცია (ტესტის ნიმუშთა კრებულები, ინსტრუქციები, საგამოცდო პროგრამა);
■ მოსამზადებელი მასალების გავრცელების დაგეგმვა (საინფორმაციო და ტესტის ბუკლეტები აბიტურიენტების, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის);
■ გამოცდების უსაფრთხო და ობიექტური ადმინისტრირების ხელშეწყობა; საგამოცდო მასალების კონფიდენციალობის დაცვა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
■ უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, საქართველოს ისტორია, სოციალური მეცნიერებები)
■ საგნის სწავლების მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება;
■ ტესტის შექმნის გამოცდილება;
■ საგნის სწავლებაში უკანასკნელი მიღწევების ცოდნა.
■ გუნდური მუშაობის კარგი ჩვევები;
■ კომპიუტერის ცოდნა;
■ წარმოდგენა სტატისტიკის ელემენტების შესახებ.

ანგარიშვალდებულება:
ჯგუფის ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი იქნებიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წინაშე.

დასაქმების ხანგრძლივობა:
თავდაპირველად შრომითი ხელშეკრულებები დაიდება სამი თვის საგამოცდო ვადით და წარმატებული მუშაობის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.
აღნიშნული თანამდებობები სრულგანაკვეთიანია.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფის ექსპერტები
(პასუხისმგებლები საგამოცდო ტესტებზე ფიზიკა, ქიმიასა და ბიოლოგიაში)

5. საქართველოს ისტორიისა და სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფის ექსპერტები
(პასუხისმგებლები საგამოცდო ტესტებზე ისტორიასა და გეოგრაფიაში)

მოვალეობები:
■ საგამოცდო პროგრამის მომზადება;
■ შესაბამის საგანში საგამოცდო ტესტის დავალებათა ბანკის შექმნა;
■ შესაბამის საგანში ტესტურ დავალებათა გამოცდის უზრუნველყოფა, ანალიზი და რევიზია;
■ ტესტის გამსწორებელთა შერჩევაში მონაწილეობა;
■ ტესტის საბოლოო ფორმატისა და შეფასების სქემის შემუშავება;
■ ტესტის გამსწორებელთა ტრენინგში მონაწილეობის მიღება;
■ საგამოცდო ტესტის შედეგების ანალიზი;
■ ტესტის ნიმუშთა კრებულისათვის ინფორმაციის მომზადება;
■ საგამოცდო - სააპელაციო პროცედურაში მონაწილეობის მიღება;
■ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;
■ გამოცდების უსაფრთხო და ობიექტური ადმინისტრირების აუცილებლობის გაცნობიერება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
■ უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია გეოგრაფია)
■ საგნის სწავლების მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება;
■ საგნის სწავლების უკანასკნელი მიღწევების ცოდნა;
■ გუნდური მუშაობის კარგი ჩვევები;
■ კომპიუტერის ცოდნა.

ანგარიშვალდებულება:
ჯგუფის ექსპერტები ანგარიშვალდებულნი იქნებიან ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

დასაქმების ხანგრძლივობა:
შრომითი ხელშეკრულებები ერთწლიანია. განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.
აღნიშნული თანამდებობები სრულგანაკვეთიანია.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადის ნიმუშის მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 96-80-78; 95-98-25.
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ხათუნა მხეიძე**
ელ-ფოსტა: naec.@naec.ge

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2005 წლის 17 მაისი.

პუტინის უპრეცედენტო ტურნე ახლო აღმოსავლეთში

რუსეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენის აღდგენას ცდილობს

ხათუნა ბაბიევი

ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი დიდ ინტერესს იწვევს. თუკი ეგვიპტე რუსეთთან თანამშრომლობაზე აკეთებს აქცენტს, ისრაელს ოფიციალური მოსკოვისადმი მეტი სასაყვედურო დაუგროვდა.

რუსეთის პრეზიდენტის "პირველი ვიზიტების ტურნე", როგორც მას უწოდებენ კრემლში, ახლო აღმოსავლეთში გუშინ დაიწყო. ამ რეგიონში პუტინის ოთხდღიან ტურნეს ზოგიერთი ანალიტიკოსი უპრეცედენტოსაც უწოდებს, რადგან ცნობილი ფაქტია, რომ ამ რეგიონს რუსეთის ხელისუფლების პირველი პირები ვიზიტებით არ ანებივრებენ.

უკანასკნელად ეგვიპტეს რუსეთის (იმ დროს კი საბჭოთა კავშირის) პირველი პირი (ნიკიტა ხრუშჩოვი) 1964 წელს ეწვია, ისრაელსა და პალესტინას კი ასეთი პატივი არასოდეს რგებიათ. მიუხედავად ამისა, ამ რეგიონზე მოსკოვს ათწლეულების განმავლობაში დიდი გავლენა ჰქონდა. რუსეთმა ახლო აღმოსავლეთზე თანდათან დაკარგა გავლენა და, სავარაუდოდ, ოფიციალურად გაცხადებული მთელი რიგი საკითხების გარდა, ეს ვიზიტი მისი აღდგენის მცდელობაც უნდა იყოს.

თავად რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, ვიზიტის მიზანი რეგიონში სამშვიდობო პროცესისთვის დამატებითი იმპულსების მიცემაა. როგორც ჩანს, საერთაშორისო შუამავლის რანგში რუსეთის პრეზიდენტის ამბიცია საკმაოდ მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება, რადგან ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის როლი არც იმდენად მასშტაბურია.

ნებისმიერ შემთხვევაში, საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწის იმიჯის მორგებისას ვლადიმირ პუტინი თავს ვერ აარიდებს მისთვის არასასიამოვნო კითხვებსაც. ალბათ, არაა რთული წარმოსადგენი იმ საკითხთა ნუსხა, რომლებზეც პასუხის გაცემა ვლადიმირ პუტინს ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან შეხვედრისას მოუწევს. ესენია: რუსეთის მიერ ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერა და სირიისათვის საჰაერო-სარაკეტო კომპლექსის მიყიდვა. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტს აქაც, ჩვეულებისამებრ, ურყევი პოზიცია უკავია. როგორც აღმოსავლური ტურნეს დაწყებამდე აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა, იგი მაინც განაგრძობს ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერას, ვინაიდან ეჭვიც არ ეპარება ოფიციალური თეირანის სამშვიდობო მიზნებში. რაც შეეხება სირიასთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობას, "სტრელეც"-ის ტიპის რუსული საჰაერო-სარაკეტო კომპლექსი ისრაელისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა - უკიდურეს შემთხვევაში, იგი ისრაელის ავიაციას მხოლოდ სირიის პრეზიდენტის ოფიციალური რეზიდენციის თავზე დაბალ სიმაღლეზე ფრენისას შეუქმნის პრობლემას.

ახლო აღმოსავლელი ლიდერებიდან ვლადიმირ პუტინი პირველად ეგვიპტის პრეზიდენტს ჰოსნი მუბარაქს შეხვდება. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტი მოლაპარაკებებს გამართავს რუსეთ-ეგვიპტის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტთან ფათხი სურურთან და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მეთაურთან ამრ მუსასთან. განსახილველი საკითხები მართლაც მრავალფეროვანია - ეკონომიკა, ვაჭრობა, ენერგეტიკა, კოსმოსური სივრცე და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა.

ვლადიმირ პუტინის თანაშემწის სერგეი პრიხოდკოს განცხადებით, ქაიროს შეხვედრაზე ლიდერები 2004 წლის მაისში მოსკოვში გამართული რუსეთ-ეგვიპტის სამიტის შეთანხმებების განხორციელებაზე იმსჯელებენ. გარდა ამისა, რუსეთისა და ეგვიპტის პრეზიდენტები შეეხებიან ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესს; ერაყის, ლიბანისა და სირიის საკითხებსაც. **"ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის რეგულირებაში უკანასკნელ ხანს გაჩენილი დადებითი ტენდენცია გარკვეულ პროგრესზე მეტყველებს"**, - აცხადებს სერგეი პრიხოდკო.

ვლადიმირ პუტინი ჰოსნი მუბარაქთან ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაზეც ისაუბრებს. **"ჩვენი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, პრინციპში, დამაკმაყოფილებელია, თუმცა არსებობს საკითხები, რის ინტენსიფიკაციასაც ვისურვებდით - ეს ეხება რუსული ბიზნესის მხარდაჭერას. აქტიური პოლიტიკური დიალოგი და განსახილველ საკითხთა შესახებ პოზიციათა თანხვედრა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ჩვენს ურთიერთობებს სტრატეგიული თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა ვუწოდოთ,"** - აღნიშნავს პუტინის თანაშემწე.

არჩევნები - ფალსიფიკაცია - რევოლუცია

არის თუ არა აზერბაიჯანი რევოლუციის საფრთხის წინაშე

საქართველოში "ვარდების რევოლუციის", უკრაინაში "ნარინჯისფერი რევოლუციის" და ყირგიზეთში "ტიტების რევოლუციის" შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა და მათი საბჭოთა ხელისუფალნი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებისა და დაუმორჩილებლობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.
დღეს ისინი რევოლუციის შედეგად ხელისუფლებიდან წასვლის პოტენციური კანდიდატები არიან.
რევოლუციაგამოვლილ სამივე ქვეყანაში ყველაფერი არადემოკრატიული, გაყალბებული არჩევნებით დაიწყო და შემდეგი სცენარით განვითარდა: არჩევნები - ფალსიფიკაცია - რევოლუცია.
მიმდინარე წლის ნოემბერში აზერბაიჯანში საპარლამენტო არჩევნები იგეგმება.

ნინო გომართელი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო კომიტეტმა რამდენიმე დღის წინ გამართულ შეხვედრაზე აზერბაიჯანთან და დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დეკლარაცია მიიღო, რომელშიც, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კლიმატის გამო, "სერიოზული შეშფოთებაა" გამოთქმული.

"ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო კომისია ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს აზერბაიჯანში არსებული საერთო პოლიტიკური ატმოსფეროს თაობაზე. საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე 6 თვით ადრე არ არის უზრუნველყოფილი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელი რიგი წინაპირობები, კერძოდ - აზრის გამოხატვის თავისუფლება და მშვიდობიანი შეკრებების ჩატარების უფლება," - აღნიშნულია დეკლარაციაში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო კომიტეტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოპოზიციას, თითქმის, არ აქვს შესაძლებლობა, საკუთარი აზრი ამომრჩევლებამდე მიიტანოს. ურთიერთუნდობლობა და ბრალდებები კი ხელს უშლის კონსტრუქციული და, საერთოდ, ნებისმიერი სახის დიალოგის წარმართვას.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერ უკანასკნელად განხორციელებული შეწყალების შედეგად გათავისუფლებულია პოლიტიკური ოპოზიციის შვიდი წევრი, ასევე - ის პირები, რომლებიც 2003 წლის ოქტომბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით იყვნენ დაკავებულნი. გათავისუფლებულნი არიან პოლიტიკური პატიმრებიც, თუმცა აღნიშნული პირები პოლიტიკურ პროცესებში ვერ ჩაერთვებიან, რადგან უზენაეს სასამართლოს მათთვის დაკავებამდე წაყენებული ბრალდება არ მოუხსნია.

საპარლამენტო ასამბლეის ყურადღებას იქცევს მედიის თავისუფლება და მუშაობა. სადამკვირვებლო კომიტეტი კვლავინდებურად ვერ ამჩნევს რესპუბლიკის ტელეარხებზე პლურალიზმს და მიაჩნია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივმა ტელევიზიამ თუ პირველმა არხმა, რაც შეიძლება, სწრაფად დაიწყოს მუშაობა ისე, როგორც ეს ნამდვილ დამოუკიდებელ სატელევიზიო არხებს შეეფერება.

"აზერბაიჯანში დამოუკიდებელი ჟურნალისტები კვლავინდებურად იდევნებიან; ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკული ჟურნალისტის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის შემდეგ კი საკუთარ სიცოცხლეს უფრთხილდებიან. ოპოზიციური პრესა ისევ საკუთარი პროდუქციის გამოქვეყნებისა და გავრცელების პრობლემის წინაშე დგას; ამასთან, ძალზედ დიდ ჯარიმებს იხდის," - აღნიშნავს სადამკვირვებლო კომიტეტი, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომელიც ქვეყნის ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა, განხორციელდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. ამ კუთხით უმნიშვნელოვანესი კი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების საკითხია.

კომისია, ასევე, ელის, რომ უცხოეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საარჩევნო პროცესზე დაკვირვება შეზღუდვების გარეშე წარიმართება.

"კომიტეტს სურს, აღნიშნოს, რომ დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიის გადამწყვეტი გამოცდაა, განსაკუთრებით კი 2004 წლის მუნიციპალური არჩევნების სერიოზული ნაკლოვანებების, და იმ ძალადობის თუ გაყალბებების გათვალისწინებით, რამაც 2003 წელს საპრეზიდენტო არჩევნებს ჩრდილი მიაყენა," - აღნიშნულია დეკლარაციაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო კომიტეტი ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც მოუწოდებს, რომ საკუთარი ვალი მოიხადონ აზერბაიჯანის მოსახლეობის წინაშე და **"გაითავისონ - ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მიზნები შეუძლებელია განხორციელდეს დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გარეშე.**

ხელისუფლებამ, ასევე, უნდა გაითავისოს, რომ შეკრების თავისუფლება და საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება არამხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის ფორმალური ვალდებულებებია, არამედ ეს ის პრინციპებია, რაც მუდმივად უნდა არსებობდეს დემოკრატიული ქვეყნის ყოველდღიურ ყოფაში".

2003 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციას დემონსტრაციებითა და პიკეტების მოწყობით საკუთარი ამომრჩევლის ხმების დაცვის მცდელობა ჰქონდა, თუმცა - უშედეგო, რადგან რესპუბლიკის მოქმედმა ხელისუფლებამ ეს მცდელობა სასტიკად აღკვეთა. ბაქოში თავისუფლების მოედანი ბრძოლის ველად იქცა; ხელკეტებით შეიარაღებული პოლიცია დემონსტრანტებს არბევდა; საბოლოოდ კი, 150-მდე პოლიტიკური აქტივისტი ციხეში მოხვდა.

უკვე დღეს ანტისამთავრობო კოალიციები მომავალ, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ადგილების მოსაპოვებლად ბრძოლას იწყებენ. ოპოზიციონერი ლიდერები აცხადებენ, რომ წინა არჩევნებში დამარცხებით კარგი გაკვეთილი მიიღეს და ახლა დემოკრატიული ცვლილებების უზრუნველსაყოფად მზად არიან, ბოლომდე იბრძოლონ.

ამერიკული ზეწოლა ერაყის ახალი მთავრობის კონტურებს სახავს

რამდენიმეთვიანი ლოდინის შემდეგ გუშინ პოსტსადამისეულ ერაყში ახალი მთავრობის ჩამოყალიბების დასრულების იმედი გაჩნდა. პრეზიდენტ თალაბანის წარმომადგენელმა აბდულ ალ-კადჰიმ პრესას აცნობა, რომ ერაყის პრემიერ-მინისტრად დასახელებულმა იბრაჰიმ ალ-ჯაფარიმ პრეზიდენტს მთავრობის სავარაუდო შემადგენლობა წარუდგინა. იმ შემთხვევაში, თუ საპრეზიდენტო საბჭო (პრეზიდენტი და ორი ვიცე-პრეზიდენტი) მთავრობის წევრთა კანდიდატურებს მოიწონებს, ახალი მინისტრთა კაბინეტის პარლამენტში დამტკიცება, ალბათ, პრობლემა აღარ იქნება.

ბოლო ხანს ნათელი გახდა, რომ ერაყში საპარლამენტო არჩევნებიდან, თითქმის, უკვე სამი თვის მანძილზე მთავრობის ფორმირების გაჭიანურებული პროცესი თეთრ სახლში ძალიან მობეზრდათ. სიტუაციას ართულებდა ის ფაქტიც, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ამბოხებულებმა რამდენიმე კარგად ორგანიზებული თავდასხმა განახორციელეს ამერიკელ სამხედროებსა და ერაყის უსაფრთხოების ძალებზე, რის შედეგადაც უამრავი ადამიანი დაიღუპა.

მართალია, გუშინ ალ-კადჰის კაბინეტის შემადგენლობაზე კონკრეტულად არ უსაუბრია, მაგრამ, როგორც ჯაფარის მომხრე პარლამენტარები აცხადებენ, სავარაუდოდ, 31 მინისტრით დაკომპლექტებულ კაბინეტში შიიტები, ქურთები და სუნიტები პროპორციულად (არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად) იქნებიან წარმოდგენილნი.

თუმცა, როგორც ჩანს, უკანასკნელი, საკმაოდ დიდხანს გაგრძელებული კონსულტაციებისას გადაწყდა, რომ შიიტებს ერთი ადგილი კიდევ დაუთმონ - შესაბამისად, კაბინეტის წევრთა რიცხვიც 32-მდე გაიზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრს აიად ალავის საკმაო რაოდენობით მომხრე ჰყავს პარლამენტში (275-წევრიან საკანონმდებლო ორგანოში 40 დეპუტატი), მისი გუნდიდან კაბინეტში ვერავინ მოხვდება. სადამის შემდგომი ერაყის პირველი (ადგილობრივი) მმართველის იგნორირების მიზეზად ის იქცა, რომ შიიტები ამ უკანასკნელს ყოფილ მთავრობაში "ბაასისტების" შეყვანაში ადანაშაულებდნენ.

ეჭვგარეშეა, გარედან ძლიერი ზეწოლა რომ არა, პოლიტიკური დებატები ასე მალე არ დასრულდებოდა. მაგრამ, დაინტერესებულ მხარეებს (პირველ რიგში, აშშ-ს) არანაირად აძლევთ ხელს მთავრობის ფორმირების გადავადება; მით უმეტეს, რომ ამბოხებულები ძალებს იკრებენ და სულ უფრო ხშირად აწყობენ ტერაქტებს.

სააგენტო "ასოშეიეტედ პრესი", ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომ პარასკევს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ქურთთა ერთ-ერთ ლიდერს მასუდ ბარზანის დაურეკა და სთხოვა, რაც შეიძლება მალე დაესრულებინათ მთავრობის ფორმირება. თუმცა, როგორც იგივე წყარო განმარტავს, რაისს არ შეუთავაზებია კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი გზები.

კონდოლიზა რაისი პარასკევს თეთრ სახლში შიიტთა ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკოსს ადილ აბდელ მაჰდისაც შეხვდა და მასაც ბუშის ადმინისტრაციის სურვილი გადასცა - რაც შეიძლება, მალე იხილონ ახალი ერაყული მთავრობა.

რატომ "ჩააგდებს" საფრანგეთი ევროპის კონსტიტუციას

შარლ ვიპლოცი
ჟენევის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტთან არსებული ფულისა და საბანკო საქმის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, მსოფლიო ეკონომიკის პროფესორი

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს თუ ვენდობით, 29 მაისს ფრანგები ევროკავშირის კონსტიტუციურ შეთანხმებას არ დაამტკიცებენ. იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციის რატიფიცირება ევროკავშირის ყველა წევრმა-სახელმწიფომ უნდა მოახდინოს, საფრანგეთის "არა", ფაქტობრივად, მას დაასამარებს.

მოვლენების ასეთი განვითარება, შესაძლოა, წარმოუდგენლად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ მას ბევრი წინაპირობა ჰქონდა. გასაოცარი ალბათ იმიტომაა, რომ საფრანგეთი - არა მარტო ევროპული თანამეგობრობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, არამედ "კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისკენ" გადადგმული ძირითადი ნაბიჯების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორიც იყო. თუმცა, საფრანგეთის წინააღმდეგობა მაინც პროგნოზირებადი უნდა ყოფილიყო, რადგან უკვე ათი წელია, ეს ქვეყანა ევროკავშირს სცილდება. ასე რომ, დღეს იგი სულ უფრო მეტად გრძნობს თავს იზოლირებულად. რასაკვირველია, ყოველი გაფართოების შემდეგ თავად ევროპაც "შორდებოდა" საფრანგეთს, მაგრამ განდგომის მთავარი მიზეზი მაინც თავად საფრანგეთში ძევს.

ფრანგებისთვის ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მათი სტატუსი და პრესტიჟი მცირდება - არა მარტო მსოფლიო პოლიტიკაში, არამედ კულტურაში, მეცნიერებაში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ენის სტატუსიც ეცემა. გაერთიანებული ევროპა ხომ საფრანგეთის ძველებური გავლენის დაბრუნების საშუალება უნდა ყოფილიყო.

სამი ათწლეულის განმავლობაში ეს თვალსაზრისი სინამდვილეს შეეფერებოდა. საფრანგეთისა და გერმანიის კავშირი მთელ ევროპას კარნახობდა საკუთარ პოლიტიკას. გეოპოლიტიკური ძლიერების სურვილის არმქონე გერმანია (ნაცისტურმა წარსულმა ეს სურვილი ჩაუქრო) თანახმა იყო, მხარი დაეჭირა საფრანგეთის ამბიციებისთვის, ვიდრე "საერთო ბაზარი" მას ევროპის ეკონომიკურ ლოკომოტივად დარჩენის საშუალებას აძლევდა.

მაგრამ, ეს კავშირიც ირღვევა იმის პირდაპირპროპორციულად, თუ როგორ ეცემა თავად გერმანიის სტატუსი ეკონომიკური წარმატებებისა და პრესტიჟული "დოიჩმარკის" გარეშე; უფრო მეტიც, გერმანია ახლა საკუთარი პოლიტიკური გავლენის გაზრდით არის დაინტერესებული და, შესაბამისად, აღარ აკმაყოფილებს საფრანგეთთან კავშირით მიღებული სარგებელი.

ამავდროულად, ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე ევროკავშირის გაფართოების პროცესი სცენაზე ახალი, ძლიერი კონკურენტების გაჩენას იწვევდა (პირველ რიგში - ესპანეთის და დიდი ბრიტანეთის), ისევე როგორც მცირე ქვეყნების, რომელთაც არ სურდათ გერმანია-საფრანგეთის დომინანტობასთან შეგუება. მოკლედ, საფრანგეთმა დაკარგა ევროპაზე კონტროლი. რა თქმა უნდა, ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ საფრანგეთმა მხოლოდ ახლა დაიწყო მომხდარი ფაქტის გააზრება - პროცესი კი საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა.

ასევე, "დაჭრილია" საფრანგეთის ეკონომიკაც. ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ელეოდა თავისი ეკონომიკის "განსაკუთრებულობაზე" მცდარ შეხედულებებს. იგი უარს ამბობდა როგორც ცენტრალიზებულ მართვაზე, ასევე ბაზრის ლიბერალიზაციაზე და აცხადებდა, რომ მას საკუთარი დაბალანსებული "ოქროს შუალედი" ურჩევნია. ფრანგებს არ ანაღვლებთ, რომ დღემდე ვერ მოახერხეს "მესამე გზის" შესახებ შეხედულებების სრულად ჩამოყალიბებაც. ისინი კვლავაც ღრმად არიან დარწმუნებული, რომ სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ბაზრის მართვაში, რათა "უზენაესი" ფასეულობები "გონება-შეზღუდული" მატერიალიზმისგან დაიცვას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფსევდომარქსისტული ინტელიგენციის მიერ გავრცელებული ეს შეხედულება ფრანგებმა ისე მყარად ჩაიბეჭდეს გონებაში, რომ აღარც ცდილობენ, გაერკვნენ, თუ როგორ მუშაობს ბაზარი. ისინი ეკონომიკას იდეოლოგიების ბრძოლის ველად აღიქვამენ, სადაც ნებისმიერ მოსაზრებას შეიძლება მიემხრო, მაშინაც კი, თუ ის ლოგიკას და ფაქტებს სცილდება.

და მაინც, ფაქტები ჯიუტი რამაა. ზრდის ტემპები მეოთხედი საუკუნის განმავლობაში არ მომატებულა, ხოლო უმუშევრობის დონე ისევ მაღალია. ერთ დროს უსაზღვრო ინდივიდუალიზმის გამოვლინებად მიჩნეული დამნაშავეობა დღეს ისეთსავე მაღალ დონეზეა, როგორც ფრანგების მიერ "ყველაფერი ცუდის" მაგალითად (bete noire) მიჩნეულ აშშ-ში.

რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ევროპასთან? ევროგაერთიანება, მთელი თავისი ბუნებით, ეკონომიკური კონკურენციის ზრდას უწყობს ხელს, მაგრამ საფრანგეთი საამისოდ ცუდადაა მომზადებული. ევროპული ქვეყნების უმეტესობამ მიყოლებით მოახდინა საკუთარი ეკონომიკის ისეთი რეფორმირება, რომ თან იმ ხელსაყრელი აკრძალვებისგან გათავისუფლდნენ, რომლებსაც მანამდე თითოეული დაინტერესებული ჯგუფის კონკურენციისგან ან ზეწოლისგან დასაცავად იყენებდნენ. თვით გერმანიამაც კი, მას შემდეგ, რაც მისი ეკონომიკური რეზულტატები საფრანგეთზე უარესი აღმოჩნდა, ამჯერად გადამწყვეტი ზომები მიიღო.

საფრანგეთის მთავრობები, განურჩევლად თავიანთი პოლიტიკური ორიენტაციისა, იმის გამო, რომ, ქუჩის საპროტესტო აქციების შიშით, შრომის ბაზრის რეფორმირებას ვერ ახერხებენ, ცდილობენ, თავიანთი სუსტი ფირმები როგორღაც დაიცვან, რის შემდეგაც იმ აკრძალვებს აწყდებიან, რასაც "საერთო ბაზრის" წესები კარნახობთ. საფრანგეთის გაბერილ სახელმწიფო სექტორს, რომელსაც ბევრი მიიჩნევს უკიდურეს შემთხვევაში დასაქმების საუკეთესო ადგილად, საკუთარი, ძვირად ღირებული პერსონალის რჩენის უნარი არ შესწევს.

თუმცა, მრავალი კერძო ფრანგული ფირმა დღეს წარმატებულად საქმიანობს, ოლონდ ამას, ძირითადად, შრომითი რესურსების ეკონომიისა და წარმოების სხვა ქვეყნებში გადატანის ხარჯზე ახერხებს - უფრო კი ევროსაბჭოს წევრ იმ ქვეყნებში, რომლებიც კავშირში ახლახან გაერთიანდნენ და იქ მუშახელი გაცილებით იაფია. სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემა საშინელ მდგომარეობაშია, ხოლო საფრანგეთის უმაღლესი განათლების სისტემა დღეს სხვა ევროპული ქვეყნების მხრიდან მძაფრ კონკურენციას განიცდის.

ეკონომიკური შეჭირვებისა და გავლენის დაკარგვის გამო, ფრანგები დაშინებულები არიან - მომავლის ეშინიათ, ვინაიდან ეს მომავალი მათ ან საბაზრო რეფორმებს უქადის, ან მორიგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაღმასვლას. ფრანგებისთვის ერთიც და მეორეც მიუღებელია, თუნდაც იმიტომ, რომ სრულ შეუსაბამობაშია ფრანგულ თავმოყვარეობასთან.

ევროპული კონსტიტუციის წვლილი ამ პრობლემებში უმცირესია, მაგრამ ფრანგების უმეტესობა ეჭვით უყურებს იმ სტრატეგიას, რომელიც დიდხანს ნიღბავდა საფრანგეთის სტატუსის დაცემას. მათ, როგორც თავად მიაჩნიათ, ანგლოსაქსური ეკონომიკური პრინციპების დომინირება აშფოთებთ - ეს ხომ ფრანგების მითიური "გამორჩეულობის" დასამარება იქნებოდა.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის მოქალაქეთა უმრავლესობას, საბოლოო ჯამში, ხელს აძლევს ამ არაეფექტური პრივილეგიების აბლაბუდიდან თავის დაღწევა, მაგრამ ამომრჩეველთა დიდ ნაწილს, რომელიც ცუდი ეკონომიკური პირობებისგან ზარალდება და უმუშევრობის ზრდა აღელვებს, გარისკვა არ სურს. ისინი ეკონომიკური პრობლემების მიზეზებში ვერ გარკვეულან და ძველ, კარგ დროებას მისტირიან; ევროპულ კონსტიტუციას კი, შეცდომით, კიდევ ერთ გამოწვევად მიიჩნევენ, რომელიც მათ დახმარებისა და ზრუნვის ნაცვლად მიიღეს. შეშინებული ადამიანები კი იშვიათად აკეთებენ გონივრულ არჩევანს.

პროექტი "სინდიკატი", 2005 წ.

ორი სიტყვით

ჩრდილოეთი კორეა. გავრცელებული ინფორმაციით, აშშ გაერო-ში შესატანად ამზადებს რეზოლუციას, რომლის პირობებითაც უნდა დააკავონ ჩრდილოეთ კორეაში გაგზავნილი ყველა ტვირთი. ამერიკის ადმინისტრაციის წყაროებმა ამ საკითხის განხილვის ფაქტი დაადასტურეს, თუმცა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღიათ. გაერო-ს მიერ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ სანქციების დაწესებას ოფიციალური ფხენიანი ომის გამოცხადებად აღიქვამს. ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფხენიანს განზრახული აქვს, იმოქმედოს პრინციპით - "გამარჯვება ან სიკვდილი" და, საერთაშორისო სანქციების ამოქმედებების შემთხვევაში, საპასუხო ზომები მიიღოს. ოფიციალური ფხენიანი კვლავინდებურად ითხოვს აშშ-ს სახელმწიფო მდივნისგან კონდოლიზა რაისისგან ჩრდილოეთ კორეისთვის "ტირანიის ფორპოსტად" წოდებისთვის ახსნა-განმარტებას. ფხენიანის თქმით, მისი ბირთვული პროგრამის საკითხზე ექვსმხრივი მოლაპარაკებები არ განახლდება, ვიდრე ამერიკის ადმინისტრაცია, რაისის განცხადების გამო, ბოდიშს არ მოიხდის. **ინტერპრესი**

■ ■ ■

აშშ. სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ტურნე ბრაზილიაში ვიზიტით იწყება. რაისის თქმით, ამ ნაბიჯით მას სილატაკესთან ბრძოლაში დემოკრატიის როლის ხაზგასმა სურს. სილატაკესთან ბრძოლით დემოკრატიის ხარისხის ამაღლების ლათინურ ამერიკაშიც სჯერათ. თუმცა, არსებობს მეორე მიზეზიც, რისთვისაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი პირადად აპირებს სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ლიდერებთან შეხვედრას - უკანასკნელ ხანს ვენესუელისა და კომუნისტური კუბის პოზიციების დაახლოება, ნაკლებად სავარაუდოა, აშშ-ს ინტერესებში შედიოდეს. ოფიციალური ვაშინგტონის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ლათინურ ამერიკაში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებაც. გასულ კვირას თანამდებობიდან იქნა გადაყენებული ეკვადორის პრეზიდენტი - აშშ-ს მოკავშირე ლუსიო გუტიერესი. **ბი ბი სი**

ხმაური რკინიგზის ირგვლივ

რკინიგზით მგზავრობა ძვირდება

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი შპს "საქართველოს რკინიგზის" და მისი გენერალური დირექტორის მუშაობით უკმაყოფილოა. გუშინ კომიტეტის მორიგ სხდომაზე დავით ონოფრიშვილს უსმენდნენ, რომელიც კომიტეტის წევრების, რბილად რომ ვთქვათ, თავდასხმების მოგერიებას რამდენიმე საათის განმვლობაში ცდილობდა. კანონმდებელთა პრეტენზიები, ძირითადად, რკინიგზის სატარიფო პოლიტიკას ეხებოდა.

მარიამ ჭაჭვაძე

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობას სატარიფო პოლიტიკის გადახედვას ურჩევს.

მისი თქმით, გარკვეული წინსვლის მიუხედავად, რკინიგზაში ჯერ კიდევ არსებობს რამდენიმე გადაუჭრელი პრობლემა, რის გამოც გადამზიდავთა საქმიანობა სერიოზულად იზღუდება.

"ერთი წლის წინ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარკინიგზო გადაზიდვებზე ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით. მართალია, ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით გადაიხედა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. არ უნდა მოხდეს ისე, რომ სარკინიგზო გადაზიდვების მონოპოლისტები მივიღოთ. საჩივრები ამასთან დაკავშირებით უკვე არსებობს," - განაცხადა ლეკიშვილმა.

კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ბათუმის ნავთობტერმინალი, რომელიც ტვირთების გადაზიდვის პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს, გარკვეულ გადამზიდავ კომპანიებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ლეკიშვილმა რკინიგზის ადმინისტრაციას ურჩია, რომ გადაზიდვების პროცესში ბათუმის ტერმინალის მონაწილეობა მკაცრად გააკონტროლოს.

"მსგავსი პროცესები დამღუპველია, რამაც თავი შესაძლოა, 2-3 წლის შემდეგ იჩინოს," - განაცხადა ლეკიშვილმა.

ლეკიშვილის მოადგილემ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვაჟა კილაძემ კი ონოფრიშვილს არაკომპეტენტური მენეჯერი უწოდა და მისი თანამდებობიდან მოხსნის ინიციატივითაც გამოვიდა. როგორც კილაძემ განაცხადა, "საქართველოს რკინიგზაში" წინა წლებთან შედრებით მნიშვნელოვნად შემცირებულია ტვირთბრუნვა, მოგება და შემოსავლები. კილაძის თქმით, კარგი მენეჯერის შეფასების კრიტერიუმები კი სწორედ ეს მაჩვენებლებია. **"ადრე რკინიგზაში თანხებს იპარავდნენ, თუმცა ბრუნვა, შემოსავლები და მოგება უფრო მეტი იყო. ახლა, როცა ყველაფერი თითქოს წესრიგშია, ეს მაჩვენებლები გაუარესდა. ონოფრიშვილი ან კორუმპირებულია ან არაპროფესიონალი,"** - განაცხადა კილაძემ.

თავის მხრივ, კილაძის ამ ბრალდებას "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილიც გამოეხმაურა. როგორც მან განაცხადა, კილაძე უსახური დეპუტატია, რომლის გვარიცა და სახელიც ბევრმა არ იცის, თუმცა მას რკინიგზაში გარკვეული ინტერესები გააჩნია.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე "საქართველოს რკინიგზის" განვითარებაში სახელმწიფოს როლითაც დაინტერესდა. მისი შეფასებით, დღეისათვის სახელმწიფო რკინიგზის განვითარებაში არ მონაწილეობს. ბოლო რამდენიმე წელია, დოტაციის სახით რკინიგზას სახელმწიფო ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ მიუღია, მეტიც, ეს სახელმწიფო საწარმო ყველაზე მსხვილ გადამხდელად ითვლება. ამიტომ, "პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს, რათა "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობას მხარში დაუდგეს და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივებით გამოვიდეს".

"საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაზე კომიტეტში სპეციალური ჯგუფი იმუშავებს," - განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა.

როგორც გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე გახდა ცნობილი, ზაფხულში რკინიგზით მგზავრობა გაძვირდება. ამის შესახებ განცხადება თავად ონოფრიშვილმა გააკეთა. მისივე თქმით, "საქართველოს რკინიგზას" სამგზავრო გადაზიდვები წელიწადში 35-40 მილიონი ლარი უჯდება, თუმცა იმის გამო, რომ სამგზავრო გადაზიდვის ტარიფები, ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, მაღალი არ არის, ამ მიმართულებით რკინიგზა წაგებაზე მუშაობს. **"გადაწყვეტილი გვაქვს, სეზონური ფასები შემოვიღოთ. ზაფხულში კუპირებული ვაგონით მგზავრობის ფასი გაიზრდება. თუმცა, საერთო ვაგონებზე, ე.წ. პლაცკარტებზე ფასები უცვლელი დარჩება, რათა სოციალურად დაუცველმა ფენებმა მგზავრობის შესაძლებლობა არ დაკარგონ,"** - განმარტა ონოფრიშვილმა.

თუმცა, საბოლოოდ "საქართველოს რკინიგზა" მგზავრობის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას ეკონომიკის სამინისტროსთან შეათანხმებს.

გაერო-ს კომისიის თავმჯდომარედ პირველად ირჩევენ ქართველს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, თავისი საქმიანობის პარალელურად, გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მდგრადი განვითარების კომისიას უხელმძღვანელებს - ასეთი გადაწყვეტილება კომისიამ აპრილში გამართულ მე-14 სესიაზე მიიღო. აღსანიშნავია, რომ ალექსი ალექსიშვილი პირველი კანდიდატურაა საქართველოდან, რომელიც გაერო-ში მოქმედი მსგავსი სტრუქტურების ხელმძღვანელად აირჩიეს. კომისიის შემადგენლობაში 50-ზე მეტი წევრია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეკონომიკური და სოციალური განვითარება, სიღარიბის დაძლევა, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა - ეს ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებზეც გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მდგრადი განვითარების კომისია ალექსი ალექსიშვილის ხელმძღვანელობით 2005-2006 წლების მანძილზე იმუშავებს.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესს საქართველოსადმი. "ამ კომისიის მიერ საკითხების განხილვის პროცესში ხშირ შემთხვევაში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები და ფონდები. ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ ეს ფინანსური რესურსები და პროგრამები ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი იქნება და საქართველო უფრო მეტად ჩაერთვება საერთაშორისო პროცესებში," - აცხადებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მდგრადი განვითარების კომისია 1992 წელს დაარსდა. მისი ძირითადი მიზანია გარემოს დაცვისა და განვითარების საკითხების შესწავლა და მონიტორინგი გაერო-ს სისტემაში. კომისია განიხილავს ამ მიმართულებით მოქმედი ორგანიზაციებისა და ინსტიტუციონალური სტრუქტურების ანგარიშებს, მთავრობათა მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს, მუშაობს არსებული და შემხვედრი პრობლემების გადაწყვეტაზე. კომისია ორ წელიწადში ერთხელ ირჩევს თავმჯდომარეს და მუშაობს წინასწარ განსაზღვრულ საკითხებზე. მაგალითად, კომისიის მე-13 სესია განიხილავდა წყალთან, სანიტარიასთან და ადამიანთა დასახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო მე-14 სესიაზე, სადაც თავმჯდომარედ ალექსი ალექსიშვილი დაასახელეს, სამუშაო თემებად სწორედ ეკონომიკა, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა განისაზღვრა.

24 საათი

ირანული 20 მილიონი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციას მოხმარდება

უკვე მეოთხე დღეა, საქართველოში ირანელ ბიზნესმენთა დაახლოებით 20-კაციანი დელეგაცია იმყოფება, რომელსაც ირანის ვიცე-პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. ქართულ-ირანული ბიზნეს-ფორუმი, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, გუშინ დასრულდა. ამჟამად, უცხოელი ბიზნესმენები აჭარას სტუმრობენ. 20 მილიონდოლარიანი კრედიტი და ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი - ეს საქართველო-ირანის რამდენიმედღიანი ურთიერთობის მთავარი მიღწევებია.

გუშინ, ირანელი ბიზნესმენები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ბათუმს ეწვივნენ. ისინი ბათუმში ორ დღეს დაჰყოფენ და 29 აპრილს თბილისში დაბრუნდებიან. აჭარის დედაქალაქში ირანელი ბიზნესმენები ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შეხვდნენ და საპორტე ინფრასტრუქტურა მოინახულეს.

ამას გარდა, უკვე გადაწყდა, რომ ირანის საერთაშორისო განვითარების ბანკი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისათვის საქართველოს 20 მლნ დოლარს გამოუყოფს.

აღნიშნული კრედიტის გამოყოფის გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის ირანის საერთაშორისო განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გადაწყდა. როგორც რომან გოცირიძემ სტუმრებს განუცხადა, დღეს საქართველოს კომერციული ბანკების სისტემა მყარია და ამ ბაზარზე სტუმრებს არ გაუჭირდებათ პარტნიორი ბანკის მოძიება, რომელიც ამ საკრედიტო ხაზის მომსახურებას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შეძლებს. თუ კრედიტი მიმართული იქნება ენერგოსექტორის რეაბილიტაციისთვის, არ არის გამორიცხული, ამ პროექტში სამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობაც. თუმცა, საკრედიტო ხაზის მომსახურება და გარანტიების საკითხები, გოცირიძის თქმით, საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტულ კომერციულ ბანკში უნდა განიხილებოდეს. შეხვედრის დასასრულს მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქართული მხარე დეტალურად განიხილავს საკრედიტო ხაზის მომსახურების მისთვის სასურველ ფორმას და ამის შესახებ ირანულ დელეგაციასთან მოლაპარაკებებს განაახლებს.

გუშინ, ირანელები საქართველოს თავიანთი ბაზრის ქართული პროდუქციის საექსპორტოდ გამოყენებასაც სთავაზობდნენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში საქართველოსა და ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რომლის თანახმადაც, ერთობლივი ქართულ-ირანული ბიზნესსაბჭო ჩამოყალიბდება. იგი ქართველ და ირანელ ბიზნესმენებს ერთობლივი პროექტების განხორციელებაში შეუწყობს ხელს.

24 საათი

ქალბატონებო და ბატონებო,

კავშირ "სახეობათ კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს" პატივი აქვს გამოაცხადოს კონკურსი საგადასახადო-საკონსულტაციო და აუდიტორულ მომსახურეობაზე, 2005 საანგარიშო წლის განმვლობაში:

მომსახურეობა უნდა მოიცავდეს:

1. აუდიტორულ შემოწმებას კვარტალური და წლიური დაყოფით (საქართველოში მოქმედი სტანდარტების მიხედვით).
2. კონსულტაციებს საბუღალტრო, საფინანსო და საგადასახადო საკითხებზე.
3. დახმარებას საგადასახადო დეკლარაციების და სხვა საგადასახადო ანგარიშგების შედგენაში.

გაითვალისწინეთ, რომ ორგანიზაცია იყენებს საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამულ სისტემას "SuperFin"-ს

მომსახურეობის ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს აშშ დოლარებში დღგს-ს ჩათვლით.

გთხოვთ 2005 წლის 11 მაისამდე მოგვაწოდოთ თქვენი საუკეთესო წინადადებებანი.

ფაქსის საშუალებით (995 32) 53-71-24 ან შემდეგ მისამართზე: გამრეკელის № 34.

ინფორმცია ჩვენი ორგნიზაციის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე www.nacres.org

ფერმერები კროს-ვიზიტების აუცილებლობაში დარწმუნდნენ

BP-სა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებში მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სფეროში მთელი რიგი პროექტი ხორციელდება. საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას ნავთობსადენის აღმოსავლეთ მხარეს "მერსი ქორის" ხელმძღვანელობით არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმი ახორციელებს.

2005 წლის 15 აპრილს კონსორციუმის ერთ-ერთი წევრის, ფერმერთა ასოციაცია "ელკანა"-ს თანამშრომლებმა მორიგ გეგმიურ კროს-ვიზიტს გაუწიეს ორგანიზება. ამ ვიზიტის მიზანი გახლდათ ახალი ტექნოლოგიების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება.

11 ფერმერს ქვემო კაპანახჩიდან და მარაბდიდან დაათვალიერებინეს საგურამოს სასათბურე მეურნეობა, გააცნეს "თემის განვითარების სააგენტოს" საქმიანობა მისაქციელში და მცენარეების დაცვის უახლესი პრეპარატები - იმპორტიორ ფირმა "გარემო და ანალიტიკაში". კროს-ვიზიტის ფარგლებში "ელკანა"-ს თანამშრომლებმა ფერმერებს აგრეთვე ჰიპერმარკეტ "გუდვილში" ბოსტნეულის პავილიონი დაათვალიერებინეს.

ფერმერები დიდი ინტერესით გაეცნენ ახალ ტექნოლოგიებს, რომელსაც საგურამოს მეურნეობებში იყენებენ: ჩითილების კასეტებში გამოყვანის უპირატესობას, მცენარეების მინერალებით დამატებითი გამოკვების საშუალებას, სოკოს (კალმახა) ოჯახში მოყვანის პირობებს. სოფელ მისაქციელში სტუმრებმა დაათვალიერეს მეორადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ნახეს ჰელიო წყლის გამაცხელებელი, ხილის და ბოსტნეულის ჰელიო-საშრობი. "თემის განვითარების სააგენტო"-ს თანამშრომლებს ესაუბრეს მცირე ფერმერული მეურნეობებისათვის სამეურნეო საქმიანობაში აუცილებელ მხარდაჭერაზე, პროდუქციის გამრავალფეროვნებაზე და საკრედიტო ხაზის მეორადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის შესაძლებლობის თაობაზე.

ფირმა "გარემო და ანალიტიკა"-ში, რომელიც ფირმების "ბეჯო"-ს, "Nუფარმ"-ის და "დუპონტ" -ის ოფიციალური დისტრიბუტორია ამიერკავკასიაში, დისკუსიის საგანი გახდა მარკეტინგული ქსელის მოქმედება და ანალოგიური ქსელის შექმნა გარდაბნის რაიონში.

"ელკანა"-ს წარმომადგენლის, ქ-ნი მარიამ კოჭლოშვილის შეხედულებით, "კროს-ვიზიტის შედეგად 11 ფერმერი გაეცნო სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების საშუალებებს და დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. შვიდი მათგანი დაინტერესდა კასეტებში ჩითილების მოყვანით, რეალიზაციის მიზნით. სამმა ფერმერმა სოკოს მოყვანა გადაწყვიტა. მოხდა 1 ბიზნეს ინიციატივა გარიგებაზე - რუსეთის ბაზარზე მწვანილის ექსპორტის თაობაზე. ერთ-ერთ ფერმაში ამავე წელს გადაწყდა მზის ბატარეებით წყლის გამაცხელებლის დამონტაჟება; ერთმა ფერმერმა შეხვედრაზევე შეიძინა საზამთროს ჰიბრიდული თესლი სოფელში რეალიზაციის მიზნით. მნიშვნელოვან შედეგად მიმაჩნია აზერბაიჯანელების ინტეგრაციის შესაძლებლობა ქართულ აგრო ბიზნეს გარემოსთან, რას ამ მოქალაქეებისათვის აქამდე ხელმიუწვდომელი იყო".

კროს-ვიზიტის შედეგად გამომუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობების განვითარებას მარაბდაში და ქვემო-კაპანახჩში. გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა თემატური სასწავლო სემინარები ჩატარება დაიტერესებულ ფერმერებისათვის. საერთო აზრის მიხედვით, კროს-ვიზიტებში მონაწილეობა რაც შეიძლება მეტი ფერმერისათვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი.

მოკლედ

ცოლ-ქმარი საპატიმროში შიმშილობს

თაღლითობისა და გამოძალვის ბრალდებით სამი თვის წინ დაკავებული ცოლ-ქმრის -იანა ხუციშვილისა და თემურ ზურიკაშვილის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N5 დაწესებულებასთან გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს. საქმე ისაა, რომ ორივე მათგანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ვადა უკვე ამოეწურა; ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა კი საოლქო სასამართლოს დაკავებულთათვის პატიმრობის ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართავს.

პატიმარი ცოლ-ქმრის ადვოკატის თეა გადრანის განმარტებით, დაკავებულებს სამი შვილი ჰყავთ, მათ შორის, ერთი - 5 თვის. "არასრულწლოვანი შვილები მათი დედისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლას და მის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებას მოითხოვენ, რათა იანა ხუციშვილს ჩვილ ბავშვთან ყოფნის საშუალება მიეცეს. გარდა ამისა, კანონის თანახმად, დედას, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჰყავს ან ქრონიკული დაავადება აწუხებს, კანონი წინასწარი პატიმრობისგან იცავს. დაკავებულები აღკვეთის ღონისძიების სხვა - არასაპატიმრო ფორმით შეცვლის მოთხოვნით, საპატიმროში შიმშილობენ ", - აცხადებს პატიმრობაში მყოფი ცოლ-ქმრის ინტერესების დამცველი. საოლქო სასამართლო ხუციშვილისა და ზურიკაშვილის საკითხს უახლოეს ხანში განიხილავს.

24 საათი

კოდორის ხეობაში პატრულირების დაწყებას ქართული მხარე არ ადასტურებს

რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში დსთ-ს სამშვიდობო ძალებმა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებმა პატრულირება დაიწყეს. თუმცა, ქართული მხარე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ მჟავია კოდორის ხეობის პატრულირების შესახებ საქმის კურსში არ არის.

"მოუმზადებლობის გამო, ხეობის ზედა ნაწილში მონიტორინგის განხორციელება ამჟამად შეუძლებელია", - აცხადებს თეიმურაზ მჟავია.

ლეგიტიმური ხელისუფლების მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ირაკლი გეგეჭკორის ინფორმაციით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში მონიტორინგი 27-28 აპრილიდან განახლდება; ხეობაში პატრულირება ჯერჯერობით არ მიმდინარეობს.

რაც შეეხება პატრულირების მიზეზებს, ირაკლი გეგეჭკორმა ხეობის ზედა ნაწილში კრიმინალური ჯგუფების გადაადგილება კატეგორიულად გამორიცხა. მისი თქმით, აღნიშნული ტერიტორია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაა, სადაც მონიტორინგის განხორციელება გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მისიაში შედის.

"ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანში ერთხელ ჩატარდება ხეობის ზედა ნაწილის პატრულირება", - აცხადებს ირაკლი გეგეჭკორი.

შეგახსენებთ, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მონიტორინგი 2001 წელს შეწყდა.

მედია-ნიუსი

ბანკის გაუჩინარებული მოლარე 20 დღეში იპოვეს

5 აპრილს "პროკრედიტბანკის" თანამშრომლებმა დააფიქსირეს, რომ ბანკის მოლარე თინათინ შპეტიშვილი შესვენების შემდეგ სამსახურში აღარ დაბრუნდა. ბანკის ხელმძღვანელობამ კი აღმოაჩინა, რომ მოლარის გაუჩინარებასთან ერთად დაიკარგა, დაახლოებით, 70 ათასი დოლარი, რომელიც შპეტიშვილის ჩანთაში ინახებოდა.

მომხდარის შესახებ ბანკის თანამშრომლებმა სამართალდამცველებს აცნობეს. წინასწარი შემოწმებით, პოლიციამ ვერც შპეტიშვილის და ვერც მისი მეუღლის კვალს ვერ მიაგნო. "პროკრედიტბანკის" მოლარის გაუჩინარებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია ვრცელდებოდა; ერთი – თითქოს, იგი გატაცებული თანხით საზღვარგარეთ გაემგზავრა, და მეორე – სამართალდამცველები არ გამორიცხავდნენ, რომ შპეტიშვილმა ფული ვიღაცის იძულებით "გაიტაცა" და, შესაძლოა, იგი ცოცხალიც აღარ ყოფილიყო.

თუმცა, შემთხვევიდან 20 დღის გასვლის შემდეგ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პოლიციის და უშიშროების თანამშრომლებმა დანაშაული გახსნილად გამოაცხადეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მერაბ ბაღათურიას განცხადებით, თინათინ შპეტიშვილი სამართალდამცველებმა გუშინ ვაჟა-ფშაველას გამზირზე დააკავეს. "ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შედეგად შპეტიშვილი ვაჟა-ფშაველას გამზირზე ძმასთან ერთად იმ დროს დავაკავეთ, როდესაც იგი ავტომანქანით ქუჩაში მოძრაობდა", - განაცხადა ბაღათურიამ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილიც ესწრებოდა.

"ეჭვმიტანილი განმარტავს, რომ მას ბანკიდან 70 ათასი დოლარი არ წაუღია და იგი სამსახურში 3 800 დოლარის დანაკლისის გამო არ ცხადდებოდა", - თქვა მინისტრმა.

"პროკრედიტბანკში" მომხდარ დანაშაულზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილი იძიებს. შპეტიშვილი დაკავებისთანავე სწორედ საგამოძიებო ნაწილში მიიყვანეს და დაკითხეს. დაკითხვის დეტალები, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ხმაურდება. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, შპეტიშვილი მოსალოდნელ ბრალდებას, ნაწილობრივ, არ ეთანხმება და 70 ათასი დოლარის მითვისებას კატეგორიულად უარყოფს.

24 საათი

კრიმინალური დაჯგუფების ქართველი ლიდერი მოსკოვში მოკლეს

მოსკოვის ცენტრში მდებარე პრესტიჟულ რესტორანში მომხდარ "ზოევიკს" ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო სამმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო; მოგვიანებით ორი - საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამართალდამცველთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კავკასიური წარმომავლობის სამი პირი გვიან ღამით შევიდა რესტორან "-ში და დარბაზში მსხდომებს ცეცხლი გაუხსნა, რის შემდეგაც მათ შემთხვევის ადგილი დატოვეს.

სამართალდამცველთა წინასწარი მონაცემებით, მოსკოვის ცენტრში, პრესტიჟულ რესტორანში მომხდარ ინციდენტს კრიმინალურ სტრუქტურებს შორის მომხდარი დაპირისპირება ედო საფუძვლად. მოსკოვის მილიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად გარდაცვლილები და დაჭრილები რუსეთის მოქალაქეები არ არიან. ისინი მოსკოვში სტუმრად იმყოფებოდნენ. თვითმხილველთა განცხადებით, დაზარალებულებმა თავდამსხმელებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია რამდენიმე „აგრან-2000"-ის სისტემის ავტომატი და „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი.

ოპერატიული სამუშაოების ჩატარების შემდეგ სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ გარდაცვლილები ერთ-ერთი კავკასიური დაჯგუფების ლიდერები იყვნენ, მათგან ორი – ჩრდილო კავკასიელი, ხოლო ერთი რუსი იყო.

მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით - სამი მამაკაცის მკვლელობის ფაქტზე, მოსკოვის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ორზე მეტი ადამიანის განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციით.

გუშინ საღამოს მოსკოვის მილიციის მთავარმა სამმართველომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მოსკოვში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, 45 წლის თეიმურაზ ვარდიას ცხედარი „ჟიგულის" მარკის ავტომანქანაში აღმოაჩინეს. როგორც ირკვევა, ვარდია თავში ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი ორი ჭრილობის შედეგად დაიღუპა. ვარაუდობენ, რომ მას სასიკვდილო ჭრილობა „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტიდან მიაყენეს. რუსი სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო. ამასთან, მოწმდება ინფორმაცია ერთ-ერთი დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობაში დაღუპულის მონაწილეობის შესახებ. გამოძიების წინასწარი მონაცემებით, რესტორან "-ში მომხდარი ინციდენტი და თეიმურაზ ვარდიას მკვლელობა, შესაძლოა, ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს. მოსოკოვის მილიციის მიერ შექმნილია სპეცჯგუფი, რომელიც ორივე ინციდენტის გახსნასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილთა დაპატიმრებაზე მუშაობს.

24 საათი

სახალხო დამცველის რწმუნებულის ჩარევის შემდეგ ჩინოვნიკმა თანამდებობა დატოვა

კახეთის რეგიონში სახალხო დამცველის რწმუნებულს ნოდარ სეფიაშვილს წერილობით მიმართა კახეთის რეგიონულმა გაზეთმა "იმედმა" და გურჯაანის რაიონის სოციალური დახმარების სამსახურში მომხდარი ინციდენტის შესწავლაში ჩართვა სთხოვა. როგორც აღმოჩნდა, გურჯაანის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების უფროსსა და მასთან მიღებაზე მისულ მოქალაქეს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდათ. ამ ფაქტს ესწრებოდა განყოფილების უფროსის ძმა, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქეს, რის შედეგადაც იგი წაიქცა და თითი მოიტეხა (ამ ინციდენტის შესახებ "24 საათშიც" დაიწერა). აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვა დაზარალებულსა და თვითმხილველებს. დაზარალებული ომის ვეტერანის შვილი იყო, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს მიერ დაწესებული 250 ლარი უნდა მიეღო. სოციალური დახმარების ფონდიდან მას მხოლოდ ნახევარი გამოუყვეს. სამსახურის განყოფილების უფროსი ერთი თვის განმავლობაში თავს არიდებდა დარჩენილი თანხის გაცემას. სწორედ ეს ფაქტი გახდა შელაპარაკების მიზეზი, რამაც ჩინოვნიკის ძმა გააღიზიანა.

ნოდარ სეფიაშვილმა მის მიერ შეგროვებული მასალები გურჯაანის რაიონის გამგებელს გაუგზავნა და რეაგირება სთხოვა. დღეისთვის განყოფილების უფროსი დაკავებული თანმდებობიდან გათავისუფლებულია.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა კახეთის რეგიონში ნოდარ სეფიაშვილმა სს "სიღნაღგაზის" დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოაჩინა, რომ სააქციო საზოგადოება არ ახმაურებდა საქართველოს ენერგომარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 12 ნოემბრის დადგენილებას, რომლის თანახმადაც, საუბნო მრიცხველების დაყენებისას თითოეული ოჯახის მიერ გადახდილი შვიდი ლარი სიღნაღელებს აპრილიდან თანდათან აუნაზღაურდებათ - თვეში ერთი ლარის ღირებულების ბუნებრივი აირით.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა აიძულა "სიღნაღგაზის" დირექტორი, დაებეჭდა შეტყობინებები, რომლებიც მოსახლეობას ქვითართან ერთად დაურიგდება. სახალხო დამცვლის რწმუნებულის დავალების შესრულებას ადგილობრივი მედია და არასამთავრობო ორგანიზაცია "იურისტთა განვითარების ცენტრი" გააკონტროლებს.

24 საათი

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას ახალი გენპროკურორი ჰყავს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა გუშინ აფხაზეთის პროკურატურის თანამშრომლებს ახალი გენერალური პროკურორი ზურაბ ბარციცი წარუდგინა. ბაგაფშმა ახლად დანიშნულ გენერალურ პროკურორს პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირება მოსთხოვა.

აფხაზურმა პარლამენტმა, პრეზიდენტ ბაგაფშის წარდგინებით, გენერალურ პროკურორად ზურაბ ბარციცის კანდიდატურა გუშინწინ დაამტკიცა. ახალი გენერალური პროკურორის წარდგენისას სერგეი ბაგაფშმა პროკურატურის თანამშრომლებს "რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებაზე და კანონის ფარგლებში მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვაზე" პასუხისმგებლობა დააკისრა.

"პროკურატურის თანამშრომლები მათზე დაკისრებულ მოვალეობას კვალიფიციურად მანამდე ვერ შეასრულებენ, ვიდრე თავად არ იტყვიან უარს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე და ამ პროცესისგან სრულიად დისტანცირებულნი არ იქნებიან", - აღნიშნა მან.

ვლადისლავ არძინბას მმართველობის დროინდელი გენპროკურორი რაუფ კორუა, რომელიც არძინბამ აფხაზეთში 2004 წლის შემოდგომაზე გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ბაგაფშის მხარდაჭერისთვის გაათავისუფლა თანამდებობიდან, სერგეი ბაგაფშის ხელისუფლებამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა.

ინტერ-პრესი

დაზარალებულები სასამართლოს განსასჭელის სასარგებლოდ აძლევენ ჩვენებებს

ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტ თამაზ ბაკურიძის პროცესზე განსასჯელის ბრალეულობა პროკურატურის მიერ წარმოდგენილმა არც ერთმა დაზარალებულმა არ დაადასტურა. ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნისა და ტელეკომპანია "აჭარას" ყოფილი გენერალური დირექტორის თამაზ ბაკურიძის სასამართლო პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მეცხრე თვეა, მიმდინარეობს. გამოძიება ბაკურიძეს ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენების გამო ედავება.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე საქმეში დაზარალებულ მხარედ წარმოდგენილი საინფორმაციო სააგენტო "აჭარას" წარმომადგენელი ზურაბ ჟორდანია დაიკითხა, რომელმაც სააგენტო ბაკურიძის მიერ დაზარალებულ მხარედ არ ცნო და განაცხადა, რომ იმ პერიოდში, როცა სააგენტოს თამაზ ბაკურიძე ხელმძღვანელობდა, მათ ორგანიზაციას არ გააჩნდა დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშები და, შესაბამისად, ის რაიმე თანხის განკარგვას ვერ შეძლებდა.

სხვათა შორის, ბაკურიძის ბრალეულობა წინა პროცესებზე არ დაადასტურა არც ტელეკომპანია "აჭარას" წარმომადგენელმა. ტელევიზიის წარმომადგენლის განმარტებით, მილიონ 800 ათასი ლარი, რომელსაც პროკურატურა ბაკურიძეს ედავება, რეალურად თანამშრომელთა ხელფასებზე იყო გახარჯული და მისი გაცემა აჭარის ბიუჯეტიდან ბაკურიძის ჩარევის გარეშე ხდებოდა. რაც შეეხება 400 ათასი ლარის მითვისებას, ტელეკომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ამ თანხით ტელევიზიისათვის შეძენილია აპარატურა, რომელიც დღემდე ექსპლუატაციაშია. მისივე თქმით, ტელეკომპანიას ბაკურიძის ხელმძღვანელობის პერიოდში არ გააჩნდა დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშები და ნებისმიერი გადასახადის გადახდა აჭარის ბიუჯეტიდან და სახაზინო სამსახურიდან ხდებოდა.

თამაზ ბაკურიძის სასამართლო პროცესი რამდენიმე დღეში განახლდება. ამჯერად სასამართლო დაცვის მხარის მოწმეებს დაკითხავს.

პრაიმ-ნიუსი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

....

....

....

ანკეტა

სახელი, გვარი ....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...................................

საკონტაქტო ტელეფონი ....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

გამოკითხვა

როგორ აფასებთ რუსეთის სამშვიდობო ძალების როლს აფხაზეთში?

ზურაბ ზაუტაშვილი, იურისტი, 58 წლის: "რუსეთის სამშვიდობო ძალების როლის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად შეფასება, ალბათ, სწორი არ იქნებოდა, რადგანაც ისინი, ასეა თუ ისე, მშვიდობას მაინც უზრუნველყოფენ და კრიმინალურ გარემოსაც აკონტროლებენ. სხვა საქმეა მათი პოზიცია, რომელიც ნეიტრალურისგან ძალიან შორს არის. კარგი იქნებოდა, თუ აფხაზეთში მშვიდობას შერეული ძალები დაიცავდნენ, სადაც რუსებთან ერთად, თუნდაც, დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენლებიც იქნებიან. ეს, რასაკვირველია, ვერ გადაჭრიდა არსებით პრობლემას, მაგრამ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის და, კერძოდ, გალის ქართველობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. გალის რაიონში ხომ ომის შემდგომ პერიოდში ძალადობრივ აქტებს 1700-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები ემსხვერპლა."

ეთერ ნიჟარაძე, აფხაზეთიდან დევნილი, 77 წლის: "ჩვენმა მთავრობამ რუსი სამშვიდობოების მანდატის შეჩერების საკითხი არაერთხელ დააყენა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან სხვა ალტერნატივა არ იყო. ახლა ამის პერსპექტივა ჩნდება. ეს არა მარტო ქართველებისთვის იქნება კარგი, არამედ, თავად აფხაზებისთვისაც. როდემდე უნდა იცხოვრონ გაურკვეველ სიტუაციაში? რუსეთს რაში ანაღვლებს, აფხაზები კარგად იქნებიან თუ ცუდად, მას თავისი მიზნები აქვს და აფხაზებს მშვენივრად იყენებს. როცა იქნება, აფხაზებიც მიხვდებიან ამას და ეგებ ის დღეები გაიხსენონ, ერთად მშვიდად რომ ვცხოვრობდით და ჭირიც ერთი გვქონდა და ლხინიც. სწორედ რუსებმა აურიეს საქმე და რატომ ეცდებიან კონფლიქტის მოგვარებას, იმპერიული სინდისი შეაწუხებთ თუ რა?"

მიხო კარიაული, სტუდენტი, 17 წლის: "რუსის ჯარმა მოიგო აფხაზეთში ომი და ისევ რუსები "იცავენ" ვითომდა მშვიდობას. ეს ხომ აბსურდია. მშვიდობა კი არის აფხაზეთში, მაგრამ ვის სჭირდება ასეთი მშვიდობა? სინამდვილეში, მათი იქ ყოფნა მოლაპარაკებების პროცესს და კონფლიქტის მოგვარებას ხელს უშლის, რადგანაც აფხაზები ისევ რუსების იმედად არიან დიდ გულზე."

ნანა ფიფია, ფილოლოგი, 40 წლის: "რუსი ცისფერჩაფხუტიანების აფხაზეთის კონფლიქტში მშვიდობის მტრედებად მოვლენისადმი ყოველთვის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა, ახლა - მით უმეტეს. თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, ისინი მშვიდობისმყოფელები კი არა, დამპყრობლის ჯარია, რომელიც დგას საქართველოს ტერიტორიაზე."

ნაზი პატარაია, დიასახლისი, 49 წლის: "მე ვფიქრობ, რომ ისინი არ ასრულებენ იმ ფუნქციას, რომელიც საერთაშორისო ნორმების მიხედვით ეკისრებათ. მათ ხომ არა მარტო აფხაზების, არამედ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქის უფლება და უსაფრთხოება უნდა დაიცვან. უკეთესი იქნება, თუკი კონფლიქტის ზონაში მშვიდობას შერეული ძალები დაიცავენ."

ამერიკული თვალი აფხაზეთში

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი მრჩევლის სტივენ მანისა და საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის სოხუმში ვიზიტს შეიძლება ვუწოდოთ უპრეცედენტოც, სამშვიდობოც, ჰუმანურიც და, თუ გნებავთ, ეგზოტიკურიც. მაგრამ ერთი რამ, ალბათ, მაინც უდავო იქნება - აშშ-სთვის, როგორც მსოფლიოში წესრიგის განმსაზღვრელი ქვეყნისთვის, ძალიან საინტერესოა იმის ახლოდან ნახვაც, თუ როგორ გრძნობს თავს განწირული იდეის მქონე სუბიექტი მის გარშემო აღმართულ პოლიტიკურ გალიაში, რომელსაც რუსეთის გარდა, ჯერჯერობით, ვერავინ ხსნის.

ზაზა ფაჩუაშვილი

აშშ-ს ორი მაღალი ჩინოვნიკის მხრიდან აფხაზური გალიის გახსნის მცდელობას რაც მოჰყვა, ყველამ კარგად დავინახეთ. ხაჯიმბას ოკეანგაღმელი სტუმრებისთვის ისე შეუღრენია, რომ სტივენ მანი დღემდე იმეორებს, პირველად ვნახე ადამიანი, რომელთანაც ლაპარაკი არ შეიძლებაო. მისთვის 10 მაისს თბილისში ჩამოსვლაზე და ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრაზეც სასტიკი უარი უთქვამს. ერთადერთი, რაზეც დიდსულოვნად დათანხმებულა ბაგაფში (ხაჯიმბა "ვოზდერჟალსია", ყოველი შემთხვევისთვის), გალში ერთობლივი ქართულ-აფხაზური ეკონომიკური პროექტების განხორციელებაა, რაც ყველამ ვიცით, რომ რუსეთის ინტერესებშიც შედის.

აშშ-სა და რუსეთის, ამ „ზე“ და „ქვე“ სახელმწიფოების ინტერესების სფეროში მოხვედრა დედადაკარგული პატარა აფხაზეთისათვის უცხო ძიების ხელში ჩავარდნილი ობოლი ბავშვის ბედს ჰგავს. ერთი ძია ძალიან ახლოსაა, ხურდა ფულის სანაცვლოდ, სახლსაც მთლიანად ეპატრონება და როცა რაღაც არ მოეწონება, მის ბინადარსაც მათრახს მწარედ ურტყამს. მეორე ძია კი ძალიან შორსაა და მის იმედად ყოფნა ძნელია. მით უმეტეს, თუ შორეული ძიის მხრიდან გამოხატული კეთილგანწყობის შემდეგ, ახლობელმა ძიამ შეიძლება მათრახიც გადაგიჭიროს. სწორედ ამ ვითარებიდან გამომდინარე განწყობით შეხვდა სოხუმის ორივე პრეზიდენტი - ბაგაფში და ხაჯიმბა ამერიკელ სტუმრებს, რომლებმაც სოხუმში ვიზიტის შესახებ პირველი კომენტარი საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შეხვედრის შემდეგ გააკეთეს.

ამასთან დაკავშირებით, ორიოდე სიტყვით მივმართეთ კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს.

- ბატონო გივი, მაინც რასთან დაკავშირებით შედგა ამერიკელების ვიზიტი სოხუმში?

- პირველ რიგში, ვფიქრობ, ეს იყო ინფორმაციის მოპოვების მცდელობა აშშ-ს პრეზიდენტის ბუშის თბილისში ვიზიტის წინ. მართალია, სტივენ მანის განცხადებით, ეს ასე არ ყოფილა, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი აფხაზეთში სტუმრობა ბუშის ვიზიტს უკავშირდება იმდენად, რამდენადაც ბუში უნდა ფლობდეს ინფორმაციას აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

- როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ ამერიკელები სოხუმიდან?

- არასახარბიელო შთაბეჭდილების მიუხედავად, სტივენ მანის შეფასებით, ბაგაფშის პრეზიდენტობა მაინც წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან მასთან საუბარი, როგორც ითქვა, შესაძლებელი ყოფილა. თუმცა, მანმა ისიც აღნიშნა, რომ ბაგაფშს მუდმივად გვერდზე უზის ხაჯიმბა, რომელიც, ფაქტობრივად, ძველი მთავრობის რეინკარნაციაა და დესტრუქციული საუბრით გამოირჩევა.

გალთან დაკავშირებით, სტივენ მანთან ბაგაფშმა განაცხადა, რომ მზადაა, განახორციელოს ერთობლივი ეკონომიკური პროექტები და დააბრუნოს ლტოლვილები მათი უსაფრთხოების გარანტიით. ეს პოზიტიური მომენტია, მაგრამ სტივენ მანს ბაგაფშის რუსეთისგან დამოუკიდებლობის ხარისხში ეჭვი ეპარება და მიაჩნია, რომ აშშ კარგად უნდა დააკვირდეს აფხაზეთში და, კერძოდ, გალის რაიონში პროცესების განვითარებას. გამოჩნდება, რამდენად რეალურია ბაგაფშის დაპირებები.

- ამ ვიზიტის შემდეგ რუსეთის მხრიდან უარყოფით რეაქციას და აფხაზეთის რუსულ ეკონომიკურ ზონაში მოქცევის დაჩქარებას ხომ არ უნდა ველოდოთ?

- ვერ ვხედავ, რომ რუსეთს, სიტყვიერი განცხადებების გარდა, საამისო პოტენციალი გააჩნდეს. ბაგაფშის პრეზიდენტობა სწორედ იმის შედეგია, რომ აფხაზები დარწმუნდნენ, რუსეთისგან ეკონომიკურ სიკეთეს არ უნდა ელოდონ. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო ორგანიზაციებს პირდაპირ დაავალეს, რომ აფხაზეთის შესაბამისი ინფრასტრუქტურების შესყიდვები განეხორციელებინათ, მაგრამ მაინცდამაინც დიდი ნაბიჯები, ამ მხრივ, ვერ გადაიდგა. ეს იმიტომ, რომ რუსეთში მოშლილია მმართველობის სისტემა და არის უამრავი შიდა პრობლემა. ამიტომ, რუსეთის ეკონომიკურ ზონაში აფხაზეთის მოქცევის მცდელობას, არა მგონია, წარმატება მოჰყვეს.

გადარჩენილი ფოტოები

მენატრები!

სოხუმი. 1984 წელი. რადიოს 50 წლისთავი. მარცხნიდან: ნათელა ბერიკაშვილი - სოხუმის რადიოს ქართული გადაცემების დიქტორი; იური კუტარბა - სოხუმის რადიო-ტელევიზიის თავმჯდომარის მოადგილე; ლუდმილა ხაკბა - ტელევიზიის რეჟისორი; უკანა პლანზე მარჯვნივ: ზურაბ აკრბა - ტელევიზიის დიქტორი.

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

გალის

სოფიკო ლაგვილავა

სოხუმის ხელისუფლების განცხადებით, ეკონომიკა ერთადერთი სფეროა, რომლის გარშემოც ქართველებთან საუბარი შეიძლება. შესაბამისად, ერთობლივი ეკონომიკური პროექტები ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის, ჯერჯერობით, შეხების ერთადერთი წერტილი იქნება. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია და სავსებით შესაძლებელია, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საწყის ეტაპადაც იქცეს. კონკრეტულ პროექტებზე ლაპარაკი, ცხადია, ნაადრევია და ეს ქართულ-აფხაზური მორიგი შეხვედრების დროს უნდა გადაწყდეს, მაგრამ ზოგად ტენდენციებზე საუბარი შესაძლებელია. ამასთან დაკავშირებით, შევხვდით თსუ სოხუმის ფილიალის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს დავით ჯალაღონიას.

დავით ჯალაღონია: "თავდაპირველად უნდა ვისაუბროთ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით. თეორიულად ცნობილია, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა ყოველთვის ეფექტურია მცირემასშტაბიან ტერიტორიაზე. ქართული და აფხაზური მხარეების ინტერესების გათვალისწინებით და რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ამ პროექტის განხორციელება გალის რაიონშია შესაძლებელი. გალის რაიონში დღეს ამისთვის ეკონომიკური, ბუნებრივი და ადამიანური რესურსი, რაც აუცილებელი წინაპირობაა რაიონის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადებისათვის, უდავოდ მოიპოვება. ბუნებრივია, თავისუფალი ეკონომიკური ზონა გულისხმობს ადმინისტრირებისა თუ წარმოების სფეროში სხვა მიდგომას საგადასახადო და საბაჟო სისტემისადმი. სწრაფვა თავისუფალი ეკონომიკური ზონისაკენ ხდება მაშინ, როცა სუბიექტმა იცის, რომ მისი წარმოება საგადასახადო წნეხისაგან გათავისუფლებული იქნება. ამასთან, გასათვალისწინებელია უმთავრესი ფაქტორი - ეკონომიკაში საუბარი წყდება იმ რესურსით, რომელსაც ფულადი რესურსი ჰქვია.

- ვინ უნდა გაიღოს თანხა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოსაყალიბებლად ისეთ არასტაბილურ რეგიონში, როგორიც გალის რაიონია?

- დარწმუნებული ვარ, რომ პირველი ნაბიჯი, თუნდაც წამგებიანი, საქართველომ უნდა გადადგას. ქართული ვალუტა აფხაზეთში თავისუფალ მიმოქცევაში უნდა იყოს და ეს გალიდან უნდა დაიწყოს.

- ამ ეტაპზე რომელ ბიზნესმიმართულებებზე შეიძლება ვისაუბროთ?

- რეალური ვითარებიდან გამომდინარე, გალის რაიონში შეიძლება ვისაუბროთ შემდეგ ბიზნესმიმართულებებზე - ხის მეურნეობა, თევზსაჭრი მეურნეობა, თხილისა და ციტრუსის მეურნეობა. ჰიდროენერგეტიკა, მაგრამ ეს უკვე საკმაოდ დიდი პროექტია. ჩამოთვლილ პროექტებში მონაწილეობა ქართველმა და აფხაზმა ბიზნესმენებმა ერთდროულად უნდა მიიღონ. ამ ეტაპზე ეს ყველაზე ხელსაყრელია და ამით მოხდება იმ ეკონომიკური ინტერესების დაახლოება, რომელიც პოლიტიკურზე მაღლა დადგება. ყველანი ადამიანები ვართ და ცხოვრების პირობების შექმნა გვსურს.

- თეორიულად პროექტებზე საუბარი ადვილია, რეალურად როგორ წარმოგიდგენიათ, სად ჩაიდება თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი სოლიდური თანხები და ვინ გაიღებს მას?

- პირველი ნაბიჯი ქართულმა ბიზნესმა უნდა გადადგას. ცხადია, საწყისი ეტაპისათვის აუცილებელია, კაპიტალისათვის შეიქმნას ერთიანი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რომლის შემადგენელი ნაწილი იქნება საბანკო სისტემა. გალში შეიქმნას ქართულ-აფხაზური ბანკი, სადაც კაპიტალს ჩადებენ ისინი, ვინც ბედნიერი მომავლით გულწრფელად დაინტერესებული იქნება. ასეთი ადამიანები ჩვენშიც და აფხაზებშიც ბევრნი არიან.

- თქვენი აზრით, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბებითა და გალის რაიონში საბანკო სისტემის შექმნით შესაძლებელია კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება?

- დიახ, თუმცა ამას სჭირდება დრო. ბანკში გაიხსნება იმ საწარმოთა ანგარიშები, რომლებიც თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში (გალის რაიონში) მოხვდება. ბანკის გარშემო თავს მოიყრიან როგორც მეწარმეები, ასევე უბრალო მოსახლეობაც. ხალხის ინტერესის სფეროს ბიზნესი დააკავშირებს. პოლიტიკა კი, რომელიც ძალიან გვაშორებს ქართველებსა და აფხაზებს, მეორე პლანზე გადავა. ადამიანს, რომელიც ბიზნესს ააყვავებს, ომი არ უნდა. ეს პროცესი თანდათან წავა არა ვილაცის სურვილით, არამედ თავისთავად, ბუნებრივად. კაპიტალი თავისუფალ გადაადგილებას დაიწყებს, როგორც ეს დღეს მსოფლიოში ხდება. პოლიტიკურმა წინააღმდეგობამ ეკონომიკური ბარიერები არ უნდა შექმნას, თუ ჩვენ გვსურს, და უდავოდ გვსურს, ერთიანობა. მთავარია, პირველი ნაბიჯი ქართულმა მხარემ გადადგას და გალის რაიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონა ჩამოაყალიბოს.

ცისფერჩაფხუტიანთა პოსტი გალის შესასვლელთან.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

აფხაზეთის გასაღები

ლელა მარგიანი

არასამთავრობო ორგანიზაცია - "კავშირი ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული განვითარებისათვის" ოფიციალურად 2004 წლის თებერვალში დაფუძნდა. მისი მიზანია, დაიცვას აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფლებები და იზრუნოს მშობლიურ ადგილებში მათი დაბრუნებისა და სოციალური კეთილდღეობისათვის.

კაცობრიობის ისტორიაში ბევრი გაჭიანურებული კონფლიქტი და შეიარაღებული დაპირისპირება მოგვარებულა. ამის მაგალითი მრავლადაა საქართველოს ისტორიაშიც. არც ქართულ-აფხაზური კონფლიქტია ისეთი, რომ მისი მოგვარება შეუძლებელი იყოს. ამ იმედით არსებობენ ქალაქ ზუგდიდში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის - "კავშირი ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული განვითარებისათვის" წევრები, რომელთაც ენგურს გაღმა ბევრი ახლობელი და მეგობარი ჰყავთ. კავშირის წევრებს სჯერათ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის აღმოფხვრაზე მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც სახალხო დიპლომატიის წარმომადგენლებს, ბევრი სასიკეთოს გაკეთება შეუძლიათ ორ მოძმე ხალხს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად.

კაშირის თავმჯდომარე მურმან მალაზონია: "საჭიროა საქართველოს ხელისუფლების მტკიცე ნება და მეზობელი დიდი ქვეყნების ჩაურევლობა. სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია საერთო ენის გამონახვა აფხაზების ლიდერებთან, მით უმეტეს, რომ ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების ისტორიული განვითარება პარალელურად მიმდინარეობდა. აფხაზი ხალხი ჩვენს მიერ ყოველთვის აღიქმებოდა როგორც მოძმე ეთნოსი, რომელთანაც საუკუნეების მანძილზე ერთ მიწაზე ვცხოვრობდით. გარდა ამისა, საკუთარი სახელმწიფოებრიობის პირობებში საქართველო პასუხისმგებელია ისტორიის წინაშე აფხაზების, როგორც ეთნოსის არსებობაზე. საქართველო იყო და მომავალშიც უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ დედამიწაზე არ გაქრეს ან სხვა ერებში არ გაითქვიფოს ეს კეთილშობილი, გულადი და სტუმართმოყვარე, მცირერიცხოვანი ერი. მხოლოდ მას შეუძლია, შუღლი და მტრობა ჩამოაგდოს ქართველებსა და აფხაზებს შორის, ვისაც არც ერთი ეხატება გულზე და არც მეორე."

- ამ ეტაპზე რა უნდა გაკეთდეს კონფლიქტის მოგვარებისთვის?

- საქართველოში ცნობილი მოვლენების შემდეგ შექმნილმა ვითარებამ გვაჩვენა, რომ ხელისუფლებას პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის სურვილი აქვს. ეს ძალიან დამაიმედებელია საქართველოს მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით, დევნილებისთვის. ასეთ განწყობაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს საქართველოს ხელისუფლების ცალკეული მაღალჩინოსნების ზოგიერთ უპასუხისმგებლო განცხადებას, რაც ხელისუფლების არათანმიმდევრულ პოლიტიკაზე მეტყველებს და გვაფიქრებინებს, რომ მას აფხაზეთთან მიმართებაში კონკრეტული სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ გააჩნია. არადა, ასეთი გეგმის არსებობის საჭიროება განსაკუთრებით დღეს იგრძნობა. აფხაზებმა საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში თვალნათლივ ნახეს რუსების "კეთილმოსურნეობის" ფასი და ზემოქმედების მეთოდები, რითიც მათ, ფაქტობრივად, თავისუფალი არჩევანი წაართვეს. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ აფხაზების გულში ნდობა და ჩვენი მოქმედებებით მათ ქართველებთან თანაცხოვრების უპირატესობა დავუმტკიცოთ.

- ხშირად აღნიშნავენ შერიგების პროცესში გალის რაიონის ფაქტორს. თქვენ, როგორც გალელს, რა აზრი გაქვთ ამის შესახებ?

- ვფიქრობ, შერიგების პროცესში გალის რაიონის მოსახლეობას მართლაც განსაკუთრებული როლი აქვს. თავის დროზე მოყვრულად მოსულმა მტერმა აფხაზეთის მოსახლეობა ქართველებად და აფხაზებად დაყო. მერე მათ შორის მტრობის მარცვალი ჩააგდო და ამით ცდილობს კავკასიაში თავისი ბატონობის გახანგრძლივებას და აფხაზეთის მიტაცებას. გალის რაიონი კი წმინდა ქართული მოსახლეობით ისტორიულად ასრულებს იმ ერთადერთი წებოს როლს, რომელიც აფხაზეთს ქართულ სხეულს "აწებებს". გალის მოსახლეობა არანაკლებ ძირძველია აფხაზეთში, ვიდრე აფხაზები და არანაკლებ მიჯაჭვულია ამ მიწას. ამავე დროს, ტერიტორიულად, ადათ-წესებით და ნათესაური კავშირებით ყველაზე ახლოს ის არის აფხაზებთან. შერიგებითაც პირველად გალის მოსახლეობა უნდა შეურიგდეს აფხაზურ მოსახლეობას და აფხაზეთის საქართველოსთან შემაერთებელი კავშირები თავის გულზე უნდა გადაატაროს.

გალის განსაკუთრებული როლის შესახებ კარგად იცოდა ყოფილმა პრეზიდენტმა. მან იცოდა, რომ აფხაზები, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებლობას გალის მოსახლეობას დააკისრებდნენ და მანაც გალელები ისე მიუგდო მათ, როგორც გამოდევნებულ ძაღლს პურის ნაჭერს გადაუგდებენ. მან ისიც იცოდა, რომ ადრე თუ გვიან, აფხაზეთის ქართული და აფხაზური მოსახლეობა საერთო ენას მაინც გამონახავდა, რადგან არც ერთს აქვს სხვა გამოსავალი და არც მეორეს. ორივეს მხოლოდ ერთი სამშობლო აქვს და სხვაგან, სადაც არ უნდა იყვნენ, ყველგან ლტოლვილები იქნებიან.

აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებზე გალელებმა გააკეთეს თამამი განაცხადი, რომ ისინი აფხაზეთის მკვიდრნი არიან და მათ თანასწორი უფლება აქვთ, სასურველი კანდიდატი აირჩიონ. შეიძლება ითქვას, რომ გალელებმა არა მხოლოდ თავიანთთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის დაიბრუნეს გალის რაიონი. სწორედ მათ აქვთ ის გასაღები, რომელიც აფხაზეთის კარს ყველა დევნილისთვის "აღებს".

აფხაზური ისტორია

აუცილებლად უნდა გჯეროდეს!

ცოტა ხნის წინათ ისეთი ისტორია გადამხდა, რომ აუცილებლად უნდა მოგიყვეთ. მაშინ გასამრჯელო ავიღე და გადავწყვიტე, ადლერში წავსულიყავი საყიდლებზე. ბავშვებისთვის მინდოდა ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ნივთების ყიდვა.

როგორც იქნა ჩავაღწიე საზღვრამდე, ჩამოვედი "მარშრუტკიდან" და დავინახე, ქალები იქვე ახლოს ყიდდნენ ბავშვების ტანსაცმელს. შევათვალიერე მათი საქონელი, რაღაცები ჩემი შვილებისთვის მომეწონა და მათი ყიდვა გადავწყვიტე. ფული უნდა გადამეხადა, ჩავიყავი ჯიბეში ხელი ...და სადაა ჩემი საფულე?! ისე შემეშინდა, ისე, რომ ველარ ვაზროვნებდი. მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რა მეშველებოდა ახლა მე?! რა უნდა მექნა?!

ვერ ვიჯერებდი, რომ საფულე, რომელშიც მთელი თანხა მედო, დავკარგე...

ისევ ჩავიყავი ჯიბეში ხელი და მოვიქექე ჯიბე, იმედი მქონდა, იქნებ კარგად ვერ მოვძებნე-მეთქი ფული, მაგრამ რას ვიპოვიდი, რაც აღარ იყო?! რა უნდა მექნა?!

მართალია ტირილი არ დამიწყია, მაგრამ არც ბევრი მიკლდა. ძალიან, ძალიან მინდოდა ჩემი ფული და ადლერში წასვლა...მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ბედს შეგუებულმა, უკვე იმაზე დავიწყე ფიქრი, სახლში როგორ დავბრუნებულიყავი, მე ხომ ერთი კაპიკიც აღარ მედო ჯიბეში.

მერე გადავწყვიტე, მომეძებნა ის "მარშრუტკა", რომლითაც ჩამოვედი, იქნებ როგორმე მეპოვა ჩემი ფული. ამის არ მჯეროდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ "წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო". დავიწყე "მარშრუტკის" ძებნა, მაგრამ ვერსად ვიპოვე.

იქვე მდგარ სხვა მძღოლებს ვკითხე, მათ კი მიპასუხეს, რომ იმ "მარშრუტკის" მძღოლი - ძია მიშა თავის მანქანას მოშორებით, ერთი კილომეტრის იქით აჩერებსო.

სხვა რა გზა მქონდა, წავლასლასდი ძია მიშას მოსაძებნად.

მივდივარ და უცებ ჩემი ყოფილი კლასელი ბელა არ შემეფეთა?

იგი ყოველთვის ძალიან მხიარული და ემოციური იყო. ახლაც დამინახა თუ არა, ძალიან გაუხარდა, გადამეხვია. ცხვირ-პირი რომ ჩამომტიროდა, მიხვდა, რაღაცა ცუდი ამბავი იყო ჩემს თავს. გულახდილად ვუამბე ყველაფერი. მას ბევრი არც კი უფიქრია, ამოიღო ორასი მანეთი, მომცა და მითხრა: "ასე ძალიან ნუ დარდობ. მართალია ძალიან ძნელია ფულის დაკარგვა, მაგრამ რას იზამ, ფული ხომ არაა მთავარი!".

დავემშვიდობე ჩემს მხსნელს და გზა განვაგრძე. როგორმე ის მარშრუტკა უნდა მეპოვა. დიდხანს ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვიპოვე, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არ ვიცი.

უაზროდ დავეხეტებოდი. ბევრი ვეძებე, მაგრამ ის "მარშრუტკა" ვერსად ვიპოვე. უკან დავბრუნდი. თან თავს ვიწყნარებდი, რომ ახლა უკვე მედო ჯიბეში ჩემი კლასელის მიერ მოცემული ორასი მანეთი. ეს ფული სახლში დასაბრუნებლად ნამდვილად მეყოფოდა.

ბედს შეგუებულს ამჯერად ის უფრო მადარდებდა, თუ რა უნდა მეთქვა ჩემი ოჯახისთვის, როგორ ამეხსნა მეუღლისა და მით უმეტეს, ჩემი შვილებისთვის, რომ გზაშივე დავკარგე მთელი ფული.

ბოლოს გადავწყვიტე, რომ მხოლოდ სიმართლეს ვიტყოდი. თუ გამიგებდნენ ხომ კარგი, თუ არა და რა უნდა მექნა.

უკვე ვაპირებდი სხვა "მარშრუტკით" დაბრუნებას, რომ უკან გამოვიხედე და რას ვხედავ! ის მარშრუტკა, მე რომ ჩამომიყვანა, იქ არ დგას?!

"ძია მიშა! ძია მიშა!" - ავტეხე ყვირილი.

ჩემს ყვირილზე, ძია მიშამ მართლაც გამოიხედა. ჩავედი მარშრუტკიდან, გავქანდი მისკენ და ვკითხე: "თქვენ მანქანაში რამე ხომ არ გიპოვიათ?"

მან კითხვითვე მიპასუხა: "მაღარიჩი იქნება?"

სასწრაფოდ მივუგე: "რა თქმა უნდა იქნება, აუცილებლად იქნება!".

მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯეროდა, რომ ფულს მთლიანად დამიბრუნებდა. მან ჯიბიდან ჩემი საფულე ამოიღო და დამიბრუნა და თან დააყოლა: "ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, აი, შენი საფულე, მთელი ფული მანდაა, დაითვალე!"

მას ისიც კი არ ესმოდა, რომ ნერვიულობის გამო, ფულის გადათვლის თავიც კი არ მქონდა. უბრალოდ მხოლოდ მოვაჩვენე, რომ მართლაც გადავთვალე თანხა და ვუპასუხე: "ყველაფერი წესრიგშია. ფული აქაა. მაღარიჩი აუცილებლად იქნება. დიდი მადლობა!"

მეტი რა მეთქვა, აღარ ვიცოდი, მადლობა როგორ გადამეხადა, ისეთი გახარებული და დაბნეული ვიყავი. მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე: "ძალიან დიდი მადლობა!"

თურმე ქვეყანაზე ჯერ კიდევ არსებობენ კეთილი ადამიანები, უბრალოდ ამისი უნდა გჯეროდეს, აუცილებლად უნდა გჯეროდეს!

რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი
პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.

ევროპელი ფავორიტები კანის კინოფესტივალზე

B3

პრინცი ამარცხებს მეფეს

B4

ამერიკული ავტოკომპანიები ევროპაში ექსპანსიას იწყებენ

B6

რჩეული უმცირესობა -

ვისთვისაც გადაწყობა ღირს

მაია ჭალაგანიძე

- რა გადაიბარეთ ფაკულტეტზე - განათლების დონე, მატერიალური ბაზა, პროგრამები, ლექტორები, სტუდენტები თუ ყველაფერი ერთად?

- ბევრი რამ დამხვდა, თუმცა არანაირი წინასწარი მოლოდინი და შთაბეჭდილებები არ მქონია. განათლების დონეს შეგვიძლია ერთად შევხედოთ - სწორედ ამ დონეს უზრუნველყოფს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, თუმცაღა, ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა რიცხვი სხვა სპეციალობის მქონე ჟურნალისტად მომუშავე ადამიანების რიცხვს რომ შევადაროთ, ეს უკანასკნელი ნამდვილად გადაწონის.

ასობით ჟურნალისტია ქვეყანაში და დარწმუნებული ვარ, გულწრფელ საუბარში არც ერთი მათგანი არ გეტყვით, რომ საქართველოში ჟურნალისტიკის დონე მოსწონს - პროფესიული მომზადების დონეს ვგულისხმობ და ამ სიტყვაში არანაირ სხვა მნიშვნელობას არ ვდებ. ის, რომ ფაკულტეტი საკადრის განათლებას ვერ უზრუნველყოფს, სიახლე არ არის. ფაკულტეტზე ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ეს ვერ უზრუნველყოს.

- პირველ რიგში, რას გულისხმობთ?

- ამ წუთას, 600 სტუდენტია და ისინი აუდიტორიებში ვერ ეტევიან. დაუსწრებელი ფაკულტეტი იურიდიულად აღარ არსებობს, მაგრამ, ფაქტობრივად, არის, რადგან უამრავი სტუდენტი არ ესწრება ლექციებს. კორპუსში შემოსვლა ყველამ რომც მოინდომოს, ვერ დაეტევიან. დაახლოებით 17 მომცრო აუდიტორიაა, სადაც მაქსიმუმ 15-დან 17 ადამიანამდე დაეტევა. დეკანის ოთახის გარდა ყველაფერი გამოყენებულია აუდიტორიებად. გვაქვს მწყობრიდან გამოსვლის ზღვარზე მყოფი ათიოდე კომპიუტერი. კინოდარბაზიც აუდიტორიად არის ქცეული. არასდროს სიტყვა არ მითქვამს და არც ვიტყვი ჩემი წინამორბედის წინამორბედზე, ბატონ ფოფხაძეზე, მაგრამ ერთს აღვნიშნავ - კინოდარბაზს აქვს საპროექციო ოთახი, სადაც ფირის გასაშვები აპარატი დგას, რომელიც მუშაობის დროს ხურდება და მისთვის აუცილებელია სავენტილაციო მილი. ეს მილი არსებობს და მას ბატონმა ფოფხაძემ ზემოდან ტუალეტი დაადგა. ამით მოისპო ფილმების პროექცირების საშუალება. თუ გახსოვთ, იქ სასწავლო სტუდიაც იყო, რომელიც დღეს აუდიტორიად არის ქცეული, რადგან ბევრი სტუდენტია, რომელიც სადღაც უნდა შეყარო... უკაცრავად ამ სიტყვისთვის, მაგრამ ეს შეეფერება იმას, რაც იმ აუდიტორიაში ხდება - უწესრიგო და დანაგვიანებული ოთახია. პირველმა არხმა კამერები და სამონტაჟო მაგიდა გადმოგვცა. მანამდე იყო ერთი კამერა, ახლა - სამია. იყო ერთი სამონტაჟო მაგიდა, ახლა 2 სამონტაჟოა. ერთი მათგანი ამ სტუდიაში დავდგით და იქ ლექციები აღარ ჩატარდება.

- დავუბრუნდეთ განათლების დონეს...

- 13 წელია უნივერსიტეტში ვკითხულობ ლექციებს და კარგად ვიცი, რომ 10-დან მხოლოდ 2 სტუდენტი შეიძლება იყო სწავლას მოწყურებული. 50-დან შეიძლება 7-8 იყოს ასეთი. ამ 600 სტუდენტიდან გამოიყვანეთ შესაბამისი პროცენტი და სწორედ ამდენს უნდა ცოდნის შეძენა. მოკლედ, შეუფერებელი და უკმარი განათლების მისაღებად ჩვენ ეს მოცემულობა გვაქვს - ბევრი სტუდენტი და არარსებული გარემო იმისთვის, რომ ადეკვატური განათლება მისცე. აუდიტორიაში, სადაც სტუდენტი ფიქრობს, როგორმე კომფორტულად მოეწყოს ფანჯრის რაფაზე და სადაც ვიდეოკამერას ცარცით უხატავ დაფაზე, ხარისხიანი ცოდნის მიღებაზე საუბარი ზედმეტია.

- ამ ყველაფერს სტუდენტები არ აპროტესტებენ?

- ადეკვატურად აღიქვამენ და არიან გულდაწყვეტილები. მათი მოლოდინი ერთია, მაგრამ რაც დახვდათ, პირველივე კურსზე აცნობიერებენ. მე რომ მივედი, პირველ რიგში ოთხივე კურსის სტუდენტებს შევხვდი.

- როგორ ჩაიარა?

- ვფიქრობ, რომ კარგად შემხვდნენ. ფაკულტეტის საჭიროებანი, პირველ რიგში, სტუდენტებისგან მინდა შევიტყო. იმთავითვე შევთანხმდით თამაშის წესზე - მათგან ვისმენ სურვილებს, სასურველია, დასაბუთებულს და შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებ ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში.

- როგორ აისახა დროის, ღირებულებებისა და მოთხოვნების ცვლილებები სწავლის პროცესზე?

- საბჭოთა დროის მერე იქ ბევრი რამ შეიცვალა და, საუბედუროდ, უარესობისკენ. მეც სასბჭოთა დროს ვსწავლობდი უნივერსიტეტში და იმ დროს მოუკვდა პატრონი, მას მე არ შევნატრი, მაგრამ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე 15 კაცზე მეტს არ იღებდნენ, რადგან იცოდნენ, რამდენი შეესაბამებოდა ქვეყნის მოთხოვნებს და რამდენ ადამიანს გაწვდებოდა ფაკულტეტზე არსებული ბაზა, ეს პროპორციები დაცული იყო.

დამხვდა უნივერსიტეტი, რომელიც, განსაკუთრებით, ბოლო 4-5 წელს მუშაობდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ფულის აკუმულირების პროექტი. ეს არც სტუდენტებს ხმარდებოდა, არც მათ განათლებას, არც ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ამ ფულის მცირე ნაწილი ლექტორების ხელფასებზე დანამატისთვის იხარჯებოდა, დიდი ნაწილი კი არავინ იცის, სად მიდიოდა. სიმართლე გითხრათ, არ მესმის, უნივერსიტეტის ბევრი მაღალჩინოსანი რატომ არის გარეთ ან რატომ არ იძიებენ მათ საქმეს.

ჟურნალისტიკის ფაკლულტეტს ყოველწლიურად, საშუალოდ, 150 000 დოლარი შეჰქონდა უნივერსიტეტის საერთო ყულაბაში. აქ კი იყო დაძველებული კომპიუტერები, არც ერთი კამერა, ცოტა ახალი სახელმძღვანელო. ფაკულტეტი ნაკლებად იყო გახსნილი პრაქტიკული ჟურნალისტიკის, გნებავთ, კომუნიკაციის თეორიების დარგში თანამედროვე ვითარებისათვის. თქვენსობას როგორ იყო, არ ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, დამხვდა ნაჭარბევი აქცენტი თეორიულ დისციპლინებზე. გასაგებია, ამ სივრცეში პრაქტიკას ვერ უზრუნველყოფ და არც არის საქართველოში იმდენი მედია, რომ ზაფხულში სტუდენტებისთვის პრაქტიკა უზრუნველყო. ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ეს ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ. მთავარი იყო ბევრი სტუდენტი და ბევრი ფულის შემოტანა. არ იფიქროთ, რომ ეს ფული ფაკულტეტს ხმარდებოდა, ან ფაკლულტეტი წყვეტდა მის განკარგვას. ცხადია, ამის გასარკვევად არ მივსულვარ უნივერსიტეტში, მაგრამ ვცდილობ, გავერკვე ამ მანკიერი ანტისისტემის საფუძვლებში.

- დღემდე ასეა?

- დღეს ვითარება იცვლება. ჩვენ გვყავს 150-160 სტუდენტიანი კურსები. წელს შემოვა 88 სტუდენტი. სამწუხაროდ, ეს ჩემ იქ მისვლამდე გადაწყდა, თორემ საკითხი ჩემი დანიშვნის შემდეგ რომ დამდგარიყო, 40 სტუდენტზე მეტს არ მივიღებდი. არსებობს სხვა ჟურნალისტური კოლეჯები და მსურველებს ალტერნატივა გააჩნიათ.

- უმძიმეს საბჭოთა წლებშიც კი ყველა საპროტესტო, ეროვნული თუ სხვა მოძრაობა უნივერსიტეტში იწყებოდა. ქვეყანაში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებში, სამწუხაროდ, უნივერსიტეტმა თავი უფრო რეტროგრადულად წარმოაჩინა და სიახლეების მიღება გაუჭირდა. მათ შორის ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც იყო. 13 წელია იქ ასწავლით, ახლა დეკანი ხართ. მიზეზებზე ხომ ვერ ისაუბრებდით?

- გულახდილად გეტყვით - აბსოლუტურად არც ერთი სახე არ მახსოვს, ვინც ფოფხაძეს იცავდა, არც ვანიჭებ ამას მნიშვნელობას და გარკვევასაც არ ვცდილობ. იმ ამბების მერე 2 წელი გავიდა და ეს ჩემი საქმე არ არის. ჩემი საქმეა, სტუდენტებმა ის გაიტანონ ფაკულტეტიდან, რისთვისაც შემოვიდნენ. საქმე მხოლოდ მატერიალურ ბაზაში არ არის, საქმე ადამიანურ რესურსშია. ძალიან ბევრი ფუჭი საგანი ისწავლება.

- შეგიძლიათ ამაო საგნების პირველი სამეული დაასახელოთ?

შეუფერებელი და უკმარი განათლების მისაღებად ჩვენ ეს მოცემულობა გვაქვს - ბევრი სტუდენტი და არარსებული გარემო იმისთვის, რომ ადეკვატური განათლება მისცე. აუდიტორიაში, სადაც სტუდენტი ფიქრობს, როგორმე კომფორტულად მოეწყოს ფანჭრის რაფაზე და სადაც ვიდეოკამერას ცარცით უხატავ დაფაზე, ხარისხიანი ცოდნის მიღებაზე საუბარი ზედმეტია.

დამხვდა უნივერსიტეტი, რომელიც განსაკუთრებით ბოლო 4-5 წელს მუშაობდა, როგორც მხოლოდ ფულის აკუმულირების პროექტი.

ფაკულტეტმა და, საერთოდ, უნივერსიტეტმა უნდა შეწყვიტოს არსებობა როგორც ფულის აკუმულირების, ტოპმენეჭმენტის და ლექტორთა კეთილდღეობისკენ მიმართულმა პროექტმა.

- სამეული ძალიან ცოტაა, არ ჩაეტევა. არ არის ეს ფუჭი საგანი, მაგრამ სამი განსხვავებული სახელი ჰქვია - ჟურნალისტიკის შესავალი, ჟურნალისტიკის საფუძვლები და ჟურნალისტიკის პრინციპები - ეს შეიძლება სხვადასხვა საგნები იყოს? უნდა ერქვას ჟურნალისტიკის საფუძვლები და ნუ გაიყოფა სამად.

- რა სახელმძღვანელოებით სწავლობენ დღეს?

- სახელმძღვანელო, ხშირ შემთხვევაში, ლექტორია. აგრეთვე ისწავლება ცალკეული თავები ლექტორის დისერტაციიდან. მომავალი წლიდან ამას წერტილს დავუსვამ. ფაკულტეტმა და, საერთოდ, უნივერსიტეტმა უნდა შეწყვიტოს არსებობა, როგორც ფულის აკუმულირების, ტოპმენეჯმენტის და ლექტორთა კეთილდღეობისკენ მიმართულმა პროექტმა.

- პირველ დარტყმას რას მიაყენებთ?

- დარტყმებით არ ვმუშაობ. ახალ სასწავლო კურიკულუმებზე ვმუშაობ ფაკულტეტზე კოლეგებთან და აგრეთვე ფაკულტეტს მიღმა. ეს სრულიად ღია სისტემაა - რაზეც შევთანხმდებით, ის იქნება სასწავლო პროგრამა. ჩვენ მიღმა არავინ არ არის, უნივერსიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელობა არ ჩაერევა იმაში, თუ რა საგნებს ჩამოვაყალიბებთ.

- სწავლების რა მოდელს იღებთ და ვისთან თანამშრომლობთ?

- მოდელებს ვაჯერებთ. ვმუშაობ დეკანის მოადგილეებთან და ზოგიერთ კათედრის გამგესთან. აგრეთვე რეფორმის ჯგუფთან ერთად, რომლის შექმნაც უნივერსიტეტის რექტორატმა დაგვავალა. ამ ჯგუფში სამი ადამიანია - ნიკო ნერგაძე, ხათუნა კვესელავა და ბადრი კოპლატაძე. ხალხი, რომელსაც გავლილი აქვს დასავლეთში უმაღლესი ჟურნალისტური განათლების კურსი.

- ვინ მიაწვდის სტუდენტებს თქვენ მიერ შემუშავებულ და რეფორმირებულ პროგრამას?

- ეს მთავარი კითხვაა. ადამიანური რესურსი, რომელიც ამის რეალიზებას უზრუნველყოფს, ნომერ პირველი პრობლემაა. შეიძლება, ტექნიკურ ბაზაზე მეტი პრობლემაც კი. არის ლექტორთა ნაწილი, ვინც გადაეწყობა და სიახლისთვის განეწყობა. არის ნაწილი, ვინც ამას ვერასოდეს ველარ შეძლებს. დავდგებით მტკივნეული ნაბიჯების წინაშე, რომელსაც, გარწმუნებთ, გადავდგამთ. ეს რომ მოტივირებული იყოს, სტუდენტებს თავად მიეცემათ საშუალება, აირჩიონ სასურველი ლექტორი. ამისთვის, ვფიქრობთ, სასწავლო წლის დასაწყისში გარკვეული დრო საპრეზენტაციო ლექციებს დაეთმობა.

- დღეს ფაკულტეტზე მომსახურე ლექტორებიდან რამდენი შეძლებს სიახლეებზე გადაწყობას?

- ზუსტი რიცხვის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ, ალბათ, ნახევარზე ნაკლები. გარდა ამისა, მოვიწვევთ სხვა ლექტორებსაც. ვიცი, რომ ჩემი კოლეგა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი კონკურსის გამოცხადებას აპირებს ამა თუ იმ საგნის წასაკითხად და ამით ხსნის საგანს ნებისმიერი მსურველისთვის, უნივერსიტეტის გარედან იქნება ის თუ უნივერსიტეტშივე.

- რას აპირებს ფაკულტეტი იმისთვის, რომ კურსდამთავრებული სამუშაოდ პრაქტიკული ჩვევებით კარგად აღჭურვილი მივიდეს?

- პირველკურსელ სტუდენტებს მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული, რომ მთავარი, რაც სწავლებას აკლია, პროფესიული პრაქტიკაა. მეოთხეკურსელ, წამსვლელ სტუდენტებსაც ვთხოვე, იქნებ, ანდერძივით დამიბაროთ, რა უნდა გავაკეთო-მეთქი... ყველა კურსზე ერთი მიმართებაა - არ არის პრაქტიკა. რაღაც საგანში ერთი სემესტრით თავს შეგვაყოფინებენ და აქედან არაფერი გვრჩება, ამას გვირჩევნია, ვიმუშაოთო.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, ფაკულტეტზე მაინც სჭარბობს მონოლოგი ლექციები, ეს ასე არ უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტს ავტორიტეტი არ უნდა ჰყავდეს. ჟურნალისტთან ლექციაზე შესული ლექტორი არა მხოლოდ მეტრი, არამედ კოლეგაც უნდა იყოს. ამიტომაც მაოგნებს, როდესაც სტუდენტებს ადმინისტრაციასთან პრობლემის გადასაჭრელად მშობელი მოჰყავს სალაპარაკოდ...

ეს არ არის ნუცას სკოლა.

- სტუდენტები გახსნილი არიან სიახლეებისთვის?

- შეიძლება, შეცდომას ჩავდივარ, მაგრამ ამას მაინც ვიტყვი. პირადად მე და სხვებიც, შევეცდებით მოვიმართოთ რჩეული უმცირესობისკენ, რომელსაც ჩვენ კი არ ავარჩევთ, არამედ - თვითონვე გამოიკვეთება.

როცა თანაბრობის პრინციპის დაცვას ცდილობ და ცდილობ, ყველა სტუდენტს თანაბრად ასწავლო, ეს ლექტორის მხრიდან თავის მოტყუება და ფარისევლობაა. ის ლექტორი ორიენტაციას იღებს სუსტ სტუდენტზე, რადგან თავად არ აქვს საკუთარი პროფესიონალიზმის იმედი და ვითომ ამ სუსტის ამოქაჩვის სოუსით, საშუალო და ძლიერი სტუდენტი თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. შეიძლება, უნივერსიტეტს მიღმა სტუდენტი სხვა წიგნებს კითხულობდეს, მაგრამ გარკვეული კალაპოტი პროფესიული ცოდნისთვის, მას უნდა გავუჭრათ.

სტუდენტებს ძალიან აინტერესებთ, რას ფიქრობენ მათ ნამუშევრებზე და ამას ლექტორები სათანადოდ არ ეკიდებიან. ამ უზარაზარი ნაკადის პირობებშიც კი ნამდვილად არის 20-25 ნათელი გონების სტუდენტი, ვისი გულისთვისაც ღირს, გადააწყო ფაკულტეტი და უმაღლესი დონის პროფესიონალებად აქციო ისინი. ეს გამოვა. სტუდენტს ყოველთვის ატყობ, რა ნაპერწკალიც ულვივის.

მატერიალური ბაზის გარეშე ყველაფერი შეუძლებელია. ფაკულტეტზე არ არის ტელევიზორი, სადაც სტუდენტთან ერთად რაიმე გადაცემა შეიძლება, განიხილო. სამაგიეროდ, მთელი შენობის ფართობზე არის სარდაფი, რომლის მოწესრიგებაც ფოფხაძემ დაიწყო და რომელშიც მაშინდელი მერი, ზოდელავა ეხმარებოდა. გაიტანეს უამრავი ნაგავი, შელესეს კედლები და იმდენად მაღალი ჭერია, ანტრესოლის გაკეთება და მეტი ფართის ათვისებაც შეიძლება. ამ სარდაფში, კარგად ვინტილირებულ, განათებულ და გამთბარ დარბაზში ვხედავ ბიბლიოთეკას, რომელიც დღეს ფაკულტეტზე არ არსებობს; ვხედავ დიდ კომპიუტერულ ლაბორატორიას, ან, გნებავთ, ნიუსრუმის მოდელს; იქვე შეიძლება რადიო სტუდიის გაკეთება. შორეული ოცნებაა, მაგრამ მინდა, როგორც მინიმუმ, შიდასაუნივერსიტეტო რადიომაუწყებლობის გაკეთებაც... მოვეშვათ ოცნებებზე საუბარს, მაგრამ ეგეთი აუთვისებელი რესურსი ბევრ ფაკულტეტს არ აქვს.

- უნივერსიტეტში ფაკულტეტების შერწყმაზე საუბრობდნენ. ეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტსაც ეხებოდა. რა ეტაპზეა ეს პროცესი?

- ფაკულტეტთა რაოდენობა ექვსამდე უნდა დავიდეს. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში აღმოჩნდება - ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობების გვერდით. ამის ფაქტობრივი კოორდინატორი ფილოსოფია-სოციოლოგიის დეკანი, ბატონი იაგო კაჭკაჭიშვილი გახლავთ. დე-იურე გელა ჩარკვიანია, რომელიც კოორდინირებისთვის ვერ იცლის. ბატონმა იაგომ დაწერა კონცეფცია, რომელსაც ყველაფერში ვერ დავეთანხმეთ.

- როდიდან დაიწყება ახალი პროგრამის რეალიზაცია?

- ახალი სასწავლო წლიდან. რაღას ვუცადოთ, კიდევ დაზვერვის საფუძვლები ვასწავლოთ? ერთ-ერთი დიდი პარადოქსი დამხვდა - საერთაშორისო ჟურნალისტიკის განხრის ვერც სტუდენტებმა და ვერც ლექტორებმა ვერ მიპასუხეს, რა არის ამ განხრის სპეციფიკა. ვკითხე, გამოდიხართ საერთაშორისო სისტემის, თუ საზღვარგარეთული ჟურნალისტიკის სპეციალისტები ან კიდევ სხვა რამ?.. მხრები აიჩეჩეს. ეს იყო ჰაერიდან მოსული კათედრა. თუ ამ განხრას პროფილი არ გამოვუძებნეთ, არსებობის ღირსი არ არის. ალბათ, პირველს გავაკეთებთ.

- საზოგადოებრივი ტელევიზიის მონიტორინგის საბჭოში იყავით. ახალ სამეურვეო საბჭოზე რას იტყვით?

- დანიშვნების ბოლო ისტორია არ ვიცი, რადგან თბილისში არ ვიყავი.

აღმოსავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, პოლონეთში - საზოგადოებრივი მაუწყებლობა ხელისუფლებისადმი ლოიალური გახდა. ამას ორი ფონი ჰქონდა - იმ დროს არსებობდა მრავალი კერძო მაუწყებლობა, რომელიც გაშმაგებულ ოპოზიციაში ედგა ხელისუფლებას, რომელსაც ერთი არხი მაინც სჭირდებოდა თავისი პოზიციების გამოსახატავად. ეს მაუწყებლობაც ერთმნიშვნელოვნად სახელისუფლებო არ იყო. დღევანდელ ფონზე კი არ მესმის, საზოგადოებრივი მაუწყებლობის, როგორც უწინარესად ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიის ფუნქცია. სხვა ტელევიზიები ხომ ისედაც უდასტურებენ ლოიალობას ხელისუფლებას, რომლითაც, ჩემი დაკვირვებით, მაყურებელი გაღიზიანებულია. ტელევიზიის არალოიალობა და არააღტაცება შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ - ერთია კრიტიკა და მეორე - ფაქტების მოყვანა, რომელსაც შეუძლია ეს კრიტიკა აღძრას არა ჟურნალისტებში, არამედ საზოგადოებაში.

არასდროს მიმუშავია ცენზურის პირობებში და მიჭირს, გავიგო, ამ მხრივ რა ხდება ტელევიზიებში დღეს, როგორ იპრესება ტელევიზიები, რამდენად თავისუფალია დღეს თვითშეფასება და სხვა. ბევრი ჩემი კოლეგა ან სხვა ადამიანი, რომელთაც ჟურნალისტებთან ურთიერთობა აქვს, მეუბნება, რომ მათ ჟურნალისტები შესჩივიან თავიანთ გაჭირვებას, ოღონდ გაუთქმელობის პირობას ართმევენ. ანუ, ჟურნალისტები უარს ამბობენ საჯაროდ დაცვაზე. საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ კანონში არის თავი, რომელიც თავის დასაცავად არაჩვეულებრივ საშუალებას აძლევს ჟურნალისტს. უბრალოდ, ის უნდა წაიკითხოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. პაჭუ ბაბუხადიასი არ იყოს, "მთლად ჩემს ფეხებს ნუ დაეყრდნობი, ცოტა ტვინიც გაანძრიეო..." მათ ეს ფორმულირება უნდა გამოიყენონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერავის დააბრალებენ პრესს და სარედაქციო თავისუფლების შეზღუდვას.

რა თქმა უნდა, სულ არ მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია ყალყზე უნდა დადგეს და ეკვეთოს ხელისუფლებას. ამას ვერც გააკეთებს, რადგან ლოიალურობის და სახელისუფლოდ ყოფნის 50-წლიანი ტრადიცია აქვს. აქედან თავის დაძვრენაა საჭირო, ეს კი უცებ არ გამოვა, მაგრამ პირველი ნიშნები მალევე უნდა დავინახოთ.

ახლა მუშაობენ მედიასაბჭოზე და იმედია, გაკეთდება კიდეც, რადგან ძალიან დაიგვიანა მედიის თვითრეგულირების მექანიზმის შექმნამ. მედიას საზოგადოების წინაშე რაღაც ბრალი მიუძღვის, რომელიც მას არავინ არ მოჰკითხა...

- მაგალითად?

- ეს იყო შარშან. შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ერთ-ერთ გაზეთში, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს იყო გაზეთ "ალიაში", სადაც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში არასრულწლოვანის გაუპატიურების შესახებ პატარა ინფორმაცია იყო. მოძალადის მხოლოდ ინიციალები ეწერა, დაზარალებულისა კი - გვარი, სახელი, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი. შეიძლება, იმ სოფელში სულ არ წაიკითხეს "ალია", მაგრამ ამ გაზეთს, მინიმუმ, უნდა მიეთითოს, რომ შეეშალა და პროცედურულად უნდა აღიწეროს, პროფესიული სტანდარტით რას ნიშნავს ამის გაკეთება.

ასევე იყო "რუსთავი 2"-ის სიუჟეტი ინსცესტზე. მნიშვნელობა არა აქვს, რესპონდენტი თავად დათანხმდა ამაზე ლაპარაკს თუ არა, ეს იყო არასრულწლოვანი. ამ სიუჟეტის გამო ტელეფონები ფეთქავდა თბილისში. ხალხი ერთმანეთს ურეკავდა და იგინებოდა...

- რა განასხვავებს წლევანდელი გამოშვებისგან ხუთი წლის შემდეგ ახალი პროგრამით ნასწავლ კურსდამთავრებულებს?

- შევხვდეთ 5 წლის შემდეგ და გეტყვით.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

გლობუსი
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
პრემიერა
"სამყარო"
ავტორი და რეჟისორი: დ. შალიკაშვილი.
დას: 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
"... და სიმღერით ვკვდები"
მურმან ჯინორიას სპექტაკლი
დას: 18:00 სთ.

კონცერტები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტთა საქველმოქმედო კონცერტი
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

რუსთაველი
"რობოტები"
დას: 14:30 სთ.

"დაიკიდე"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

ამირანი
"დაიკიდე"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:15 სთ.

"ყველაფერი ალფის შესახებ"
დას: 18:00 სთ.

გამოფენები

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
სააღდგომო გამოფენა
"თექა-მიქსი"

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

თაგის არტი
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

ჰობი
სააღდგომო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

ბავშვთა ნახატების გალერეა
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

ეროვნული გალერეა
გერმანელი მხატვრის ბერნარდ შვარცერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

ცენტრ-პოინტის გალერეა
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

საჯარო დისკუსია

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისი
(რადიანის ქ. 5)
საჯარო დისკუსია თემაზე:
"სექსუალური უმცირესობანი: ტაბუ საქართველოში"
მომხსენებლები: სალომე ასათიანი (კულტუროლოგი), ეკა აღდგომელაშვილი, ლევან თარხნიშვილი (სოციოლოგი)
დას: 17:00 სთ.

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი "კავკასიური სახლი"
სემინარი თემაზე
"ადრეული კინემატოგრაფი და ქალთა ემანსიპაცია"
მომხსენებელი: კინოს თეორიისა და ისტორიის სპეციალისტი, დოქტორი დინარა მაღლაკელიძე
დასაწყისი: 16:30 სთ.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

მუსიკალური ფანჯარა ევროპაში

"ევროვიზია" - ქვეყნის პოპულარიზაციის უკანასკნელი შანსი

ია ვეკუა

მალე ევროპისკენ ახალ ფანჯარას გავჭრით - სახელწოდებით "ევროვიზია". ჯერ არ ვიცით, როგორი სიო დაუბერავს იქიდან, ხოლო ჩვენ რომ ქვეყნის სასახელო მომღერალი უნდა გავაგზავნოთ, ეს ამ ევროპულ-მუსიკალურ კოლექტივში გაერთიანებით თავისთავად იგულისხმება. საქართველოს მორიგ ევროპულ ოჯახში ფეხის (ცხადია, მარჯვენა) შედგმაზე ცოტა ხნის წინ შექმნილი დამოუკიდებელი ჩამწერი კომპანიის "სტეპ რეკორდსის" დამფუძნებლები ზრუნავენ, რომლებიც იმდენად არიან წარმატებაში დარწმუნებული, რომ ლამის ახალი საკონცერტო დარბაზის პროექტზეც დაიწყონ მუშაობა.

"სტეპ რეკორდსი" - იგივე ვანიკო თარხნიშვილი, ვახო ბაბუნაშვილი და აჩიკო გულედანი საქართველოში შოუბიზნესის აყვავების, ქართველი მუსიკოსების სხვა ქვეყნების სცენაზე გაყვანისა და არტ მენეჯმენტის განვითარებისთვის იღწვიან. "ევროვიზია - საქართველო 2006" კი მათი კომპანიის ერთ-ერთი პროექტია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შემადგენლობას მინისტრი გიორგი გაბაშვილი და მისი სამინისტრო აგვირგვინებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ "ევროვიზიის" ქართველი ლობისტების ოცნება განხორციელებას ექვემდებარება.

შეიძლება ითქვას, რომ "ევროვიზიას" ოლიმპიური დევიზი აქვს: "მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება!". კონკურსში მონაწილეობა იმისთვისაც ყოფილა საჭირო, რომ მთელ ევროპას დავანახოთ, როგორი ნიჭიერები ვართ, როგორ გვინდა ევროკავშირში გაერთიანება (გვეკუთვნის კიდეც!) და რომ 50 ათასი ევროს გადახდა, ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციაში სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების გარდა ამ საწევრო თანხის გადარიცხვაც შედის.

გიორგი გაბაშვილი: "ევროვიზიის" ინტერნეტ გვერდზე მხოლოდ საქართველოს ბმული არ არის გააქტიურებული. ჩვენი მიზანი არა მხოლოდ ამ ბმულის შევსება, არამედ გამარჯვების მოპოვებაცაა. ამ კონკურსში საქართველოს მონაწილეობა ერთიან ევროპულ ოჯახში გაწევრიანების ერთ-ერთი წინაპირობაა. გარდა ამისა, ქვეყანაში განვითარდება შოუბიზნესი. ამ სფეროსთვის ხელის შეწყობა მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია.

თუ "ევროვიზია" ევროკავშირში შეგვიყვანს, ამას რა ჯობს, მაგრამ რეალისტები ამ მისიას მაინც პოლიტიკოსებს აკისრებენ. ამიტომ ამ ეტაპზე, ჯობს, მხოლოდ მუსიკალურ ინტეგრაციაზე ვიოცნებოთ. საამისოდ ჯერ შიდა ეროვნული კონკურსი უნდა ჩატარდეს. მასში მონაწილეობა ნებისმიერს შეუძლია ლელა წურწუმიადან დაწყებული, მეტროს გადასასვლელებში "დარი-დურის" მომღერლებით დამთავრებული. დაწესებული არც ასაკობრივი ცენზია და არც ჟანრობრივი. მთავარია, კონკურსის მონაწილე სცენაზე ხელით გასაყვანი არ იყოს და ზედმეტად სპეციფიკურ მუსიკას არ ეტანებოდეს.

"სტეპ რეკორდსი" "ევროვიზიის" საორგანიზაციო კომიტეტთან თითქმის ერთი წელია თანამშრომლობს. როგორც ამბობენ, შემოთავაზება სწორედ მათგან მიიღეს, რადგან მითს ქართველების უსაზღვრო ნიჭიერების შესახებ თურმე ევროპაშიც შეუღწევია. ვინაიდან, "ევროვიზია" ყველა ქვეყანაში ეროვნულ პროექტად მიიჩნევა და მასში მონაწილეობა პრესტიჟულია, ქართულმა მხარემ ეს ინიციატივა სიხარულით აიტაცა.

კონკურსის პირობების თანახმად, მომდევნო ფინალი წინა წლის გამარჯვებულის სამშობლოში უნდა გაიმართოს. შარშან საკუთარი ქვეყანა უკრაინელმა რუსლანამ ასახელა, ამიტომ 21 მაისს კიევი "ევროვიზია 2005-ის" ფინალს უმასპინძლებს. მას "სტეპ რეკორდსის" წევრებიც დაესწრებიან, რათა უკეთესად გაითავისონ საკონკურსო ციებ-ცხელება და მონაწილეობის წესებიც ჯეროვნად აითვისონ. როგორც გაირკვა, "ევროვიზიის" წესები ყოველწლიურად იცვლება, თან სხვადასხვა ქვეყნებს შიდა კონკურსის ჩატარების საკუთარი კრიტერიუმები აქვს. საერთო წესის თანახმად, შიდა კონკურსის ფავორიტი დეკემბერ-იანვარში უნდა გამოვლინდეს.

თუ გაგვიმართლა და "ევროვიზიაზე" წარმატებას მივაღწევთ, მთავარი თავსატეხი მაშინ დაიწყება. წესის თანახმად, მომდევნო კონკურსის მასპინძელი ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს. ხოლო სად, რომელ საკონცერტო დარბაზში - ამაზე პასუხი არათუ გაბაშვილს, მასზე მაღალი თანამდებობის მქონეებსაც არ აქვთ. თუმცა, გაბაშვილი მაინც იმედიანადაა. მისი აზრით, თუ ბუშის დასახვედრად ქალაქის მოასფალტება-შეღებვა რეკორდულ ვადაში მოხერხდა, ერთი ხეირიანი დარბაზის აშენება არ უნდა გაგვიჭირდეს.

"ევროვიზიაზე" საუბრისას ხშირად აღნიშნავენ მის სარგებლობას ქვეყნისთვის, მაგრამ ნაკლებად ახსენებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს კონკურსი გამარჯვებულისთვის. თუ კონკურსის ისტორიას გადავხედავთ, მასში თითქმის ვერ აღმოვაჩენთ ცნობილ, ანუ შემდგომში "გავარსკვლავებულ" სახელებს.

"ევროვიზია" 1956 წლიდან ტარდება და მასში უკვე მიიღო მონაწილეობა ასობით კონკურსანტმა. პირველად ჰოლანდიელმა, ვინმე ჯეტი პაერლმა გაიმარჯვა. 1970 წელს კონკურსში ხულიო იგლესიასი მონაწილეობდა, რომელმაც მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ, საბოლოოდ, პირველ ადგილზე გასულებზე ცნობილი კი გახდა. 1974 წელს "ევროვიზიაზე" ნამდვილი ვარსკვლავი ამობრწყინდა - "აბბა"-მ სიმღერით "ვატერლოო" პირველი ადგილი დაიკავა, იმავე წელს მეოთხე ადგილი ოლივია ნიუტონ ჯონმა აიღო. 1976 და 1985 წლების კონკურსებზე მეშვიდე პიზიციაზე გავიდნენ ალ ბანო და რომინა პაუელი.

თავისი სიტყვა "ევროვიზიაზე" კანადელმა სელინ დიონმაც თქვა. 1988 წლის კონკურსზე იგი შვეიცარიის სახელით გამოვიდა და ნამდვილ ევროპელებს პირველი ადგილიც ააწაპნა. "ევროვიზიაზე" თვით ტოტო კუტუნიოსაც გაუმარჯვია - 1990 წელს მან პირველობა არავის დაუთმო და იტალიას მომდევნო კონკურსის მასპინძლობის შანსი მისცა.

რუსები "ევროვიზიაზე" 1994 წლიდან მონაწილეობენ. ევროპის გაოცება უკვე მოასწრეს ფილიპ კირკოროვმა, ალა პუგაჩოვამ. ალსუმ, "მუმი ტროლმა", "პრემიერ მინისტრმა" და "ტატუმ". შარშან დედა, მამა და ქვეყანა უკრაინელმა რუსლანამ გაახარა. უკრაინა ესტონეთისა (2001 წელს) და ლატვიის (2002 წელს) შემდეგ, მესამე პოსტსაბჭოთა გამარჯვებული ქვეყანაა. სწორედ, ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ 2006 წელს, შესაძლოა, საქართველოსაც გაუმართლოს. ასე რომ, ქართული შოუბიზნესის პარალელურად სასწრაფოდ უნდა შევუდგეთ ახალი საკონცერტო დარბაზის შენებას.

გავიხსენოთ საქართველო

ნათია ვადაჭკორია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის - გავიხსენოთ საქართველოს ეგიდით გუშინ გალერეა "ჰობიში" სააღდგომო გამოფენა გაიხსნა.

საქართველოს ბოლო ათწლეულები და ურთულესი ვითარება თავისებურად აისახა ქართულ მეცნიერებასა და კულტურაზე. სამწუხაროდ, დავიწყებას ეძლევა უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-კულტურული ფასეულობები. ამ პრობლემის ერთგვარ დაძლევას ისახავს მიზნად პროექტი - "გავიხსენოთ საქართველო", რომელიც წარმოადგენს 36 დოკუმენტურ ფილმს და მოიცავს საქართველოს სულიერ-მატერიალურ კულტურას, ისტორიას, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, უნიკალურ ძეგლებს, სხვადასხვა კულტურის თანაარსებობისა და ურთიერთგამდიდრების პროცესს, გამოჩენილ ადამიანთა მოღვაწეობას, ამას გარდა, აქციათა მთელ ციკლს, რომელიც ისევ და ისევ ქართული კულტურის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. აქციის პარტნიორია სადაზღვევო კომპანია "ალდაგი".

გალერეა "ჰობიში" მოწყობილ სააღდგომო გამოფენაზე 32 სხვადასხვა თაობის მხატვართა 70 ნამუშევარია წარმოდგენილი. გამოფენის დათვალიერებისას არა მხოლოდ სადღესასწაულო - სააღდგომო განწყობა დაგეუფლებათ, არამედ ფერწერის, გრაფიკის, პოპ-არტის, მინიატურების, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების, სააღდგომო ბარათებით ყველა იმ კომპონენტს ეზიარებით, რაც აღდგომისთვისაა დამახასიათებელი. ესმა ონიანის ციკლი "სამოთხე" ჯემალ კუხალაშვილის "სააღდგომო ბაზრობა", ზურაბ ნიჟარაძის "მირქმა", ლევან მარგიანის "იგავი გონიერი და უგუნური მშენებლების შესახებ", გივი კასრაძის "მაცხოვარი", მანანა ტორონტაძის "ენდრო და კვერცხები", ლევან ხარანაულის "ნატურმორტი", რადიშ თორდიას "ლოცვა", გოგი ლაზარაშვილის "წითელი კვერცხი" და ალბერტ დილბარიანის "სააღდგომო დღესასწაული" მთლიან კომპლექსს ქმნის იმისთვის, რათა მოახლოებული აღდგომა სრულად აღიქვა.

წითელი კვერცხი, პასკა, ამოსული ჯეჯილი, ლოცვა, ანთებული სანთელი, მაცხოვრის ხატი, უამრავი დამთვალიერებელი და კარგი განწყობა, აი, ის, რისი ნახვაც გალერეა "ჰობიში" შეგიძლიათ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სხვათა შორის, დამთვალიერებლებს შორის პრეზიდენტის მეუღლე - სანდრა რულოვსიც იმყოფებოდა, რომელმაც დიდი დაკვირვებით დაათვალიერა ექსპოზიცია, თუმცა მისი შთაბეჭდილებები ჩვენთვის უცნობია.

აღსანიშნავია, რომ "გავიხსენოთ საქართველოს" ორგანიზატორი მამუკა არეშიძე გახლავთ, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა: "გავიხსენოთ საქართველო" გახლავთ კავშირ "ეს საქართველოს" ერთ-ერთი პროექტი. როგორც ამ კავშირის თავმჯდომარეს, შემიძლია, განვაცხადო, რომ გარდა გამოფენებისა და საქართველოს შესახებ დოკუმენტური სერიალის გადაღებისა, რომელიც ზაფხულის პერიოდში დაიწყება, უამრავი კულტურული პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რათა ჩვენს ერს საკუთარი სამშობლოს რწმენა დაუბრუნდეს".

"გავიხსენოთ საქართველოს" სამხატვრო ხელმძღვანელმა მერაბ კოკოჩაშვილმა ისურვა, რომ გაზეთებმა, რადიო და ტელევიზიამ მეტი პროპაგანდა გაწიოს იმისა, რასაც სულიერება, სილამაზე, ესთეტიკა და ხელოვნება ჰქვია. პროპაგანდის გარეშე გირჩევთ სააღდგომო გამოფენის დათვალიერებას.

ევროპა პატარების წარმოსახვაში

ვერა ნეფარიძე

"საქართველო - ევროპა", - ასეთი იყო თემა, რომლის ირგვლივაც საქართველოში მცხოვრებმა ორასამდე ბავშვმა შექმნა ნახატები. თბილისის სხვადასხვა საშუალო სკოლების, "საერთაშორისო სკოლის" (QSI) მოსწავლეებისა და თბილისის ქუჩის ბავშვების ექსპოზიცია გუშინ ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში "ევროპის დღეს" (რომელიც 9 მაისს აღინიშნება) მიეძღვნა.

გამოფენის თანაორგანიზატორი საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობაა, რომელიც ყოველწლიურად 9 მაისს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებით ხვდება. ამჯერად წარმომადგენლობაში გადაწყვიტეს, ბავშვთა სურათების გალერეასთან ერთად პატარებისთვის შეექმნათ სადღესასწაულო განწყობა. ასეთი განწყობა კი, უდავოდ იგრძნობოდა გუშინ გალერეაში; მით უმეტეს, გამოფენის გახსნის დასასრულს, როდესაც ყველა ავტორი ორგანიზატორებმა სამახსოვრო ნივთებით - დიპლომებითა და მაისურებით დაასაჩუქრეს. ევროკომისიის წარმომადგენლები ექსპოზიციიდან რამდენიმე ნამუშევარს შეარჩევენ და 9 მაისს სასტუმრო "მარიოტში" დაგეგმილ ღონისძიებაზე გამოფენენ. გამოფენის გახსნას საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენელი ტორბენ ჰოლცეც ესწრებოდა.

"რამდენიმე წელიწადია, ჩვენთან მგავსი გამოფენები ეწყობა. ევროკომისიის წარმომადგენლობამ თემა შემოგვთავაზა, ჩვენ დავუკავშირდით სხვადასხვა სკოლას, ბავშვებს, რომლებიც გალერეასთან აქტიურად თანამშრომლობენ; განგებ, უარი ვთქვით კონკურსის ფორმაზე; არ გვინდოდა, რაიმე ნიშნით გამოგვერჩია მათი ნამუშევრები", - ამბობს გალერეის დირექტორი ლია გორგაძე. იმ ბავშვებს შორის, ვინც გალერეასთან თანამშრომლობს, თბილისის ქუჩების ბინადარნიც, უსახლკარო პატარებიც არიან. მათი მონაწილეობით ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში ძველით ახალ წელს სპეციალური გამოფენა გაიხსნა; ამჯერად ამ ბავშვებმა გამოფენაზე ერთი კუთხე შეავსეს საკუთარი ნახატებით. გამოფენაზე შერჩეული ნამუშევრების ავტორები 7-დან 13 წლამდე პატარები არიან.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გამოფენის გახსნაზე უცხოელ სტუმართა სიმრავლის მიზეზი მარტივია - ექსპოზიციაში ე.წ. "საერთაშორისო სკოლის" (QSI), თბილისში საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომელთა შვილებიც მონაწილეობენ. გამოფენამ დამანახა, რომ არანაკლებ საინტერესოა მათი დანახული საქართველოსა და ევროპის კავშირები, ვიდრე ქართველი ბავშვების მიერ. მაგალითად, ერთ-ერთი დიპლომატის 7 წლის შვილისთვის ევროპული საქართველო საზოგადოებრივ წესრიგს უკავშირდება, რაც მეტად მარტივად არის ფანი კასტელის ნახატში გადმოცემული: შუქნიშანთან გაჩერებული ავტომანქანებითა და მწყობრად მიმავალი ფეხითმოსიარულეებით. ნახატებში არის ევროპული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი არქიტექტურა, ჰერალდიკური სიმბოლოები, არის ღიმილისმომგვრელი ნიუანსებიც. ყველა შემთხვევაში, გამოფენა ქმნის წარმოდგენას, თუ როგორ აღიქვამენ ევროპას პატარები საქართველოდან.

თავბრუსხვევა ამერიკულად

შტატებში ორი გრანდიოზული ტურნე მიმდინარეობს. ერთი - U2-სი, რომელიც უკვე ერთი თვეა, გრძელდება. მეორე - ბრიუს სპრინგსტინის, რომელმაც ორიოდე დღის წინ აიღო სტარტი. მოკლედ, ხდება ზუსტად ის, რისი თარგმნაც ცოტა რთულია და ინგლისურად ასე ითქმება: The States rock. თუმცა, მაინც ვცადოთ - ამერიკა ხალისობს. თან ძალიან.

U2

ბრუს სპრინგსტინი

მეგობრები

ბონომ თავისი ბიჭებით და თანმხლები მეგობრებითა და ჟურნალისტებით სავსე დიდი ავტობუსით უკვე მოიარა სან დიეგო, სან ხოსე, ლოს ანჯელესი, ანაჰაემი, ფენიქსი, დენვერი და სიეტლი. სიეტლი სულ ბოლოს იყო, გუშინწინ. ყველაზე ღირსშესანიშნავიც არამუსიკალური თვალსაზრისით სწორედ ეს გაჩერება აღმოჩნდა. ბონომ ღამე ბილ გეიტსის რეზიდენციაში გაათენა და იმიტომ. მიწვევა მსოფლიოს უმდიდრესმა კაცმა U2-ს გულითადად გაუგზავნა. გეიტსს მათი მუსიკაც ძალიან მოსწონს და ის ფაქტიც აღაფრთოვანებს, რომ დუბლინელები მესამე სამყაროს ქვეყნების განვითარებისთვის ფინანსებსა და სიმღერებს არ იშურებენ.

"მეც ერთ-ერთი ვიყავი 20 ათას აჟიტირებულ ფანს შორის", - თქვა გეიტსმა კონცერტის დასრულების შემდეგ და პრესას ისიც განუმარტა, რომ ბონოს მისი ფილანტროპიული საქმიანობის წყალობით ახლოს იცნობს. შოუ რომ დამთავრდა, ის და ბონო ერთად გაერთნენ, შემდეგ კი სახლშიც ერთად წავიდნენ.

"ჩვენ ორივეს ღრმად გვწამს, რომ განვითარებად ქვეყნებს მხარში ამოდგომა სჭირდებათ. ისიც უნდა გითხრათ, რომ ბონომ ძალიან დიდი გავლენა იქონია ამ პროცესებზე", - ესეც ბილ გეიტსის სიტყვებია.

უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას ამ გლობალური პროცესების შესახებ, რომელშიც ბონო და ბილი ერთად მონაწილეობენ, ურიგო არ იქნება, ცოტა ფულზე საუბრითაც შევიქციოთ თავი.

გეიტსი სპეციალურ ფონდს განაგებს, "ბილ და მელინდა გეიტსების ფონდს", 28 მილიარდი დოლარის შენატანით. ეს მსოფლიოს უდიდესი საქველმოქმედო ორგანიზაციაა. მისი მიზანი განვითარებად მსოფლიოში ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. გეიტსის ფონდს დღემდე 4 მილიარდ დოლარამდე აქვს დახარჯული ისეთ დაავადებებთან საბრძოლველად, როგორიც შიდსი და მალარიაა.

თავისი ფონდი აქვს ბონოსაც და ბრძოლის თავისი მეთოდებიც. ის ხვდება მსოფლიო ლიდერებს, ესაუბრება სიღატაკზე, სტუმრობს შიდსით დაავადებულ ადამიანებს აფრიკაში და, რაც მთავარია, მათთვის მღერის, კონცერტებიდან შემოსულ თანხებსაც მათ ახმარს.

ასე რომ, მეგობრობისთვის ბონოსა და ბილს ორი სოლიდური მიზეზი აქვთ - ღატაკები და მუსიკა.

მოგზაურობა კი გრძელდება. 28-29 აპრილს U2 კანადაში გადავა და ვანკუვერში დახარჯავს უდიდეს მუსიკალურ ადრენალინს. 7-დან 12 მაისის ჩათვლით ისევ ამერიკაში დაბრუნდებიან და ჩიკაგოს დაახვევენ თავბრუს. შემდეგ ბოსტონს, რატერფორდსა და ნიუ იორკს. უკვე 10 ივნისიდან კი მშობლიურ კონტინენტს დაუბრუნდებიან, ტურნეს ევროპულ ნაწილს ბრიუსელში გახსნიან; 12 მაისს "შალკეს" სტადიონზე, გელსენკირხენში გამოვლენ; 14 და 15 მაისს მანჩესტერში, მანჩესტერის სტადიონზე. შემდეგ კი უკვე ლონდონის გავლით, მთელი ზაფხულის განმავლობაში მოივლიან:

გლაზგოს, დუბლინს, კარდიფს, ვენას, კატოვიცეს, ბერლინს, პარიზს, ამსტერდამს, ციურიხს, მილანს, რომს, ოსლოს, გიოტენბერგს, კოპენჰაგენს, მიუნხენს, ნიცას, ბარსელონას, სან სებასტიანს, მადრიდს, ლისაბონს. სექტემბრიდან კი ისევ ჩრდილოეთ ამერიკას დაუბრუნდებიან და უამრავ ქალაქს ეწვევიან. ტურნეს 19 დეკემბერს პორტლენდში დაასრულებენ. ერთი უკბილოდაც უნდა ვიხუმროთ და გითხრათ, რომ ბილეთებზე ზრუნვა უკვე გვიანია - ყველა კონცერტზე ყველა ბილეთი გაყიდულია.

აკუსტიკური და სოლო სტარტი

ბრიუს სპრინგსტინმა კი გუშინწინ დაიწყო. დეტროიტში, ფოქსის თეატრში გვიან საღამოს გამართულ პირველ კონცერტს 5000-მდე მსმენელი დაესწრო. შოუზე ისეთი აურა სუფევდა, თითქოს, დარბაზი ბრიუს სპრინგსტინის უახლოესი მეგობრებით ყოფილიყო სავსე - ყველას ყველა უყვარდა და პატივს სცემდა. ბოსმა სტუმრებს სთხოვა, მობილური ტელეფონები გამოერთოთ და მშვიდად მსხდარიყვნენ. თვითონ კი თითქმის ბოლომდე ჩაბნელებულ სცენაზე მარტოდმარტო მოკალათდა და კონცერტიც გახსნილად გამოცხადდა. სცენას, დრო და დრო, წითელი, იისფერი და ლურჯი ტალღისებური განათება გადაუვლიდა ხოლმე და განწყობას დარბაზში კიდევ უფრო ინტიმურს ხდიდა. თვითონ სპრინგსტინიც ისე გამოიყურებოდა, როგორც სახლში - შავი, სახელოებაკაპიწებული პერანგითა და ჯინსით იდგა სცენაზე და თავისი ახალი ალბომიდან Devils and Dust ("ეშმაკები და მტვერი") ასრულებდა სიმღერებს.

ეს კრებული მან "ი სთრით ბენდის" გარეშე ჩაწერა. დეტროიტულ გამხსნელ კონცერტზე ალბომიდან 12 სიმღერა შეასრულა, დანარჩენი 25 სიმღერა - მსმენელისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი იყო. ახალი ჩანაწერები კი ამ კონცერტამდე თითქმის არავის ჰქონდა მოსმენილი. ერთადერთი, რაც პუბლიკამ იცოდა, ალბომის წინმსწრები სიმღერა იყო, რომელიც ინტერნეტში და რადიოტალღებზე დისკის გამოსვლამდე დატრიალდა (დისკი კი გუშინ გამოვიდა).

კონცერტმა ორსაათნახევარს გასტანა. მუსიკოსს კისერზე ჰარმონიკა ეკიდა, რამდენიმე მიკროფონი ჰქონდა, ხელში გიტარა ეჭირა, იქვე იდგა პიანინო, სპიკერ მონიტორები და მაგიდა, რომელზეც მძივებით მორთული მბჟუტავი ლამფა და ძველებური სტილის შანადლი იდგა - კიდევ უფრო კამერული და ოჯახური განწყობის შესაქმნელად. დრო და დრო, სპრინგსტინს უცნობის ხელი აწვდიდა სხვადასხვა ტიპის გიტარას. ის კი უცნობს ლაპარაკს უბამდა, სიმღერიდან სიმღერამდე კი პუბლიკასაც უამბობდა ამბებს. ერთ-ერთი ასეთი ლირიკული გადახვევის დროს, მან ისიც გაიხსენა, თუ როგორ უსმენდნენ მისი მშობლები ტკბილ სასიყვარულო სიმღერებს რადიოეთერში. უფროს სპრინგსტინს თურმე სჯეროდა, რომ ეს რომანტიკული სიმღერები დაშიფრულ სამთავრობო პროპაგანდას შეიცავდა და მსმენელს აიძულებდა დაოჯახებას, ბავშვების გაჩენას და გადასახადების გადახდას. "მამაჩემის ეს დასკვნები დღემდე ყურში ჩამესმის", - ჰყვებოდა სპრინგსტინი.

პუბლიკას კი ყველაზე მეტად მისი ახალი სიმღერებიდან ერთი მოეწონა - Maria's Bed. ერთ-ერთმა მსმენელმა პირდაპირ დარბაზიდან გაანდო სპრინგსტინს, რომ ეს სიმღერა მთელ ალბომს "გაქაჩავდა".

მერე "ბოსმა" ახალი დისკიდან ბოლო სიმღერა Matamoros Banks შეასრულა და სცენიდან გავიდა, მაგრამ პუბლიკის მოთხოვნა მაინც გაითვალისწინა, უკან დაბრუნდა და კიდევ ოთხი სიმღერა იმღერა. ყველა ძველი იყო, მათ შორის: Waitin' on a Sunny Day და Promised Land.

ფარდა დეტროიტში ასეთ ემოციურ-რევოლუციურ ნოტაზე დაეშვა. სპრინგსტინმა კი ტურნე განაგრძო. 28 აპრილს ის დალასს ეწვევა, 30 აპრილს - ფენიქსს, 2-3 მაისს კი ლოს ანჯელესში გამართავს კონცერტებს. მუსიკალური მიმომხილველები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ 1996-97 წლებში ჩატარებული Ghost of Tom Joad-ის გასტროლის შემდეგ ეს სპრინგსტინის პირველი სოლო კონცერტი იყო.

13-ქალაქიან ტურნეში "ბოსი" დაიცავს დეტროიტულ აურას და კონცერტებს თეატრალური დადგმის ეფექტით გამართავს. ახალი დისკი კი ორგვერდიანია, პირველ გვერდზე კომპაქტ დისკის ფორმატით მთელი ალბომია ჩაწერილი, მეორე გვერდზე კი ვიდეო ციფრული დისკის სახით დამატებითი მასალა პლუს ფილმი. საინტერესოა ისიც, რომ მუსიკალური მასალა ამ ალბომისთვის მომღერალს ჯერ კიდევ 1997 წელს ჰქონდა მზად, მაგრამ მისი ჩაწერა დღემდე გადადო, რადგან "ი სთრით ბენდთან" გაერთიანება არჩია (1999 წ.) შემდეგ კი "11 სექტემბერიც" მოხდა და მორიგი ალბომი The Rising ამ თემაზე 2002 წელს ისევ "ი სთრითთან" ერთად ჩაწერა. ასე რომ, გუშინ გამოსული დისკი შეიძლება ითქვას, რომ ლამის ათწლიანი მუშაობის შედეგია.

P.S. როგორც ხედავთ, დასაწყისში ნათქვამი ფრაზა ზედგამოჭრილი აღმოჩნდა იმის შესაფასებლად, რაც ამერიკაში ხდება. რადგან მართლაც ასეა: The States rock - ამერიკა კვლავ გზაზეა და კვლავ ხალისობს. თან ძალიან.

ევროპელი ფავორიტები კანის კინოფესტივალზე



ნინო ხონელი

2004 წლის კანის საერთაშორისო ფესტივალის და გამარჯვებული ფილმის ("ფარენჰეიტი 9/11") შემდეგ, ფესტივალის ჟიური და მისი მხატვრული ხელმძღვანელობა კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა. კინოფესტივალმა პოლიტიკური დატვირთვა არ უნდა შეიძინოს და ჩვენ უნდა ვიცოდეთ ხელოვნებისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა - იყო ასეთი გამონათქვამები. კრიტიკის მიუხედავად, კანის ფესტივალი კინოს სამყაროში მაინც ყველაზე პრესტიჟულ კონკურსად რჩება და ოქროს პალმის რტო ისევ ყველაზე სანატრელი პრიზია ყველა კინორეჟისორისთვის.

წლევანდელი ფესტივალის საკონკურსო ფილმები განსაკუთრებული სიფრთხილითა და სკრუპულოზურობით იყო შერჩეული. ალბათ ამიტომაცაა, რომ საკონკურსო ჩვენებაში არც ერთი დოკუმენტური ფილმი არ მონაწილეობს, 51 საკონკურსო ფილმს შორის კი მხოლოდ 9 არის ინგლისურენოვანი.

58-ე კინოფესტივალის საკონკურსო ჩვენების ფავორიტები დეივიდ კრონენბერგი, ვიმ ვენდერსი, ჟან პიერ და ლიუკ დარდენები, ატომ ეგოიანი, ჯიმ ჯარმუში, გას ვან სენტი და ლარს ფონ ტრიერი არიან. მცირე ინფორმაცია ამ რეჟისორებისა და მათი ფილმების შესახებ.

ვიმ ვენდერსის ფილმში - Don't Come Knocking-ში, მთავარ როლს სემ შეპარდი და ჯესიკა ლანჟი ასრულებენ. ამბავი, რომლის ავტორიც სემ შეპარდია (რომელიც ასევე სცენარის ავტორია ვიმ ვენდერსის ცნობილი ფილმის, ოქროს პალმის რტოს ლაურეატის "პარიზ-ტეხასის"), მოგვითხრობს ერთი კოვბოის შესახებ, რომელიც ცდილობს გაუგოს საკუთარ თავს.

დეივიდ კრონენბერგისა და **ატომ ეგოიანის** მონაწილეობა წლევანდელ ფესტივალში აშკარა წარმატების ნიშანია კანადისთვის. კრონენბერგის ფილმი დამყარებულია კომიქსების წიგნზე A History of Violence. როგორც ამბობენ, ფილმი ძალიან ჰგავს კლასიკურ ვესტერნს, მაგალითად, ჯონ ფორდის ფილმებს, თუმცა, კრონენბერგის ფილმის მოქმედება ინდიანას შტატში ხდება და ხდება დღევანდელ დღეს.

ეგოიანის ფილმი Where the Truth Lies გვიამბობს ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალბატონის შესახებ, რომელიც შოუბიზნესში არსებულ უძველეს კონფლიქტს იძიებს.

ლარს ფონ ტრიერის ფილმი Manderlay მისი ამერიკული ტრილოგიის მეორე ნაწილია. ნიკოლ კიდმანის ანუ მისი ტრილოგიის მთავარი გმირის როლს აქ ბრაის დალას ჰაუარდი ასრულებს. გრეისი მამასთან ერთად მანდალეის პლანტაციაში ხვდება, სადაც ჯერ კიდევ მონათმფლობელური წყობაა. ფილმის სცენარის ავტორი ისევ ლარს ფონ ტრიერია.

ტომი ლი ჯონსი კანის საერთაშორისო ფესტივალის კონკურსში ერთადერთი კინოდებიუტის ავტორია - The Three Burials of Melquiades Estrada. ფილმში, რომელშიც ჯონსი მთავარ როლს ასრულებს, ცდილობს, მეგობრის ანდერძი შეასრულოს და ის მექსიკაში დაკრძალოს.

ჯიმ ჯარმუშის კომედიის გმირი (Broken Flowers) ტიპური ბერბიჭაა, რომელიც მის ყოფილ მეგობარ გოგონებს ამერიკის ქალაქებში ატარებს იმ მიზნით, რომ გაარკვიოს - საიდან გაჩნდა მისი სავარაუდო 19 წლის ვაჟი, ვისი არსებობის შესახებაც მან მხოლოდ ახლა გაიგო. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ჟიული დელფი, ფრენსის კონროი და შერონ სთოუნი.

ფესტივალის მხატვრული ხელმძღვანელი ამერიკულ ფილმებთან დაკავშირებით წერს: "მე დაახლოებით 700-800 ამერიკული ფილმის ნახვა მომიხდა, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ ავარჩიე ფესტივალისთვის, რადგან ამერიკული კინო ახლა თავისი აღმავლობის გზაზეა, ჩვენ კი უნდა შევინარჩუნოთ ბალანსი, ამერიკული ფილმები არ უნდა იყოს დომინანტი. ამიტომ მე მხოლოდ რამდენიმე მათგანი ავარჩიე, ისეთი ფილმები, რომლებიც გამოხატავს მის მხატვრულ სიმდიდრეს და ნაირფეროვნებას". ალბათ, ამიტომ ვუდი ალენის ფილმი Match Point კონკურსგარეშე ჩვენებაშია წარმოდგენილი.

ვარსკვლავების სია, რომელიც ფესტივალზე დამსწრეთა ერთ-ერთი მომზიდველი ძალაა, ამგვარია: შერონ სთოუნი, ბრიუს უილისი, ჯესიკა ლანჟი, მიკი რურკი, ბენისიო დელ ტორო, ველ კილმერი, იუინ მაკ-გრეგორი, სემუელ ჯექსონი, ნატალი პორტმანი და სხვა.



ხელოვნება ჯანმრთელობის სამსახურში

ნათია ლურსმანაშვილი

წარმოიდგინეთ, რომ საშინელი დღე გაქვთ. ღამე ცუდად გეძინათ, დილით მემაწვნე ქალმა გაგაღვიძათ - "მაწონიიიი", მერე ლიფტში გაიჭედეთ, არც სამსახურში გაგიმართლათ - უფროსმა უკანასკნელი სიტყვებით გამოგლანძღათ. იმის მაგივრად, რომ დეპრესიაში ჩავარდეთ ან სულაც ვინმე გამოლანძღოთ (ასევე უკანასკნელი სიტყვებით, ცენზურას რომ ემორჩილება), დაჯექით და ხატვა დაიწყეთ. ფურცელზე ის განწყობა გადმოგაქვთ, რაც მთელი დღის განმავლობაში დაგყვებათ, თან სიტუაციის ლოგიკურ დასასრულსაც "ხატავთ". მოულოდნელად აღმოაჩენთ, რომ ამ შემოქმედებითი პროცესის დროს არა მარტო შინაგან სიმშვიდეს მოიპოვებთ, არამედ კონფლიქტური სიტუაციისგან ლოგიკურ და მშვიდობიან გამოსავალს პოულობთ.

ხატვა მხოლოდ ერთ-ერთია იმ უამრავ მეთოდთაგან, რომლებსაც ფსიქოლოგები გვთავაზობენ არტ-თერაპიის ფარგლებში. ამის გარდა, შეგიძლიათ ცეკვაც დაიწყოთ, მინისპექტაკლი დადგათ ან მუსიკა შექმნათ. ამ დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გაქვთ თუ არა ხატვის ნიჭი, ბავშვობაში მსახიობობაზე ან რეჟისორობაზე ოცნებობდით თუ სპილომ ფეხი დაგაბიჯათ ყურზე. მთავარია, თავს საშუალება მისცეთ, ნეგატიური ემოციებისგან გათავისუფლდეთ და კონსტრუქციული მსჯელობის უნარი დაიბრუნოთ. მკურნალობის ასეთი მეთოდი იმაზე ეფექტურია, ვიდრე მიხვიდეთ რომელიმე ცნობილ ფსიქოთერაპევტთან და ჰიპნოზურ მდგომარეობაში თქვენს არაცნობიერ მხარეზე დაიწყოთ მსჯელობა. ჰიპნოზი, ცოტა არ იყოს, ვნებს კიდეც ფსიქიკას, მაშინ როცა ხელოვნება ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ადამიანის ბუნებრივი გამოვლინება იყო - თუნდაც გამოქვაბულის კედლებზე დახატული ნადირობის სცენები, რიტუალური ცეკვები რიტმული მუსიკის თანხლებით.

ალბათ, შეამჩნევდით, რომ გამოფენების, კონცერტებისა და სპექტაკლების ნახვის შემდეგ ამაღლებული გუნება-განწყობილებით ბრუნდებით სახლში. მაგრამ, ძალიან ცოტა თუ უფიქრდება ხელოვნების თერაპიულ მხარეს. თუმცა, ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ სხვადასხვა მუსიკა განსხვავებულად მოქმედებს ჩვენზე - ზოგი სისხლის წნევას გვიმატებს, ზოგი გულს გვიჩქარებს. შენობის ფერი კი მცენარეებზე უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე ადამიანზე. ამიტომაცაა, რომ კაქტუსი ლურჯ ფერად შეღებილ ოთახში არ უნდა მოვათავსოთ. ბუნებრივად მას ოქროსფერი, ქვიშისფერი უფრო "მოუხდება".

ზოგიერთ კლინიკაში არტთერაპიას ნარკომანების ცხოვრების ნორმალურ რიტმში დასაბრუნებლადაც იყენებენ. პაციენტი თავის ნიღაბს ყოველ კვირას ხატავს. ნახევარი საათი მედიტაციას უნდება, შემდეგ ფურცელი, მაკრატელი და ფერადი ფანქრები შემოდის თამაშში. ორ საათში ნიღაბი მზადაა. ზოგისთვის ის - "ჩემი ავადმყოფობაა", ზოგისთვის - "ნარკომანიისადმი დამოკიდებულება". ზოგჯერ პაციენტისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს პრობლემის სიტყვებით გადმოცემა, ხატვის დროს შინაგანი დისკომფორტის დამალვა შეუძლებელია. ნიღბის შექმნისას ხელები თითქოს თავისით მუშაობენ.

პაციენტს ექვსთვიანი კურსი უტარდება. მკურნალობის შემდეგ ყოველ მათგანს ათობით ასეთი ნიღაბი აქვს. თუმცა, ყველა მათგანი საკუთარ შემოქმედებას კლინიკაში ტოვებს - სხვა ადამიანების შეფასების ეშინიათ.

ასე რომ, ნუ შეგეშინდებათ ტირანების, მძიმე დღეების, ცუდი ამინდის. ხატეთ, იცეკვეთ ან მეგობრებს სთხოვეთ და "ჰამლეტი" დადგით. ეს ბევრ პრობლემას მოგიხსნით და ფიქრსაც მიგაჩვევთ.

კახა ცხადაძის „ოქროს" გამარჯვება

"დინამომ" ჩემპიონატს მთავარი ინტრიგა დაუკარგა

გოჩიტა ბახაიძის ფოტო

ცხადაძის "დინამომ", ფაქტობრივად, ჩემპიონობა გაინაღდა.

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის 30-ე ტურმა, პრაქტიკულად, გადაწყვიტა ოქროს მედლების ბედი. ეს დედაქალაქურ "დერბიში" მოხდა, რომელშიც მეორე პოზიაციაზე მყოფმა "თბილისმა" 7 ქულით დაწინაურებულ "დინამოს" უმასპინძლა და დამარცხდა.

მატჩი რამდენიმე თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი. მიმდინარე სეზონში "დინამოსა" და "თბილისის" დაპირისპირებას სკანდალები და სიურპრიზები არ მოჰკლებია. პირველ წრეში "დინამომ" მასპინძლის რანგში "თბილისის" დაცვისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. დინამოელები 4:0-ს ამარცხებდნენ მეტოქეს და სტუმრებმა მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს პრესტიჟის გოლის გატანა. სამაგიეროდ, "თბილისმა" მეორე წრეში სრულფასოვანი რევანში აიღო: უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში გასული "დინამო" 5:0 დაამარცხა. თან, ამ მატჩის სულ ბოლო წუთზე "თბილისის" მეკარე დევაძემ პენალტი ვერ გამოიყენა, თორემ ანგარიში "დინამოსთვის" კიდევ უფრო კატასტროფულ ხასიათს შეიძენდა. მესამე წრის მატჩში აშკარა კრიზისში მყოფმა "დინამომ" საკუთარ მოედანზეც ვერაფერი გააწყო "თბილისთან" - 0:1 დამარცხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სამი მატჩიდან არც ისე დიდი დროა გასული, როგორც "დინამოში", ისე "თბილისში", ბევრი რამ შეიცვალა. "დინამოში" დასრულდა გია გეგუჩაძის ეპოქა და ეს ორიგინალური ხედვის, თავისებური, გუნდისთვის სერიოზული წარმატების მომტანი მწვრთნელი კახაბერ ცხადაძემ შეცვალა. მწვრთნელი გამოიცვალა "თბილისმაც" - ახალგაზრდა და ნიჭიერი გიორგი დევდარიანის პოსტი გამოცდილმა ლუის ცაკარიასმა გადაიბარა. თუმცა, ცვლილებები ამით არ დასრულებულა. "დინამო" დატოვა წამყვან ფეხბურთელთა დიდმა ჯგუფმა. შაშიაშვილი, სალუქვაძე, კანკავა, კვირკველია, ახალაია, ბურდული, გონჩაროვი - ამ გვარების ჩამოთვლა სრულიად საკმარისია, რომ დავინახოთ, რა დიდი ძალა დაკარგა გუნდმა სეზონებს შორის შესვენებაზე. ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც, "თბილისის" დანაკარგიც არანაკლებ შთამბეჭდავი იყო. ამ გუნდს 13 ფეხბურთელი დააკლდა. თანაც, თუ "დინამომ" საქართველოს სხვა კლუბებიდან წამყვანი ფეხბურთელების გადმობირების ხარჯზე მეტნაკლებად დააბალანსა ახალი შემადგენლობა, ცაკარიასს ამის შესაძლებლობა (ფინანსური თვალსაზრისით) არ ჰქონდა და პერუელმა მწვრთნელმა ფარმკლუბიდან იუნიორი ფეხბურთელების გადმოყვანით შეავსო დანაკლისი.

მატჩისწინა კომენტარებში ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი ხაზს უსვამდა ამ თამაშის დიდ მნიშვნელობას. ცხადაძეც და ცაკარიასიც აცხადებდნენ, რომ ამ შეხვედრის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და ორივე იძლეოდა პირობას, რომ მისი გუნდი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებდა. შეიძლება ითქვას, რომ ორივემ აასრულა დანაპირები. გუნდებმა შემტევი ტაქტიკა აირჩიეს, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ამას "დინამო" გაცილებით უკეთ ასრულებდა, ვიდრე "თბილისი". თუმცა, პირველი სახიფათო მომენტი სტუმართა კართან შეიქმნა: მე-4 წუთზე ბურთი მიუვიდა აფციაურს, რომლის დარტყმა ოდნავ ასცდა ზოიძის კარს. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს ეპიზოდი გამონაკლისი იყო და არა კანონზომიერება. მასპინძლებს პირველ ტაიმში "დინამოს" კართან მეტი დაძაბულობა არ შეუქმნიათ. სტუმრები საკუთარი საჯარიმოს მისადგომებამდე იოლად იგერიებდნენ "თბილისის" ფეხბურთელთა მოძალებას და გრიშიკაშვილის კარსაც სერიოზულ ხიფათს უქმნიდნენ. ორჯერ სილაგაძეს და ერთხელ მელქაძეს თავური დარტყმით შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ პირველ ეპიზოდში გრიშიკაშვილმა, დანარჩენ ორში კი ფორტუნამ (დარტყმები მიზანს მცირედით ასცდა) ცაკარიასის გუნდს პირველ ტაიმში კარი მშრალად შეანახინა.

მატჩის და, შეიძლება ითქვას, ჩემპიონატის ბედი ექვსიოდე წუთში გადაწყდა. 55-ედან 61-ე წუთამდე შუალედში "დინამომ" 3 გოლი გაიტანა გრიშიკაშვილის კარში. პირველი ორი სატრანსფერო ქაოსის დროს ქუთაისის "ტორპედოდან" "დინამოში" გადაბარგებულმა ბაბუნაშვილმა გაიტანა ერთიმეორეზე უკეთესი დარტყმებით, ხოლო მესამედ "თბილისის" კარის ბადე "დინამოსა" და ჩემპიონატის მთავარმეგოლემ მელქაძემ შეარხია.

მასპინძლები "მშრალი" ანგარიშით მარცხისგან შეცვლაზე შემოსულმა ბარაბაძემ იხსნა, რომლის დარტყმაც "დინამოს" ვეტერანი მეკარისთვის აულებელი აღმოჩნდა. ეს 69-ე წუთზე მოხდა. "თბილისს" თითქოს მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა. თუმცა, დარჩენილ 20 წუთში თუ ვინმეს შეეძლო გოლის გატანა, ისევ "დინამოს". მელქაძემ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ქარს გაატანა. საბოლოოდ "დინამომ" 3:1 გაიმარჯვა. მართალია, ჩემპიონატის ბოლომდე 6 ტურია დარჩენილი, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, "დინამოსთვის" უკვე შეიძლება ჩემპიონობის მილოცვა. ამ გამარჯვების შემდეგ, რაც ზედიზედ მეხუთეა კახა ცხადაძის მოსვლიდან, "დინამომ" უახლოეს მდევარს - ქუთაისის "ტორპედოს" 9 ქულით გაუსწრო და, რაღაც ფორსმაჟორი უნდა მოხდეს, რომ ცხადაძემ და კომპანიამ უახლოეს სამ ტურში ოფიციალურად ვერ გაიფორმონ ტიტული.

მეორე ადგილისთვის ბრძოლა, რაც უეფას თასის საგზურს იძლევა, უკიდურესად იძაბება. "თბილისმა" უკვე დაკარგა ეს პოზიცია, რადგან ქუთაისის "ტორპედომ" 3:0 დაამარცხა აუტსაიდერი "კოლხეთი" და ცაკარიასის გუნდს 1 ქულით გაუსწრო. მეორე ადგილზე პრეტენზია წამოაყენა "ლოკომოტივმაც" და არცთუ უსაფუძვლო. რკინიგზელებმა გუშინ "ზესტაფონის" ძლევამოსილი სვლა შეაჩერეს. შეგახსენებთ, რომ, ბოლო 13 ტურია, "ზესტაფონი" არ დამარცხებულა - მან 10 თამაში მოიგო და სამი ფრედ დაასრულა. "ლოკომოტივისა" და "ზესტაფონის" გუშინდელ მატჩში ერთადერთი გოლი ლოკომოტიველმა ონიანმა 26-ე წუთზე გაიტანა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით. მახარაძის გუნდის მარცხი იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ "ზესტაფონს" ერთ კვირაში უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის - საქართველოს თასის განმეორებითი ნახევარფინალი თბილისის "თბილისთან". ამ გუნდების პირველი შეხვედრა თბილისში 0:0 დასრულდა და ზესტაფონელებს ფინალში გასვლის მშვენიერი შანსი აქვთ. ეტყობა, ამიტომაც გუშინ მახარაძემ თავისი გუნდის წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა.

30-ე ტური

ლოკომოტივი - ზესტაფონი	**1:0**
სიონი - "დინამო (ბთ)	**2:1**
ტორპედო - კოლხეთი	**3:0**
ვიტ ჯორჯია - დილა	**4:0**
თბილისი - დინამო (თბ)	**1:3**

სატურნირო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. დინამო(თბ)	30	20	4	6	63-25	64
2. ტორპედო	30	15	10	5	47-25	55
3. თბილისი	30	16	6	8	50-35	54
4. ლოკომოტივი	30	13	13	4	36-20	52
5 ზესტაფონი	30	14	4	12	32-41	46
6 ვიტ ჯორჯია	30	12	8	10	49-33	44
7. დინამო (ბთ)	30	8	11	11	32-26	35
8. სიონი	30	9	4	17	28-50	31
9. კოლხეთი	30	7	5	18	25-49	26
10. დილა	30	2	3	25	16-74	9

ფეხბურთი

წითლები და ლურჯები

ჩელსი - ლივერპული

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების მეორე ნახევარფინალი წმინდა ინგლისური გამოდგა. ერთმანეთს შეხვდებიან ლონდონის "ჩელსი" და "ლივერპული". წლევანდელ სეზონში გუნდები უკვე სამჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - ორჯერ ინგლისის ჩემპიონატში და ერთხელ ლიგის თასის ფინალში.

პრემიერლიგის მატჩები უხვგოლიანობით არ გამოირჩეოდნენ. ორივე შეხვედრა ლონდონელებმა მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოიგეს და ორჯერვე "ლივერპულის" კარი შეცვლაზე შემოსულმა ჯო კოულმა დალაშქრა.

ლიგის თასის ფინალი სეზონის ნამდვილი მშვენება გახდა. მატჩის ბედი დამატებით დროში გადაწყდა, როცა დიდიე დროგბამ და მატეა კეჟმანმა ორჯერ აიღეს მეკარე დუდეკის კარი. საბოლოოდ "არისტოკრატებმა" - 3:2 მოიგეს. ეს იყო პირველი ჯილდო, რომელიც ჟოზე მოურინიომ ლონდონში გადასვლის შემდეგ მოიგო. გასულ უქმეებზე კი ლონდონელთა კოლექციას კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო დაემატა. კლუბის მცველი ჯონ ტერი ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვებას "ჩელსი" ალბათ უკვე ამ შაბათს გაიფორმებს ოფიციალურად, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგებას კლუბს ორი ნაბიჯი აშორებს. პირველი ნაბიჯი, რასაკვირველია, "ლივერპულის" დამარცხება იქნება. "ჩელსი", რა თქმა უნდა, ამ ნახევარფინალური წყვილის ფავორიტია და "ლივერპულის" სასარგებლოდ ფსონს, ალბათ,

რობინიო ტრავმის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა.

მხოლოდ გიჟები ჩამოდიან, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი არც ისე ნათელი და გარკვეულია.

მერსისაიდელებზე ფსონს არც "იუვენტუსთან" მისი დაპირისპირების დროს ჩამოდიოდნენ, მაგრამ რაფაელ ბენიტესის გუნდმა შეძლო დაემარცხებინა გამოცდილი მეტოქე. "იუვესთან" იმ მატჩებს ესპანელი სპეციალისტი სიამოვნებით იხსენებს: "იტალიელებთან გამარჯვება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან მან ჩვენს ფეხბურთელებს თავდაჯერებულობა შესძინა. მათ ირწმუნეს, რომ შეუძლიათ მოიგონ მაშინაც კი, როცა მათ სერიოზულად არავინ აღიქვამს", - განაცხადა ბენიტესმა.

იმის გახსენება, რომ წელს ბენიტესმა მოურინიოსთან უკვე სამჯერ წააგო, ესპანელ სპეციალისტს სულაც არ ეხამუშება: "ეს ჩემპიონთა ლიგაა და აქ ყველაფერი სხვაგვარია, ვიდრე პრემიერლიგაში. ჩვენ "ჩელსი" არ გვაშინებს. და, საერთოდ, არავისი გვეშინია. ამ მატჩისთვის ჩვეულებრივ ვემზადებით", - ამბობს ესპანელი.

თუმცა, ჩემპიონთა ლიგისთვის ეს სამზადისი ჩემპიონატში "კრისტალ პალასთან" განცდილმა მარცხმა, ცოტა არ იყოს, გააუფერულა. ახლა მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში, რომელიც გაისად ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა, "ლივერპული" სერიოზულად ჩამორჩება თანაქალაქელ "ევერტონს", რომელიც ოთხ ქულას იგებს და მეტოქეზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს.

რაც შეეხება "ჩელსის", მას გაისად ლიგის საგზური გარანტირებული აქვს. "არისტოკრატთათვის სასიამოვნო სიახლე ის არის, რომ ათკვირიანი ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგა გუნდის ჰოლანდიელი ნახევარმცველი არიენ რობენი. ამრიგად, კლუბის ლაზარეთში დარჩნენ მხოლოდ სკოტ პარკერი, უეინ ბრიჯი და პაულუ ფერეირა. სათადარიგოთა სკამს უბრუნდება მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო, რომელსაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა.

ევროტურნირების ისტორიაში "ჩელსი" ინგლისურ კლუბებს ორჯერ გადაეყარა. პირველად 1970-1971 წლების სეზონში "არისტოკრატებმა" "მანჩესტერ სიტის" ბარიერი დაძლიეს. შარშან კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ლონდონის "არსენალი" ჩამოიშორეს გზიდან.

"არსენალთან" ის მატჩები გულშემატკივარს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს. შეიძლება საინტერესო პარალელის გავლება. "მეთოფეებთან" დაპირისპირების წინ "ჩელსის" ფავორიტად არავინ მიიჩნევდა. "არსენალმა" პრემიერლიგის შეხვედრებში ორჯერ დაამარცხა "არისტოკრატები", გუნდი ქვეყნის ჩემპიონი იყო და ფავორიტადაც ის მიიჩნეოდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მაშინ "ჩელსი" გავიდა.

"არსენალის" მსგავსად მოურინიოს გუნდიც ახლოს არის ინგლისის ჩემპიონის ტიტულთან და ეჭვი არავის ეპარება, რომ "ჩელსი" პრემიერლიგას მოიგებს. "ლივერპულთან" დაპირისპირებაშიც მას მიიჩნევენ ფავორიტად. თანაც, ლონდონელებმა წლევანდელ სეზონში სამჯერ დაამარცხეს "ლივერპული", ისევე როგორც "არსენალმა" - "ჩელსი". ამიტომ დასკვნების გამოტანა უპირობო ფავორიტის თაობაზე ჯერჯერობით ნაადრევია.

მატჩს ფრანგი ალენ სარსი განსჯის.

ცურვა

ბიჭებმა ვენა გადაცურეს

ქართული სპორტიდან ცურვა, ალბათ, იმ სახეობათაგანია, რომელშიც ნებისმიერი შედეგი აღნიშვნის ღირსია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენში ნაკლებადაა განვითარებული. შესაბამისად, ვერც ტრადიციებით დავიკვეხნით და ვერც იმაზე ვიოცნებებთ, რომ დიდ შეჯიბრებებზე რაიმე წარმატებას მივაღწევთ. თუმცა, იმედი გვაქვს, ამ მხრივ ვითარება გაუმჯობესდება, მით უფრო, რომ რაღაც ძვრები უკვე შეინიშნება. გუშინ, გამთენიისას, ავსტრიის საერთაშორისო ტურნირიდან მედლებით დაბრუნდა საქართველოს ნაკრები.

გიგა გურასაშვილი

ცოტა ხნის წინათ უკრაინის ღია ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების მოცურავეთა შედეგებზე ვიუწყებოდით. მაშინ ირაკლი რევიშვილმა 1500 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილი ცურვაში, შესაბამისად, "ოქრო" და "ვერცხლი" დაისაკუთრა, ხოლო ილია მანჯგალაძემ (ბრასი), კირილ სირიაევმა (გულაღმა), ლაშა მეტრეველმა (თავისუფალი სტილი და გულაღმა) ფინალებში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

თითოეულმა, მათ შორის, ივანე ლექვთაძემ და ალექსანდრე მოსეშვილმა რამდენიმე დღის წინათ ვენის საერთაშორისო ტურნირზეც მოსინჯეს ძალა და არც იქ შეურცხვენიათ თავი.

19 ქვეყნის, მათ შორის, ისეთი ძლიერი საწყლოსნო სკოლის წარმომადგენლებთან, როგორებიცაა: გერმანია, იტალია, შვედეთი, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხეთი... და, რა თქმა უნდა, მასპინძლებთან ორთაბრძოლებში საქართველოს ნაკრების წევრებმა მედლები დაისაკუთრეს.

ვენის საერთაშორისო ტურნირი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჩატარდა. ირაკლი რევიშვილმა უკრაინაში მოპოვებული ოქრო-ვერცხლი ავსტრიული "ოქროებითა" და "ბრინჯაოთიც" გაამდიდრა, შესაბამისად, 200 და 400 მეტრზე "თავისუფალში" და 1500 მეტრზე. სამი სახეობის ჯამში რევიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.

1989-90 წლებში დაბადებულებს შორის უმედლოდ არც ილია მანჯგალაძე დარჩენილა. მისი მონაგარი ბრინჯაოს მედლით განისაზღვრა (50 მეტრი, ბრასი).

ივანე ლექვთაძე, რომელიც ღია კატეგორიაში (დიდებში) გამოდიოდა, B ფინალში 50 მეტრზე ბრასში პირველი იყო, ხოლო 200 მეტრზე (ამავე დისციპლინაში) - მესამე. ალექსანდრე მოსეშვილი, კირილ სირიაევი და ლაშა მეტრეველი უმედლოდ დარჩნენ, თუმცა, პირადი შედეგები გააუმჯობესეს.

როგორც მთავარმა მწვრთნელმა ირინა მიჟულინამ გვითხრა, ნაკრებს 1 მაისს ბელორუსის ღია ჩემპიონატზეც ელის გამოცდა, უფრო დიდი გამოცდები კი - ზაფხულში, მოსკოვში, დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებსა და საწყლოსნო სახეობათა XI მსოფლიო ჩემპიონატზე, მონრეალში.

ახალგაზრდულ თამაშებზე ამ შემადგენლობიდან ყველა გამოვა, ილია მანჯგალაძის გარდა (ასაკის გამო), პლუს სოფო თევდორაძე, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე (17-31 ივლისი) წავლენ ირაკლი რევიშვილი, ივანე ლექვთაძე, ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი ზურაბ ხომასურიძე და კიდევ ერთი მოცურავე, რომლის ვინაობაც ჯერ არაა გარკვეული.

ფორმულა 1

პრინცი ამარცხებს მეფეს

გიგა გურასაშვილი

"იმოლაზე" რბოლამ, ალბათ, უკვე ბევრი დაარწმუნა იმაში, რომ "რენოს" ესპანელ მრბოლს ფერნანდო ალონსოს შესწევს უნარი, სამეფო რბოლების მიმდინარე გათამაშების ტრიუმფატორად მოგვევლინოს. თუ ნაკლებად გავლენიანი ექსპერტის, გერმანელი ჰანს იოაჰიმ შტუკის სიტყვებს მოვიშველიებთ, ალონსომ ჩემპიონურად იასპარეზა. მეტიც, ის, ვისაც შეუძლია, რომ 15 წრის განმავლობაში სანიმუშო ბოლიდზე ამხედრებული მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის შეტევას გაუმკლავდეს, უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობისთვის მზად არის.

ესპანელის რბოლით კმაყოფილია ფრანგული საჯინიბოს მთავარი ინჟინერი პეტ სიმონდსიც: "ფანტასტიკურია, უყურო ფერნანდო ალონსოსა და მიხაელ შუმახერის კალიბრის მქონე მრბოლებს, რომლებიც ბოლო მოსახვევამდე გამარჯვებისთვის იბრძოდნენ. მიხაელის სიჩქარე შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ფერნანდო სრულად აკონტროლებდა რბოლას. ეს იყო მომავალი ჩემპიონის გამოსვლა".

ამასობაში "ფერარის" ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი აღნიშნავს, რომ წლეულს ესპანელის დამარცხება ძალზე ძნელი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ მიხაელი ესპანელის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს, გაისად ყველაფერი სხვაგვარად იქნება - სიტუაციას თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებსო.

"იმოლაზე მიხაელმა ყველას შეახსენა, თუ რამდენად ძლიერია. ხანდახან ვეხუმრებით კიდეც, ისეთი მხცოვანისთვის, როგორიც შენ ხარ, ურიგოდ არ გამოიყურებიო. თითოეული მრბოლი, ადრე თუ გვიან, ჰკარგავს კონკურენტუნარიანობას. მიხაელის შემთხვევაში ამაზე ლაპარაკი ნაადრევია".

...გახდება თუ არა ესპანელი მრბოლი ტიტულის მფლობელი, ამაზე ალონსო ამბობს, რომ ჩემპიონობის იმედი აქვს. თუმცა, იმასაც აღიარებს, რომ მოგება მეტად გართულდება, რადგან "ფერარიმ" აშკარად მოუმატა. აქედან გამომდინარე, ალონსო თვლის, რომ "ბარსელონას დიდ პრიზზე" მოგების შანსი დღითიდღე კლებულობს.

როგორც ყოველთვის, გასულ შეჯიბრებას ეხმაურებიან იტალიური და ესპანური საინფორმაციო საშუალებები. პირენეულ და აპენინურ პრესას შორის ის სხვაობაა, რომ ესპანელები თანამემამულის მორიგი წარმატებისგან ეიფორიაში არიან, იტალიელები კი თავს იმით ინუგეშებენ, რომ მიხაელი და "ფერარი" მალე გაიმარჯვებენ. მაშ ასე...

ესპანეთი:

"Radio Marca": "მათ გერმანიაში ჰყავთ პაპი, ჩვენ ესპანეთში - ალონსო. სწორედ ასეთი ძალთა თანაფარდობაა დღეს მსოფლიოში".

"Marca": "ალონსოშოუ! შუმი მას ფეხდაფეხ მიჰყვება. პრინცი ამარცხებს მეფეს. მან ჩემპიონს ისტორიულ რბოლაში მოუგო. ეს საუკუნის გამარჯვებაა".

"As": "მიუხედავად იმისა, რომ შუმახერი წარმატებისკენ დაბრუნდა, მთავარი მაინც ალონსო რჩება. მაგრამ მას, როგორც იქნა, მეტოქე გამოუჩნდა".

"El Mundo": "ალონსო იმარჯვებს საუკეთესო შუმახერის წინააღმდეგ. ეს ბევრ რამეზე მიუთითებს".

"El Pais": "ალონსო ფორმულა 1-ის ერთ-ერთ საუკეთესო რბოლაში ამარცხებს შუმის. ალონსო გაუმკლავდა შუმახერის გიჟურ წნეხს".

იტალია:

"Cazzetta dello Sport": "შუმახერი იმედს გვისახავს. "ფერარის" ვარსკვლავი სანახაობრივ რბოლაში მეორე ადგილს იკავებს. ყველაფრის თავიდან დაწყების შანსი გაჩნდა. თუმცა, იმისთვის, რომ დაეწიოს, დიდი გზაა გასავლელი".

"Corriere dello Sport": "ალონსო დაწინაურებულია. მისი ყველაზე საშიში მეტოქე გერმანელია".

"Tuttosport": "შუმის რევანში. ახალი F2005 საკუთარ ძალაში გვარწმუნებს. შემდეგში ჩვენ ვიქნებით პირველები".



ინფოთეკა

ინგლისს არ ეყოლება ხუთი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში

წლეულს "ლივერპულმა" ევროპის თასი რომ მოიგოს კიდეც, მომავალ სეზონზე ინგლისი ვერ მიიღებს ხუთი გუნდის გაყვანის უფლებას ჩემპიონთა ლიგაში. ეს ეხება არ მხოლოდ ინგლისს, არამედ დანარჩენ ქვეყნებსაც.

"არც ერთ ქვეყანას არ ექნება ჩემპიონთა ლიგაში ოთხზე მეტი გუნდის გამოყვანის უფლება", - განაცხადა უეფას ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ამ შემთხვევაში ცუდ დღეში აღმოჩნდა "ევერტონი", რომელსაც მოცემულ მომენტში ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი უკავია. თუ "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის მოგებას შეძლებს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას არჩევანის გაკეთება მოუწევს - ჩემპიონთა ლიგის ჩემპიონსა და პრემიერ-ლიგის მეოთხე ადგილის მფლობელ გუნდს შორის.

ხუთი წლის წინათ მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ესპანეთი: "რეალმა" ჩემპიონთა თასი მოიგო, თუმცა, ამავე დროს, ქვეყნის ჩემპიონატში მეხუთე ადგილი ეკავა. ამის გამო მეოთხე ადგილის მფლობელი "სარაგოსა" ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩა.

"სამსუნგი" "ჩელსის" სპონსორი გახდა

ლონდონის "ჩელსის" ტექნიკური დირექტორის პიტერ კენიონის განცხადებით, კლუბმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა კომპანია "სამსუნგთან" - ამ კომპანიის სახელი წაეწერება გუნდის ფეხბურთელთა მაისურებს.

ბოლო დროს "არისტოკრატები" ახალ სპონსორს ეძებდნენ, რადგან ავიაკომპანია Emirates Airlines-თან კონტრაქტის ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურება. ეს ავიაკომპანია მომავალი სეზონიდან ასევე ლონდონის კლუბის, ამჯერად კი "არსენალის" სპონსორი გახდება. აღსანიშნავია, რომ "მეთოფეთა" მშენებარე სტადიონს Emirates Stadium ერქმევა.

ანჩელოტის კრესპო და ჯილარდინო სჭირდება

"მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღიარა, რომ მომავალ სეზონზე ფორვარდების ერნან კრესპოსა (იგი ამჟამად კლუბში იჯარის წესით თამაშობს) და ალბერტო ჯილარდინოს ("პარმა") შეძენა უნდა.

"ორივე მჭირდება. თუმცა, ამ საკითხის მოგვარება ჩემზე კი არა, კლუბის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ჯილარდინო ჯერ კიდევ ბავშვია, მაგრამ უკვე დაამტკიცა, რომ მალე კარგი ფეხბურთელი გახდება. კრესპომ შეძლო "მილანის" გაძლიერება. ბუნებრივია, მინდა მისი გუნდში დატოვება", - განაცხადა ანჩელოტიმ.

დელ ბოსკე ზაფხულში "დეპორტივოს" ჩაუდგება სათავეში

მიმდინარე სეზონის ბოლოს მადრიდის "რეალის" ყოფილი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე "დეპორტივოს" თავკაცს ხავიერ ირურეტას შეცვლის.

Tribalfootball-ის ცნობით, ესპანური კლუბის მთავარი მწვრთნელის კონტრაქტს სწორედ ამ ზაფხულს გასდის ვადა. მრავალმა წარუმატებელმა მატჩმა, რომელთა შორის ყველაზე მტკივნეული გასულ კვირას "რასინგთან" მარცხი (1:4) იყო, "დეპორტივოს" ხელმძღვანელობა იმაში დაარწმუნა, რომ სასწრაფოდ მწვრთნელი უნდა შეეცვალა. ეს თუ უშველიდა საქმეს.

მიუხედავად იმისა, რომ დელ ბოსკეს მოელაპარაკა, "დეპორტივოს" პრეზიდენტი ავგუსტო სეზარ ლენდოირო პარალელურად მოლაპარაკებას აწარმოებს "ატლეტიკოს" მთავარ მწვრთნელ ერნესტო ვალვერდესთან, რომელსაც ზაფხულში გასდის კლუბთან შეთანხმების ვადა.

"ნიცამ" მწვრთნელი შეცვალა

ფრანგული კლუბის "ნიცას" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის გერნოტ პოპას გათავისუფლების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. მისი ადგილი დაიკავა გუნდის ყოფილმა ფეხბურთელმა ჟერარ ბუშერმა. ბოლო 16 ტურში "ნიცამ" მხოლოდ ორჯერ შეძლო გამარჯვების მოპოვება, ამიტომ ახლა მას ქვეყნის ჩემპიონატში მე-17 ადგილი უკავია.

"გუნდის ყველა ფეხბურთელს კარგად ვიცნობ. შევეცდები, "ნიცა" სიტუაციიდან გამოვიყვანო", - განაცხადა ბუშერმა.

რაგბი

ევროპაში ფრანგებმა იმძლავრეს

პაატა თოთაძე

ქართულ რაგბიში დროებითი უძრაობაა - არც თასი, არც სხვა რამ ტურნირი. ამიტომ ყურადღება უცხოეთისკენ გვაქვს მიპყრობილი.

თუმცა, ვიდრე უცხოეთის ამბების თხრობას დავიწყებდეთ, მანამდე ორიოდე სიტყვით ქართულ რაგბის შევეხოთ. წესით, ახლა საქართველოს თასის გათამაშებაზე უნდა გვეწერა, მაგრამ მიზეზთა გამო ტურნირის ჩატარება აქამდე ვერ მოხერხდა. თუმცა, გადაწყვეტილია, რომ შეჯიბრება აღდგომის შემდეგ დაიწყება. მონაწილეობას მიიღებს ათი გუნდი: თბილისის "ლოკომოტივი", "ყოჩები", "არმაზი", "ლელო", "ხულიგანა," "აკადემია", "დინამო" "უნივერსიტეტი", აგრეთვე ქუთაისისა და თელავის გუნდები. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ შესაძლებელი იყო, ტურნირს პირობითად დარქმეოდა ქვეყნის თასი. მასში გამოსვლის შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ თბილისის გუნდებს, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყდა ქუთაისისა და თელავის გუნდების მონაწილეობა.

ახლა კი უცხოეთში გადავინაცვლოთ. ჩვენთვის საინტერესოა ქართველ მორაგბეთა კლუბების მდგომარეობა. გია ლაბაძის "ტულონი" ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე მეორე დივიზიონის ლიდერია და უმაღლესში გადასვლის ჩინებული შანსი აქვს. დარჩენილი მატჩებიდან გუნდი ორს შინ მართავს, ერთს კი - სტუმრად მეათე ადგილზე მყოფ გუნდთან. ამასთან, უახლოეს მდევართან, "მონტობანთან" ხუთქულიანი უპირატესობა აქვს. კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე დავით ხინჩაგიშვილთანაა დაკავშირებული. ქართველი პირველხაზელი წლეულს "ბეზიეს" ღირსებას იცავდა ტარიელ რატიანიძესთან ერთად, მაგრამ კლუბი ელიტიდან გავარდნისგან ვერაფრით იხსნა. ქართველებიც ახალი კლუბების ძებნას შეუდგნენ. რატიანიძესთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა, ხინჩაგიშვილმა კი ჩემპიონატის ლიდერ "ბურგუენთან" გააფორმა კონტრაქტი. ასე რომ, საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის მაისურას მომავალი წლიდან უკვე ორი ქართველი ჩაიცვამს. ხინჩაგიშვილამდე "ბურგუენში" ირაკლი გიორგაძე გადავიდა.

ევროპული საკლუბო რაგბის უმთავრეს ჯილდოს, "ჰაინეკენის"

თასს ფრანგული გუნდები შეეცილებიან ერთმანეთს. იგივე მდგომარეობა იყო ორი წლის წინათაც, ოღონდ მაშინ ფინალში "ტულუზს" "პერპინიანი" დაუპირისპირდა, ახლა კი "პერპინიანი" "სტად ფრანსემ" შეცვალა. ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი ფრანგული იყო და ერთი ინგლისური.

პირველი წყვილი "სტად ფრანსემ" და "ბიარიცმა" შეადგინეს. "ბიარიცი" უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა, მატჩი წააგო. მიზეზი ორია: გუნდმა მეორე ტაიმის ნახევარი კაცნაკლულმა ითამაშა (ორი მორაგბის გაძევების გამო), ხოლო მსაჯმა "სტად ფრანსეს" წესის დარღვევით გატანილი ლელო ჩაუთვალა. პირველი ნახევარი "ბიარიცის" უპირატესობით დამთავრდა - 9:6. ცხრავე ქულა დიმიტრი იაშვილის ანგარიშზეა. შესვენების შემდეგ ბასკთა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. ჯერ იაშვილმა გაიტანა საჯარიმო, მერე კი ბრუსკიმ - ლელო.

ყველაფერი მეორე ტაიმის დასკვნით 15 წუთში გაირკვა. გადამწყვეტი გამოდგა კრისტოფ დომინისის მიერ წამატებულ დროში გატანილი ლელო. სტუმრებმა აქამდე ოთხჯერ მოახერხეს მეტოქის შეჩერება ზედ ხაზთან, მაგრამ მეხუთე მცდელობისას დომინისიმ მაინც მიაღწია საწადელს - 20:17.

მეორე ნახევარფინალში "ტულუზმა" "ლესტერი" დაამარცხა. ამით ევროპული კარიერა მარცხით დაასრულეს ლეგენდარულმა მარტინ ჯონსონმა და ნილ ბექმა. ინგლისელებმა თამაში ძალაზე ააწყვეს. ამით კი ჯობნიდნენ მეტოქეს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ხერხი ჯობია ღონესო... ფრანგებმა მეტოქე სამჯერ დაალელოვეს კონტრშეტევებზე და გამარჯვებულის ბედიც გადაწყვიტეს - 27:19.

ვარსკვლავი

ოლივერ კანი („ბაიერნი", გერმანია)

ლაშა გოდუაძე

ჩანს, მიუნხენის "ბაიერნი" კიდევ ერთხელ გახდება გერმანიის ჩემპიონი. ჩვენდა სამწუხაროდ, ლევან კობიაშვილის "შალკე-04"-მა ბოლო ტურებში ქულები დაკარგა და მიუნხენელებს ჩემპიონობის შესანიშნავი შანსი უბოძა.

კლუბის მსგავსად, პირველობაში გაიმარჯვებს ოლივერ კანიც, რომელიც ათ წელიწადზე მეტია, უცვლელად იცავს "ბაიერნის" კარს. ასაკის მიუხედავად, კანი არა მარტო კლუბის, ქვეყნის პირველი გუნდის საუკეთესო მეკარედ რჩება.

ჩვენი ახალი რუბრიკის - "ვარსკვლავი" - რიგით მეორე სტუმარი სწორედ ოლივერ კანია.

ციტატები

საფეხბურთო კალენდარზე:

...ხშირ შემთხვევაში საფეხბურთო კალენდარი ისეა გადატვირთული, რომ ზოგჯერ ფეხბურთის არათუ თამაში, გაგონებაც არ მსურს! როცა ისეთ კლუბში თამაშობ, როგორიც "ბაიერნია", მოსვენების საშუალება არ გაქვს - სეზონის დასაწყისში კვირაში, სულ ცოტა, ორჯერ თამაშობ. პირადად მე ბუნდესლიგაში, თასზე, ჩემპიონთა ლიგაში და ნაკრებში მიწევს ასპარეზობა. მოდი და ამის მერე ნუ გაგიკვირდება, რომ ხანდახან ფეხბურთი ძალიან მბეზრდება.

მწვრთნელებზე:

...ცნობილია, რომ აღარ უსმენენ მას, ვინც ძალიან ბევრს ლაპარაკობს. ოტმარ ჰიცფელდმა ეს შესანიშნავად იცოდა და ორი სიტყვით, მაგრამ გასაგებად საუბრობდა. იგივე შემიძლია ვთქვა ფელიქს მაგათის შესახებაც. ბევრი ლაპარაკი არც მას უყვარს. მგონი, ძალიან კარგია, როცა ადამიანს შეუძლია, სათქმელი ორისამი წინადადებით გადმოსცეს.

შტეფან ეფენბერგის წასვლაზე:

...ის ჩვენი კლუბის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ძლიერი ფეხბურთელი გახლდათ და მის აზარგებაზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - ჩვენგან ძალიან მაგარი კაცი წავიდა!

იენს ლემანთან კონკურენციაზე:

...მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, მოწყენილობისგან მოვკვდებოდი. იენსი ძალიან ძლიერი მეკარეა, მაგრამ პირველობისთვის ვერასდროს იქნება მზად. მისი უბედურება ისაა, რომ მე ვარსებობ!

მადრიდის "რეალზე":

...იცით, ძალიან დავიღალე მათთან თამაშით. ჩემპიონთა ლიგაში, თუ არ ვცდები, რვაჯერ შევხვდით მათ და ყოველ მატჩში ერთი და იგივეს ვგრძნობ - ძალიან დაძაბული ვარ. ყველას დიდ ბოდიშს ვუხდი, მაგრამ მომბეზრდა "რეალთან" თამაში. მირჩევნია, სხვა კლუბს დავუპირისპირდე.

რობერტო კარლოსის შესახებ:

...მადრიდელებთან მორიგ მატჩში ისეთი გოლი გავუშვი მისგან, რომ კინაღამ გული გამისკდა. მეგონა, ბურთი ხელში მეჭირა, მაგრამ ვერ შევიმაგრე და ფეხებშუა გამიძვრა. საშინელება იყო! მსგავსი რამ ცხოვრებაში არ დამმართნია. ისე, რობერტო კარლოსი ერთ-ერთი ძლიერი ფეხბურთელია, თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვი მასზე, როგორც მცველზე.

ღამის კლუბში დათრობაზე:

...როცა თამაში მხოლოდ ცხრა დღის შემდეგ გიწევს, თავს მოდუნების უფლებაც უნდა მისცე. შესაძლოა, იმ ღამით კარგად ვერ მოვიქეცი, მაგრამ მაპატიეთ - მეც ადამიანი ვარ და, ცხადია, უნაკლო არ გახლავართ. რაც შეეხება იმას, რომ სამაგალითო ვარ, მგონი, ეს იარლიყი ჟურნალისტების მოგონილია. ყველამ თავისი ცხოვრებით უნდა იცხოვროს. ვინმეს სამაგალითოდ მიჩნევა, ალბათ, უსიტყვო კაპიტულაციაა საკუთარ თავთან. სხვისი ცხოვრებით ადამიანი ვერასდროს ვერ იქნება ბედნიერი, ასე რომ, სამაგალითოდ ნურავინ მიმიჩნევს.

ვარჯიშზე "ფერარით" მისვლაზე:

...არ ღირდა ამის გამო სკანდალის ატეხვა. მართალია, ფეხბურთელები ბაზაზე იმ მანქანებით უნდა მივიდნენ, რომელსაც კლუბი იძლევა, მაგრამ გამონაკლისებიც ხომ ხდება. იმ დღეს ჩემს მეგობარ გოგონას მანქანა დასჭირდა და გავატანე "მერსედესი". აბა, "ფერარი" უნდა მიმეცა? ასე რომ მოვქცეულიყავი, გული გამისკდებოდა - ჩემი "ფერარი" ძალიან მიყვარს და მას ვერავის ვანდობ! გესმით, ვერავის!

აგრესიულობაზე:

...არ ვარ ასეთი, მაგრამ ხანდახან ნერვებს ვერ ვთოკავ. ამიხსენით, როგორ უნდა მოვიქცე, როცა ბურთს ვიგერიებ და თავდამსხმელი გაშლილი ფეხით მოდის? ასეთ საქციელს არავის ვპატიობ და ამის გამო უსიამოვნებაც ხშირად შემხვედრია, თუმცა, ეს სულაც არ არის საკვირველი. მახსოვს, ერთხელ დორტმუნდის "ბორუსიას" ფორვარდი იორის ვან უდტი კინაღამ დავახრჩე - კარიდან გამოსულს, გაშლილი ფეხი მტკივან მუხლში ჩამაზილა!

შეცდომებზე:

...ის, რაც შემთხვევით დაგემართა, სავარაუდოდ, მეორედ არ მოგივა, მაგრამ თუ რაიმე მეორედ შეგემთხვა, ალბათ, მესამედაც მოხდება. საერთოდ, შეცდომები იშვიათად მომდის, რადგან მოედანზე მაქსიმალურად კონცენტრირებული ვარ. კარგად ვიცი, რომ უშეცდომო არავინაა.

ცხოვრებისეულ კრედოზე:

...ერთი რამ ვიცი ძალიან კარგად: მხოლოდ იმ შემთხვევაში გავხდები საუკეთესო, თუ ყველაზე მეტს ვივარჯიშებ!

ჰობის შესახებ:

...ფეხბურთის გარდა, მხოლოდ ორი რამ მიყვარს უზომოდ - გოლფის თამაში და კითხვა. ორივე შემთხვევაში საუკეთესოდ ვისვენებ. ჩემთვის კითხვა და გოლფი განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა!

მომავალზე:

...არა მარტო 2006 წლის, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშიც მინდა! დინო ძოფმა მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი ორმოცი წლისამ მოიგო. ვერ ვხვდები, რით ვარ მასზე ნაკლები?!

ოჯახის შესახებ:

...თუ ორ ადამიანს სიყვარული არ აკავშირებს, მათ ერთად ყოფნას აზრი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. როცა მე და სიმონეს ერთმანეთი გვიყვარდა, ბედნიერი ვიყავი და მჯერა, ისიც ამავეს გრძნობდა, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება და ჩვენი ურთიერთობაც გაცივდა. ამიტომ დავშორდი. რაც შეეხება შვილებს, ვერავინ მეტყვის, რომ მეუღლესთან განშორების შემდეგ მათზე ნაკლებად ვზრუნავ! კატარინა-მარია და დავიდი ჩემი ცხოვრების ანგელოზები არიან!

მსოფლიო ჩემპიონობაზე:

...ჩემი უმთავრესი მიზანი სწორედ ესაა - გაისად აუცილებლად უნდა გავხდეთ ჩემპიონები! გერმანიაში გამარჯვების გარდა, არაფერი მაინტერესებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ შეგვიძლია ტურნირის მოგება!

იცოდით?

...2002-2003 წლების სეზონში ოლივერ კანმა ბუნდესლიგის რეკორდი დაამყარა - 737 წუთის განმავლობაში არ გაუშვა გოლი. მომდევნო სეზონში მას "შტუტგარტის" მეკარე ტიმო ჰილდებრანდმა აჯობა.

...ოლივერ კანი ერთადერთი მეკარეა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, რომელიც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეს 2002 წელს მოხდა კორეა-იაპონიაში. კანის გერმანია ფინალში ბრაზილიასთან 0:2 დამარცხდა. იმ ტურნირზე ოლივერმა შვიდ თამაშში მხოლოდ სამი გოლი გაუშვა!

...1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ამერიკაში, კანი ნაკრების მესამე მეკარედ გაემგზავრა, თუმცა, ბუნდესნაკრებში პირველად მხოლოდ 1995 წლის ივნისში ითამაშა შვეიცარიის წინააღმდეგ. იმ ზაფხულს შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია საუკუნოვან იუბილეს ზეიმობდა და გერმანელებთან ერთად იტალიელებიც მიიპატიჟა. სამთა ტურნირი ოლივერ კანის გერმანიამ მოიგო.

...ექვსი წლისა იყო ოლივერი, როცა "კარლსრუეს" ბავშვთა სკოლაში ვარჯიში დაიწყო. საინტერესოა, რომ "კარლსრუეს" და "ბაიერნის" გარდა, მას არც ერთ სხვა კლუბში არ უთამაშია.

...18 წლისა, 1987 წელს, კანი "კარლსრუეს" პირველი გუნდის მეკარე ხდება, 1994 წელს კი "ბაიერნთან" გააფორმა კონტრაქტი. მიუნხენურ კლუბთან დადებული ხელშეკრულება გაისად, 1 ივლისს ეწურება.

ტიტულები

გერმანიის ჩემპიონი - 1997, 1999, 2000, 2001, 2003, ბუნდესლიგის ვერცხლის პრიზიორი - 1996, 1998, 2004, ბუნდესლიგის ბრინჯაოს პრიზიორი - 2002, გერმანიის თასი - 1998, 2000, 2003, გერმანიის ლიგის თასი - 1997, 1998, 1999, 2000, ჩემპიონთა თასი - 2001, უეფას თასი - 1996, საკონტინენტთაშორისო თასი - 2001, ევროპის ჩემპიონი - 1996, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი - 2002, გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი - 2000, 2001, გერმანიის საუკეთესო მეკარე - 1994, 1997, 1999, 2000, 2001, 2002, ევროპის საუკეთესო მეკარე - 1999, 2000, 2001, 2002, მსოფლიოს მეორე საუკეთესო ფეხბურთელი - 2002, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე - 1999, 2001, 2002, მსოფლიოს მეორე საუკეთესო მეკარე - 2000, მსოფლიოს მესამე საუკეთესო მეკარე - 2003, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი - 2002, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე - 2002.

ინფოთეკა

მონტელა ევროპის ბომბარდირთა სიაში

მართალია, მიმდინარე სეზონზე "რომა" არც მაინცდამაინც კარგად ასპარეზობს, მაგრამ მისი თავდამსხმელი ვინჩენცო მონტელა კვირას "სამპდორიასთან" (2:1) მატჩში შესრულებული პენალტის შემდეგ ევროპის ბომბარდირთა სამეულში შევიდა.

"ლივერპულმა" შეიძლება, ახალგაზრდა არგენტინელი შეიძინოს

უახლოეს ხანებში "ლივერპულში" ახალგაზრდა ნიჭიერ არგენტინელ თავდასხმელს ხუან ანტონიოს ჩამოიყვანენ. მეორე არგენტინული დივიზიონის 17 წლის თავდამსხმელი "ლივერპულის" სელექციონერმა პაკო ერერამ შეამჩნია და მის აგენტს დაუკავშირდა. ხუან ანტონიოს წარმომადგენლის განცხადებით, თუ ფეხბურთელი კლუბში მოწონებას დაიმსახურებს, მასთან კონტრაქტს უახლოეს მომავალში გააფორმებენ.

"რაფაელ ბენიტესს ხუან ანტონიოს თამაშის რამდენიმე ვიდეოჩანაწერი გავუგზავნე. მწვრთნელმა მაშინვე მიგვიპატიჟა ლივერპულში. ჯერჯერობით სატრანსფერო თანხაზე ვერაფერს გეტყვით. დასაწყისში ფეხბურთელმა უნდა აჩვენოს თავისი შესაძლებლობები. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ", - განაცხადა აგენტმა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 27 აპრილი

НТВ+ФУТБОЛ

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მილანი" - პსვ. პირველი მატჩი
14:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:10 "საფეხბურთო კლუბი"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
17:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:35 თავისუფალი დარტყმა
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "პარმა"
20:40 შოტლანდიის ჩემპიონატი. "გლაზგო რეინჯერსი" - "სელტიკი"
22:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ჩელსი" - "ლივერპული". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

НТВ+ПЛЮС

10:00, 13:00, 16:00, 19:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 12:45 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 105კგ. +105კგ. ფინალები
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:15 "ბილიარდის მეუფენი"
14:45 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი ევროპულ ცეკვებში და რუსეთის დიდი პრიზი ევროპული პროგრამით
16:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრე. იტალია - რუსეთი. გადამწყვეტი მატჩი
17:45 კალათბურთი. ფიბა ევროლიგა. ქალები. "ოთხთა ფინალი". ფინალური მატჩი
19:30 როდეო. "Bull Riders"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრის მატჩების მიმოხილვა
22:30 "სპორტი აკვატორია"
23:00 სინქრონული ცურვა. ევროპის თასი. კომბინირებული პროგრამა. ფინალი
00:15 ახალი ამბები
00:30 "სპორტის აკვატორია"
01:00 01:00-დან 04:10-მდე შესვენება
04:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. "სპორტინგ კრისტალი" (პერუ) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
21:00 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი აშშ-ში
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 მულტისპორტი - იტალია-2006
01:30 გოლფი. US PGA. სპეციალური მიმოხილვა
02:30 გოლფი. ევროპული ტური. მიმოხილვა
03:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:15 ახალი ამბები

ამერიკული ავტოკომპანიები ევროპაში ექსპანსიას იწყებენ

მერაბ ლორთქიფანიძე

სედან BLS-ით კადილაკი მსოფლიოს ბაზარზე გასვლას იწყებს

წლების განმავლობაში, ამერიკული საავტომობილო კომპანიები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ სხვა, განსაკუთრებით კი ევროპულ ბაზარს და ფონს მსოფლიოში უდიდეს, აშშ-ის ბაზარზე რეალიზებული ავტომობილების ხარჯზე გადიოდნენ. ასე იყო მანამ, სანამ ამერიკელებს ამერიკაშივე შეავიწროებდნენ იაპონელები, რომლებიც თანდათან იკავებენ ლიდერის პოზიციებს მთელ მსოფლიოში.

დროთა განმავლობაში, შინაურ ბაზარზე წილის კლების პარალელურად, ამერიკული "დიდი სამეულის" წევრებმა (ჯენერალ მოტორსი, ფორდი, კრაისლერი) სხვა ბაზრებსაც მიაქციეს ყურადღება, თუმცა აქამდე საქმისადმი მათს დამოკიდებულებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. მსოფლიოში სიდიდით მეორე, ევროპულ ბაზარზე, მეტ-ნაკლები აქტიურობით "ჯენერალ მოტორსი" და "ფორდი" გამოირჩევიან. თუმცა, ამას მეტწილად თავიანთი ევროპული შტოების ხარჯზე ახერხებენ, საკუთრივ ამერიკაში წარმოებული ავტომობილების ძველ კონტინენტზე გაყიდვა კი კვლავაც უჭირთ.

ამერიკელები საქმეს ვერც მაშინ შველოდნენ, როცა ხანდახან მაინც მიაპყრობდნენ თავიანთ ყურადღებას ევროპის ბაზარს. თუმცა, ამგვარი ქმედებები მეტწილად კამპანიურ ხასიათს ატარებდა და რეალურად სიტუაციის შეცვლა არ შეეძლო. გავიდოდა ცოტა ხანი და "დიდი სამეულის" მონდომებაც და ენთუზიაზმიც ამოიწურებოდა, რასაც აქტიურობის განელება მოსდევდა.

ამერიკელთა გააქტიურების მორიგ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ჟენევის წლევანდელი ავტოსალონი, რომელზეც "ფორდის", "ოპელისა" და "სააბის" (ბოლო ორი ჯენერალ მოტორსს ეკუთვნის) გარდა წარმოდგენილი იყო "შევროლე-დეუს", "დოჯისა" და "კადილაკის" ავტომობილები, რომლებითაც ეს კომპანიები ახლო მომავალში ევროპაში ექსპანსიის დაწყებას აპირებენ.

რა თქმა უნდა, ამერიკელებს მოუწევთ თავიანთი ავტომობილების ევროპული ბაზრის თავისებურებათა გათვალისწინებით დამზადება. პირველ რიგში, მათ უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში გაყიდული ავტომობილების 90 პროცენტი გადაცემათა მექანიკური კოლოფებითაა აღჭურვილი. ეს კი ნიშნავს, რომ ამ ბაზრებზე ამერიკელებს ავტომატურ კოლოფებზე უარის თქმა მოუწევთ. სწორედ ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს "ჰამერის" ახალი, საშუალოგაბარიტიანი უგზოობის ავტომობილი H3, რომელიც ამ კლასის პირველი ამერიკული ავტომობილია გადაცემათა მექანიკური კოლოფით რომ აღიჭურვება.

"დაიმლერკრაისლერის" პროდუქციიდან ევროპელებისთვის ყველაზე უცხო "დოჯის" მარკით წარმოებული ავტომობილებია. ძველ კონტინეტზე ყველაზე უკეთ სპორტულ კუპე "დოჯ ვაიპერს" იცნობენ და ისიც, მეტწილად ლე მანის 24-საათიან რბოლებში მონაწილეობის წყალობით. თუმცა, გერმანულ-ამერიკული კორპორაციის ამერიკული შტოს შეფ დიტერ ცეტშეს თქმით, ამ მარკით წარმოებულ ავტომობილებს სპორტული იმიჯის წყალობით, ევროპაში კარგი მომავალი აქვს.

ცეტშე იმედოვნებს, რომ მალე "კრაისლერი" (დოჯთან და ჯიპთან ერთად) ევროპის ბაზრის 1.4 პროცენტს აითვისებს, რაც შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტია. ამ მიზნის მიღწევაში მთავარი "იარაღი" კი იქნება სრულიად ახალი ავტომობილი "დოჯ კალიბერი", რომელიც სწორედ ევროპული ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნა.

ზემოთ ნახსენებ სხვა მარკებსაც ანალოგიური მიზნები აქვთ და სამოქმედო გეგმებითაც არ განსხვავდებიან "დოჯისგან". მაგალითად, "შევროლე" მასთან ახლახან შეწყვილებული კორეული კომპანია "დეუს" სამოდელო რიგის გამოყენებას და მისი საშუალებით, ევროპაში დამკვიდრებას იწყებს, "კადილაკმა" კი სპეციალურად ევროპული ბაზრისთვის მოამზადა სრულიად ახალი, მის სამოდელო გამაში ყველაზე მცირეგაბარიტიანი ავტომობილი.

კომპაქტურ "დეუ მატისის" მეშვეობით, "შევროლე" ევროპის ბაზრის ერთპროცენტიანი (წლიურად 200 ათასი ავტომობილი) ლუკმის მოკბეჩას აპირებს, "კადილაკის" ხელმძღვანელობა კი იმითაც კმაყოფილი დარჩება, თუ 2006 წელს 10 ათასი ავტომობილის გაყიდვას შეძლებს.

სკეპტიკოსები აცხადებენ, რომ "კადილაკს" ძლიერ გაუჭირდება ევროპაში დამკვიდრება, სადაც მეტწილად გერმანული კომპანიები დომინირებენ. მაგალითისთვის "ლექსუსის" მოყვანაც კმარა, რომელიც თუ აშშ-ში ყველაზე პოპულარულია ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელ კომპანიებს შორის, ევროპაში ძლიერ უჭირს ავტორიტეტის მოხვეჭა.

თუ "დოჯი" და "ჰამერი" ევროპაში გასაყიდ ავტომობილებს აშშ-დან შეიტანენ, "ჯენერალ მოტორსის" მარკები ძველ კონტინენტზევე აპირებენ წარმოებას. თუ დოლარის არამდგრადობას გავითვალისწინებთ, დღეს პირველი უფრო მომგებიანი ვარიანტია, თუმცა ვინ იცის, როგორ შეიცვლება სიტუაცია ახლო მომავალში.

"ბეიბი კადილაკი" ევროპელობას აპირებს

შარშან "კადილაკმა" აშშ-ის გარეთ სულ რაღაც 2000-მდე ავტომობილის გაყიდვა შეძლო. ეს სასაცილოდ მცირე რაოდენობაა, თუმცა იმაზე უფრო მიგვითითებს, რომ ამ მარკის მესვეურნი აქამდე თითქმის არ ფიქრობდნენ უცხოურ ბაზრებზე და აქცენტი შიდა ბაზარზე ჰქონდათ გადატანილი.

"კადილაკის" გენერალური მენეჯერი ჯიმ ტეილორი მაინც ინარჩუნებს ოპტიმიზმს და აცხადებს, რომ 2006 წლის ბოლოსთვის ამ მარკით ჩრდილოეთ ამერიკის გარეთ 10 ათას ავტომობილზე მეტი გაიყიდება, 2007 წლიდან მოყოლებული კი, გაყიდული ავტომობილების რაოდენობა ყოველწლიურად გაორმაგდება.

აქამდე "კადილაკმა" რამდენჯერმე სცადა ევროპისა და იაპონიის ბაზრებზე თავისი ნიშის მოპოვება, მაგრამ გასული საუკუნის 60-იან წლებში განცდილი კრახის შემდეგ, რაც მეტისმეტად დიდგაბარიტიანი ავტომობილების გამო იწვნია, შელახული რეპუტაციის აღდგენა ვერაფრით მოხერხდა. საქმეს ვერც ლე მანის რბოლებში მონაწილეობამ უშველა, საქმეში ჩადებული ასეულობით მილიონი დოლარი კი წყალში ჩაიყარა.

შექმნილ ვითარებაში "კადილაკის" გასაღების ერთადერთ არედ აშშ-ის ბაზარი რჩება, სადაც შარშან ამ მარკით 242 089 ავტომობილის რეალიზება მოხერხდა. ეს იმ დროს, როცა ევროპაში სულ 1167 "კადილაკს" გამოუჩნდა მყიდველი. ამ დროს, კომპანიის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩინეთი, რომელიც მთლიანობაშიც და ავტობიზნესის მხრივაც, უზარმაზარი ტემპებით ვითარდება და მსოფლიოს წამყვანი კომპანიების ყურადღებას იქცევს.

შარშან იქ "კადილაკმა" 11 ახალი სადილერო პუნქტი გახსნა, რომელთა პავილიონებშიც თავისი სამი მოდელი - სედანი CTS, სპორტული XLR და უგზოობის SRX განათავსა. შედეგი შესანიშნავი იყო: 11-მა დილერმა გაყიდვები ოქტომბერში დაიწყო, წლის ბოლოს კი უკვე 800 ავტომობილის რეალიზება მოხერხდა.

ამ წარმატების ლოგიკური გაგრძელება ავტომობილების ადგილზევე წარმოებაა და "კადილაკი" ასეც იქცევა - ჩინეთში მალე შეუდგება ავტომობილების ეგრეთ წოდებულ სახრახნისისმიერ წარმოებას - კომპანია იქ შეიტანს ასაწყობად დამზადებულ, სრულად დაკომპლექტებულ ავტომობილებს, რომელთა აწყობა ადგილზე მოხდება და ეს, ფაქტობრივად, ჩინური წარმოების "კადილაკები" იქნება. თუ საქმიანობა წარმატებული გამოდგება, მაშინ სერიოზული წარმოების წამოწყებას წინ არაფერი დაუდგება.

რაც შეეხება ევროპულ ბაზარს, აქ "კადილაკს" 115 დილერი ჰყავს, მაგრამ გაყიდვები მიზერულ დონეზე რჩება. თუმცა, ამიერიდან აქცენტი დილერთა რაოდენობიდან, მათს პრესტიჟულ იმიჯზე გადადის. კერძოდ, "კადილაკმა" კონტრაქტი გააფორმა ლუქსის კლასის ავტომობილების ჰოლანდიელ დისტრიბუტორ კორპორაცია "კროიმანსთან", რომელიც ამიერიდან ითავებს "კადილაკის" ავტომობილების რეალიზაციის საქმეს.

შედარებით მოკრძალებული გეგმებია იაპონიაში. "კადილაკი" წელს იქ სულ 1000 ათტომობილის რალიზებას იმედოვნებს, მერმის კი ეს რიცხვი 1.5-ჯერ უნდა გაიზარდოს. არადა, არცთუ შორეულ, 1998 წელს "კადილაკმა" იქ 3138 ავტომობილი გაყიდა.

ჰეჩბეკ კალიბერით დოჯი ევროპაში დამკვიდრებას აპირებს.

იაპონიაში ამერიკულ ავტომობილებს პრესტიჟულად არავინ მიიჩნევს მათი შედარებით დაბალი ხარისხის გამო. სამაგიეროდ, ურჩევნიათ ისეთი ევროპული ბრენდები, როგორებიცაა "მერსედეს-ბენცი" და "ბეემვე". ისე კი, იაპონიაში სულ 73 დილერი მუშაობს "ჯენერალ მოტორსზე", რომლებიც მეტწილად "კადილაკებითა" და "შევროლე კორვეტით" არიან დაკავებულნი.

ახლა კი გავეცნოთ "კადილაკის" ახალ ავტომობილს, რომელზეც კომპანიის მესვეურები დიდ იმედებს ამყარებენ.

ჟენევის ავტოსალონზე ნაჩვენები სედანი "კადილაკ BLS" ყველაზე მცირეგაბარიტიანი ავტომობილია ამ კომპანიის სამოდელო გამაში და ის ევროპული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ჟენევაში ნაჩვენები მოდელი წინასერიული პროტოტიპია, თუმცა ის პრაქტიკულად მზადაა კონვეიერზე დასადგომად.

სედანი წინაწამყვანთვლიანია და იმავე, "იპსილონ" პლატფორმაზეა შექმნილი, რომელიც უკვე გამოიყენება "სააბ 9-3-ისთვის". მისი ზომებია: სიგრძე 4.68 მეტრი, სიგანე 1.76 მეტრი, სიმაღლე კი - 1.44 მეტრი. იმავე პლატფორმას "სააბის" გარდა უკვე იყენებენ "ოპელ ვექტრა" და "სატურნ აურაც".

"ჯენერალ მოტორსმა" ამ ახალი ავტომობილის წარმოებისთვის მოსამზადებლად 250 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

"კადილაკ BLS" პირველ რიგში, თავისი კომფორტულობითა და მდიდრულად გაწყობილი ინტერიერით გამოირჩევა. აქ თვალში საცემია ძვირფასი მასალებით გაწყობილი პანელები და დეტალები, რომლებსაც ასევე ძვირფასი ხისგან დამზადებული დეკორატიული დეტალებიც ამშვენებს. რაც შეეხება ექსტერიერს, ამ მხრივ, "პატარა კადილაკი" მასზე დიდგაბარიტიანი კომპანიონების დიზაინს მოგვაგონებს.

"ჯენერალ მოტორსის" მესვეურნი ირწმუნებიან, რომ "კადილაკ BLS" ყველაზე კომფორტული ავტომობილია თავის კლასში, რასაც, პირველ რიგში, განაპირობებს სპეციალურად შემუშავებული დაკიდების სისტემა და ხმის საიზოლაციო ახალი მასალების გამოყენება. გაყიდვების დაწყებიდან ცოტა ხანში კი სპეციალური შეკვეთით შესაძლებელი იქნება ავტომატური, ელექტრონული სისტემით აღჭურვილი საკიდარის დაყენება, რომელიც ეგრეთ წოდებული აქტიური საკიდარების კლასს განეკუთვნება და რომელიც სისტემის დრეკადი ელემენტების სიხისტეს მოძრაობის დროს, მართვის მანერისა და საგზაო პირობების შესაბამისად ცვლის. გარდა ამისა, მძღოლს იმის საშუალებაც ექნება, თავად შეარჩიოს საკიდარის მუშაობის რეჟიმი.

"კადილაკ BLS" ძრავების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. მასზე შესაძლებელია როგორც V6, ასევე V8 კონფიგურაციის ძრავის დაყენება. საბაზო ვერსია აღჭურვილია 2-ლიტრიანი V6 ძრავით, რომლის სიმძლავრე 200 ცხენის ძალაა. ტოპ-ვერსიისთვის კი განკუთვნილია V8 კონფიგურაციის, 2.8-ლიტრიანი ძრავი, რომელიც ორი ტურბოკომპრესორის მეშვეობით 275 ცხენის ძალას ავითარებს. მოგვიანებით, ავტომობილი მიიღებს 1.9-ლიტრიან ტურბოდიზელს (რიგში განლაგებული 4 ცილინდრით), რომლის სიმძლავრე 180 ცხენის ძალაა. საბაზო ვერსიების შემთხვევაში, ძრავებთან შეწყვილდება 5-საფეხურიანი ავტომატი, მყიდველის სურვილისამებრ კი შესაძლებელი იქნება 6-საფეხურიანი, მექანიკური კოლოფის დაყენება.

"კადილაკ BLS-ის" გაყიდვები მერმის დაიწყება. მისი წარმოებისთვის გამოყოფილია შვედეთის ტროლჰატანის ქარხანა, რომელიც "სააბს" ეკუთვნის. ახალი სედანი 28-29 ათასი ევრო ეღირება და ის კონკურენციას გაუწევს ისეთ ავტომობილებს, როგორებიცაა "აუდი A4", "მერსედეს-ბენცის" C-კლასის სედანები, მე-3 სერიის "ბეემვე", ასევე "ალფა რომეოს", "იაგუარის", "ლექსუსისა" და "ვოლვოს" შესაბამისი კლასის ავტომობილები.

"კალიბერი" - "დოჯის" ევროპული კოზირი?

"კალიბერი" "დოჯის" პირველი ავტომობილია, რომელიც ევროპაში გასაყიდადაა განკუთვნილი. ეს არის "გოლფის" კლასის მოდელი, რომლის პრემიერა ჟენევის ავტოსალონზე შედგა და რომელიც "დოჯის" სამოდელო გამაში დაიკავებს პოპულარულ მოდელ "ნეონის" ადგილს.

"კრაისლერის" კონსტრუქტორებმა ეს ავტომობილი "მიცუბიშის" სპეციალისტებთან ერთად, C-სეგმენტის პლატფორმაზე დაამზადეს, რომელსაც წინა წამყვანი თვლები აქვს და რომელზეც შესაძლებელია ასევე ყველა წამყვანთვლიანი ტრანსმისიის დაყენება. "დოჯ კალიბერის" გაბარიტებია: სიგრძე 4.140 მეტრი, ბორბლებს შორის ბაზა 2.635, სიგანე 1.740, სიმაღლე კი - 1.530 მეტრი. ჟენევაში ახალი ავტომობილის კონცეპტუალური ვერსია იყო ნაჩვენები, ფრანკფურტში კი "დაიმლერკრასილერი" უკვე წარმოებისთვის გამზადებულ "კალიბერს" წარუდგენს საზოგადოებას.

"კალიბერი" აღიჭურვება ძრავებით, რომელთა შექმნაშიც "დაიმლერკრაისლერის" გარდა მონაწილეობდნენ "ჰიუნდაისა" და "მიცუბიშის" კონსტრუქტორები. ძრავების მხრივ, არჩევანი დიდია, საბაზო მოდელისთვის კი გამოყენებულ იქნება 1.8-ლიტრიანი, 4 ცილინდრის მქონე ძრავი, რომლის სიმძლავრე 140 ცხენის ძალაა. გარდა ამისა, მისთვის განკუთვნილია 2 და 2.4-ლიტრიანი ბენზინზე მომუშავე აგრეგატები, რომელთა სიმძლავრე შესაბამისად არის 150 და 170 ცხენის ძალა. მოგვიანებით "დოჯი" შეუდგება დიზელის აგრეგატებით აღჭურვილი "კალიბერის" გაყიდვებს. ამ ძრავებს ის "მერსედეს-ბენცისგან" მიიღებს.

ევროპულ ბაზარზე "დოჯს" სპორტული, ხელმისაწვდომი ავტომობილების მარკის იმიჯი ექნება. "დაიმსლერკრაისლერის" მარკეტოლოგები იმედოვნებენ, რომ 2007 წლისთვის დოჯი ევროპული ბაზრის დაახლოებით 1 პროცენტს აითვისებს. "კალიბერის" გარდა, კომპანია ევროპაში გაყიდის ასევე კუპე/როდესტერ "ვაიპერს" და უგზოობის ავტომობილს, რომელიც კონცეპტკარ "ნიტროს" საწარმოო ვერსია იქნება. უფრო მოგვიანებით კი "დოჯი" ევროპაში ბიზნეს კლასის სედანების გაყიდვასაც დაიწყებს.

ბაზარზე "კალიბერის" კონკურენტები იქნება ისეთი ავტომობილები, როგორებიცაა "ალფა რომეო 147", "მაზდა3", "სეატ ლეონი" და მათი კლასის მანქანები.

"ფორდის" ორი ევროპული სიახლე

ჟენევაში "ცისფერი ოვალის" საგამოფენო სტენდს ორი საინტერესო ავტომობილი ამშვენებდა. მათგან ერთი ჰეჩბეკ "ფოკუსის" სპორტული მოდიფიკაციაა სახელად "ფორდ ფოკუს ST", მეორე კი კონცეპტუალური მინივენი "ფორდ SAV", რომელმაც ახლო მომავალში უნდა შეცვალოს პოპულარული მინივენი "ფორდ გალაქსი".

ფორდ ფოკუს ST

ფორდ SAV

"ფოკუს ST-ს" შექმნა იმავე კონსტრუქტორებს დაევალათ, რომლებიც ადრე ამზადებდნენ ვერსია RS-ს. ახალი ავტომობილის მთავარი ღირსება მისი ტურბოძრავია, რომელსაც 5 ცილინდრი, 2.5 ლიტრი მუშა მოცულობა, 220 ცხენის ძალა სიმძლავრე და 320 ნ.მ. მაბრუნი მომენტი აქვს. მასთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი, რომელიც მაბრუნ მომენტს წინა წამყვან თვლებს გადასცემს. რაც მთავარია, ორივე აგრეგატი აღებულია "ვოლვოსგან".

ავტომობილს სტანდარტული "ფოკუსისგან" გამოარჩევს წინა ბამპერი უზარმაზარი ჰაერის ამღებით, მოქრომილი გვერდითა ჰაერამღებები, რომლებშიც ინტეგრირებულია ნისლსაწინააღმდეგო მაშუქები, უკანა სტოპ და გაბარიტული მაშუქების მოქრომილი ფოსოები და რა თქმა უნდა, საბარგულის თავზე განლაგებული სპოილერი. გარდა ამისა, სტანდარტული მოდელისგან "ფოკუს ST" განსხვავდება ასევე 18-დუიმიანი ბორბლებით, რომლებზეც ჩაცმულია 225/40 ზომის საბურავები.

"ფოკუს ST-ს" სალონი გამოირჩევა "რეკაროს" წარმოების სპორტული სავარძლებით, რომლებიც ორ ფერშია გაწყობილი. უფრო საინტერესო კი ისაა, რომ უკანა რიგშიც მგზავრებს სპორტული სავარძლები დახვდებათ. მოქრომილ და ალუმინის დეტალებით დამშვენებულ სხვადასხვა ელემენტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ინტერიერში გამოჩნდა ხელსაწყოთა მაჩვენებლების დამატებითი პანელი, რომლის მეშვეობითაც მძღოლს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ტურბინაში წნევის შესახებ, ასევე ძრავის ტემპერატურისა და ზეთის სისტემაში წნევის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ახალმა "ფოკუსმა" ევროNCAP-ის მეთოდიკით უსაფრთხოების ასპროცენტიანი რეიტინგი მიიღო, რაც უნიკალური მაჩვენებელია ამ კლასის ავტომობილებისთვის. ეს რეიტინგი დაფიქსირდა როგორც ფრონტალური, ასევე გვერდითი ქრეშ-ტესტების დროს.

"ფოკუს ST-ის" გაყიდვების დაწყება წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. უფრო მოგვიანებით კი კომპანია მყიდველს შესთავაზებს "ფოკუსის" უფრო ექსტრემალურ, RS მოდიფიკაციას, რომელიც რალის მსოფლიოს ჩემპიონატის მოთხოვნების შესაბამისად მომზადდება და 280-ცხენისძალიანი ძრავით აღიჭურვება.

რაც შეეხება მოდელ "ფორდ SAV-ს" (SAV - სპორტ აქტივიტი ვიჰაიქლ), მისი შექმნისას "ფორდის" ევროპული შტოს დიზაინერებმა აქცენტი გააკეთეს სპორტულ სტილსა და აგრესიულობაზე, რაც ასე აკლდა მომრგვალებული ფორმებით გამორჩეულ, წინა თაობის "გალაქსის".

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ კოცეპტუალურ ავტომობილში მთავარი დინამიური დიზაინია, რომელიც მინივენს სპორტულ იერს სძენს. ავტომობილის სპორტულ გარეგნობას ხაზს უსვამს ძლიერ დახრილი საქარე მინა, ბორბლების გამობერილი თაღები, დიდი ზომის რადიატორის ბადე, ასევე სახურავის უკან მოთავსებული მცირე ზომის სპოილერი. გარდა ამისა, დიზაინერთა გარჯის წყალობით, ავტომობილს არ აქვს ამერიკული მინივენებისთვის დამახასიათებელი, ავტობუსის სტილის გარეგნობა, რაც პირველ რიგში, უკანა, დიდი ზომისა და ტრაპეციის ფორმის საყრდენის დამსახურებაა. ამ ფონზე, არც ისე დიდი ზომისად მოჩანს 21-დუიმიანი ბორბრლები. კონცეპტკარის სპორტულობას ასევე ხაზს უსვამს უკანა ბამპერის ქვეშ განლაგებული აეროდინამიკური ელემენტი, რომელიც დიფუზორის სახელითაა ცნობილი.

სპორტულ სტილშია შესრულებული ინტერიერიც. აქ ტყავით გაწყობილი დეტალები დომინირებს. ტყავშივეა ჩასმული საჭის რგოლიც, ზოგი დეტალი კი ალუმინისგანაა დამზადებული და ტიტანისფრად შეღებილი. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, "ცისფერმა ოვალმა" სერიული "გალაქსის" ასევე მდიდრულად გაწყობაც ისურვოს.

სალონში ერთი უცნაურობაც იგრძნობა - წინა სავარძლები სპორტულია (ამაში გასაკვირი არც არაფერია, ეს ხომ სპორტული ავტომობილია), მაგრამ სამაგიეროდ, მგზავრებს მოდელ "ფორდ C-მაქსისგან" აღებული უკანა სავარძლები დახვდებათ, რომლებიც წინ და უკან გადაადგილდებიან. თუმცა, როგორც "ფორდის" წარმომადგენლები აცხადებენ, სერიულ ვარიანტში ამგვარს არაფერს შესთავაზებენ მყიდველს. სერიულ "გალაქსის" ექნება 5 ძირითადი, ორი კი სათადარიგო სავარძელი. სამაგიეროდ, გარედან კონცეპცია უმნიშვნელო ცვლილებებს თუ განიცდის. ასე რომ, "ფორდის" მინივენები თანდათან დაკარგავენ მათთვის არასასურველ, პატარა ავტობუსის იმიჯს და შესაბამისად, უფრო მიმზიდველნი გახდებიან მყიდველისთვისაც.

სახელი ____________ მისამართი

გვარი ____________

ასაკი ____________ საკონტაქტო ტელეფონის

სიმაღლე ____________ ნომრები ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :

დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა

სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

მთხოვთ შევავსოთ გარკვევით ბლანკი შევსება

[illegible]

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

მიმაგრეთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ იქნება ხაზით გამოსახული, მაგრამ საქმე გარკვეული უნდა იყოს. მიმაგრეთ, ფოტოსურათს უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსადეგი უნდა იყოს ერთი წლის განმავლობაში.

სკანვორდი

- მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში
- ქალი ბასკების ენაზე
- სამი მუსიკოსი
- რაფაელის ხელოვნური / მიქელანჯელოს ქანდ. ლიდერი
- დოსტოევსკის ლიტერატურული პერსონაჟი
- მამა არაბების სახელი / ოლიმპიადების ჩემპიონი ***
- ჩაჰარი თემი მუსიკაში / ინდოეთის წმინდა მდინარე
- წამლის აურზაური
- ხის გამონაზარდი
- იაპონელი მწერალი / ბიბლიური სახელი
- განათლება ბასკების ენაზე
- მწვავე სუნის უფერული გაზი
- ვაჟას "ვეფხის მჭამელის" პერსონაჟი
- სოკოების შემსწავლელი მეცნიერება
- სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულება
- კოლიზეუმის მსახიობი ჯუდ ***
- ინდური რელიგიურ-ფილოსოფ. მოძღვრება
- სამხრეთის სატრფო
- ქალაქი რუმინეთში / საინფორმაციო გადაცემა ორტ-ზე
- "ვინი პუხის" ავტორი
- რომან "ჩრდილოს" ავტორი
- ეფიზოდის ქვიანი ნაპირი
- *** დუგლასი
- იმპერატორის ლურჯი საღებავი
- საფეხლი სოკოს სახეობა
- ბორის მჭადის ვარიდი
- კრივის მოედანი
- სუსტი ქარი იაპონელის ენა
- გამოცხრებული ქალაქი
- ექიმანი "თეთრ ბამბუკებში"
- სახელის შემოკლება ან მოხსნა
- დიდი ქვა
- კალათბურთე-ლი შაქილ ***
- ისრაელში დაბადებული ებრაელები
- თოვლის კაცი
- ნადირობის რომაული ქალღმერთი
- ამშ-ს შტატი

წინა სკანვორდის პასუხები:

[illegible]

TV პროგრამა

27 აპრილი

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ვეფხვების მომთვინიერებელი" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა. **22.45** ჩემპიონთა ლიგა. **02.00** ჩემპიონთა ლიგა. **03.45** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.50** (შვეიცარია), 03.15(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. **07.00** ამაზონიის უცნობი ტომები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ბატონი მონდის გაქცევა. მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ გორეტა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** გადაცემა: პირადი საუბრები. **24.30** შოაჰ. მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ ლანზმანი. **03.35** დამხრჩვალი ქვეყანა. დოკ. ფილმი. **04.20** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

###

08.00 "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "ხელოვნური ადამიანი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - ზ. ქარუმიძე **16.30** დოკ. ფილმი "შტრაუსი - ვალსის მეფე" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "უდაბნოს შვილები" **19.40** "შიდსი მეგობრობით არ გადადის" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "წინაპრები" **23.00** ახალი პროექტი - "საქართველო და ევროპა" **23.30** კინოსამყარო "სიკვდილით მოვაჭრენი" (15) **02.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "ტაქსის მძღოლი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "პარადამური", "მხოლოდ ხელოვანთა კადრები", "შეტყობინება მთავრობის სახელზე". **00.00** მხ. ფილმი "მატყუარა" (18) (როზანა არკეტი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **21.45** დოკ. ფილმი "დიზაინი" **22.10** კინოსეანსი "თუში მეცხვარე"

იმედი

07.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 17.10, 02.40** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დავძიროთ მონა" (გ) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.30** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "ოქროს თასი" (12) (უ. თურმანი) **02.00** ნუცას სკოლა (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** კომედია "ნაციონალური პოლიტიკის თავისებურებანი" **13.00** თრილერი "შიში ჩ" **14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** "აქტუალური მინიატურები" **15.15** მხ. ფილმი "ნორმალური" **17.55** მულტფილმი **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "ცნობილ ჯენტელმენთა ლიგა" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "ლამაზი არსებანი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ЗВЕЗДА ЭПОХИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Владимир Литвинов в боевике **"ЗОЛОТО ПАРТИИ" 14.00** Док. фильм "Красота из-под скальпеля". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Последний роман обольстителя". **19.50** Сериал **"ОХОТА НА АСФАЛЬТЕ". 21.00** Время. **22.40** Кремль-9. "Дорогой Никита Сергеевич". **2**-я с. **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Бессмертная война. Черчилль. Железные объятия союзника". **00.30** "Сканер". "Восстание роботов". **01.00** Майкл Дуглас в комедии **"ВОЙНА РОЗ".** После семнадцати лет совместной жизни Оливер и Барбара Роз решают развестись. Дети выросли, а Барбара - натура деятельная и предприимчивая. Она устала сидеть дома и решает направить ключом бьющую энергию в деловое русло. Но ее мужу, респектабельному чиновнику, это намерение жены совсем не по душе. Только Барбаре нет до мужа никакого дела. Она делит дом на две половины. Теперь границы обозначены. Пора переходить к военным действиям. По правде сказать, кошка с собакой жили бы лучше. **03.20** Что? Где? Когда? **04.30** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Особо опасен! **10.50** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 11.55** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.30** Чистосердечное признание. **14.05** Худ. фильм **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 2**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. СМЕРТЬ В ПРЯМОМ ЭФИРЕ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 02.25** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

კრისტიან დიორი ბავშვებისთვის

8 ივნისს ლონდონის გარეუბან ნაითსბრიჯში ისეთი პრეზენტაცია იგეგმება, რომ მოდის სამყარო სუნთქვაშეკრული ელის. კრისტიან დიორის სახლი პატარებზე კონცენტრირდება და ჰარიეტის ქუჩაზე ახალ მაღაზიას ექსკლუზიურად მათთვის ხსნის. Dior Baby - დიორის ბავშვი - ასე ჰქვია სავაჭრო ცენტრს, რომელიც პატარებს ძვირფასი ტანსაცმლის გემოვნებით ტარებას თავიდანვე მიაჩვევს.

კოლექცია მათთვის, ძირითადად, დიდებისთვის შეკერილი ტანსაცმლის ზომების დაპატარავების შედეგად შეიქმნა. პატარების მოდურობაზე კრისტიან დიორის სახლის ვარსკვლავმა დიზაინერებმა იზრუნეს.

მაღაზია ტრადიციული პომპეზურობით გაიხსნება. თაროებზე ხელით შეკერილი კაბები, ბეწვის თბილი ქურთუკები, შარვლები, ფეხსაცმელი და ათასი სხვა ბავშვური აქსესუარი გაიყიდება. ცხადია, კოლექციის უმრავლესობას დიორის ცნობილი ლოგო დაამშვენებს. ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ ცდუნებას ვერც ერთმა მშობელმა ვერ გაუძლოს და საკრედიტო ბარათის ნახევარი იქ დატოვოს. შვილებს ქაშმირის კაბა შეუძინოს, მაქმანებიანი სახელოებით, მერე ფეხსაცმელიც - რომელიც ამ კაბას შეეფერება. ანდა ყვავილებიანი ქვედაბოლო და ბოტები, სამხედრო ტიპის შარვლები და სათხილამურო აქსესუარები. ფასები 15 გირვანქა სტერლინგიდან დაიწყება და ზევით აიწევს.

პრეზენტაცია მწვანეში ჩაფლულ ბაღში მოეწყობა და ვარსკვლავებით იქნება დახუნძლული. მასპინძლობას "დიორის" სახე მოდელი ლიბერტი როსი გასწევს. თანაც ის დედობის სფეროშიც კომპეტენტურია - მან ახლახან იმშობიარა. "დიორის" ყველაზე ექსცენტრიკული დიზაინერი ჯონ გალიანო კი სტუმრებს კიდევ ერთ ცდუნებას შესთავაზებს - ფუმფულა დათუნას, რომელიც დიორის მაღაზიაში გახსნიდან პირველი თვის განმავლობაში გაიყიდება და შემოსული თანხა საქველმოქმედო ცენტრს გადაერიცხება.

კრისტიან დიორის მთავარი კონკურენტი ბავშვების სფეროში "ბარბერი" გახლავთ. ამერიკის ელიტარული სავაჭრო კატალოგი "ნიმან მარკუსი" უკვე წარმატებით ჰყიდის "ბარბერის" ახალ კოლექციას პატარებისთვის - საცურაო კოსტიუმებით, კაბებით, ფეხსაცმელით და აქსესუარებით. ცხადია, ყველაფერს "ბარბერის" ტრადიციული და სუპერცნობილი ზოლები ამშვენებს.

საქართველოს "წითელი ნუსხის" შესახებ

საქართველოს მეცნიერთა აკადემიასთან შეიქმნა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კომისია, რომლის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია კანონით N 2356-IIს - საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ.

ამავე კანონის მიხედვით, დღეს მიღებული წითელი ნუსხა დროებით ხასიათს ატარებს და უნდა შეიცვალოს, 2005 წლის 1 ივლისამდე მუდმივმოქმედი ნუსხით, რომლის შემდგომი შესწორება შესაძლებელი იქნება განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. აღნიშნული კანონის მიხედვით, წითელი ნუსხა უნდა შეესაბამებოდეს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) საბჭოს მიერ დამტკიცებული "წითელი ნუსხის" კრიტერიუმებს.

ზემოაღნიშნული კომისია ადგენს საქართველოს "წითელი ნუსხის" პროექტს, რომელსაც გადასცემს დასამტკიცებლად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. წინადადებები გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ამა თუ იმ სახეობის საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანის თაობაზე შეიძლება წარადგინოს მოქალაქემ, სამეცნიერო-კვლევითმა, სასწავლო ან სხვა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ.

კომისია მოგმართავთ თხოვნით მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები საქართველოს ფლორისა და ფაუნის ცალკეულ სახეობათა ჩართვის შესახებ საქართველოს წითელ ნუსხაში ამა წლის 10 ივნისამდე. თქვენს მიერ მოწოდებულ ნუსხას თან უნდა ერთვოდეს იმ ლიტერატურის მითითება, რომელზე დაყრდნობითაც არის მოცემული ტაქსონის ლათინური სახელწოდება და იმის დეტალური განმარტება, თუ რატომ თვლით, რომ თქვენს მიერ მითითებული სახეობა უნდა შევიდეს საქართველოს "წითელ ნუსხაში". წერილებს, სადაც აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება მითითებული, კომისია არ განიხილავს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები და კითხვები ელექტრონული ფოსტით მისამართზე: bio@gw.acnet.ge ან წერილობით მისამართზე: 0108 თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ბიოლოგიის განყოფილება.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

დავით თარხნიშვილი
ბიოლ. მეცნ. დოქტორი, კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი:

95 30 81
96 71 78

ნაზი გრძნობის მამაკაცური ხიბლი

ელტონ ჯონი ცოლს ირთავს და თან თხოვდება

დაივიწყეთ, რომ სიყვარული ბრმაა ან ვერტიკალური და ბრუნვადი - ბოლო წლებმა დაამტკიცეს, რომ ეს გრძნობა მამაკაცურიცაა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ევროპაში ლამის მოდურად ქცეულ ჰომოსექსუალურ ქორწინებებს მალე კიდევ ერთი ელიტარული კავშირი მიემატება. როგორც იქნა, სერ ელტონ ჯონმა დევიდ ფერნიშთან ურთიერთობის დაკანონება გადაწყვიტა და დეკემბერში ქორწილის გადახდასაც აპირებს.

8 აპრილს გამართულ პრინც ჩარლზისა და კამილა პარკერის ქორწილის შემდეგ ყველა ფიქრობდა, რომ ეს წლის ყველაზე ღირშესანიშნავი მოვლენა იქნებოდა, მაგრამ ტაბლოიდები ახალი სენსაციის მომსწრენი გახდნენ. თავის ნაზი ქორწინებით პოპ მუსიკის ერთ-ერთი მეფე მსოფლიოს კიდევ ერთხელ გაოცებას გეგმავს.

58 წლის ელტონ ჯონი და 42 წლის ფერნიში უკვე 11 წელია, ერთად არიან. ამ დღეს ისინი დიდი ხანია ელოდებიან. 2005 წლის 7 დეკემბერს დიდ ბრიტანეთში ძალაში შევა კანონი, რომელიც ერთი სქესის მოქალაქეებს ოქროს რგოლების გაცვლის უფლებას მისცემს. პირველი ქორწინების ჩატარება კი კანონის ძალაში შესვლიდან 15 დღის შემდეგ შეიძლება. ვინაიდან ელტონ ჯონმა ქორწინების სურვილი დეკემბერში გამოთქვა, ეს, სავარაუდოდ, 21 დეკემბრის შემდეგ მოხდება. ამ კავშირით ჯონი და ფერნიში იმავე უფლებებს მიიღებენ, როგორიც ჩვეულებრივ ანუ ჰეტეროსექსუალურ ოჯახებშია.

მომღერალი ერთხელ უკვე იმყოფებოდა ქორწინებაში. 1984 წელს მან ცოლად რენატა ბლაუელი მოიყვანა. ეს კავშირი მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელდა, რადგან ჯონი ცოლისგან მალულად კაცებთანაც დაძვრებოდა. ფერნიში ელტონ ჯონისთვის არა მხოლოდ საყვარელი მამაკაცი, არამედ საქმიანი პარტნიორიცაა. თავის სიყვარულს კი შეყვარებულები ყოველთვის რომანტიკულად გამოხატავენ. მაგალითად, წმინდა ვალენტინის დღეს ელტონ ჯონმა ლას ვეგასის ცაში უზარმაზარი გაბერილი ვარდები გააშვებინა, რითაც ფერნიშს აგრძნობინა, რომ სამუდამოდ მისი იქნება.

ჰომოსექსუალისტების ქორწინების წინააღმდეგი არც ანგლიკანური ეკლესია იქნება, რადგან მის რიგებში არაერთი გეი მღვდელთმსახური ირიცხება. ამან კი ბოლო დროს ინგლისური ეკლესიის რიგებში განხეთქილებაც გამოიწვია.

ქორწინების ცერემონიალი უინძორში ჩატარდება, რაც მომღერლის ჯიბეს რამდენიმე მილიონი სტერლინგით დააცარიელებს. პაპარაცებმა უკვე დაიწყეს საუკეთესო კადრების გადაღებისთვის სასურველი ადგილების შერჩევა.

სოტკილავა და ქასრაშვილი ჩამოვიდნენ

თბილისში მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები: ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი ჩამოვიდნენ. მომღერლები ვლადიმირ მატორინთან და ანა აგლატოვასთან ერთად თბილისში პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდმა "იავნანამ" მოიწვია. თავად პაატა ბურჭულაძე თბილისში დღეს ჩამოვა. ამ დღეს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკდემიურ თეატრში მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტების საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ. კონცერტში ასევე მიიღებენ მონაწილეობას: ბადრი მაისურაძე, ირინა მაკაროვა და დაინიუს სტუმბრასი.

საქველმოქმედო საღამო გაიხსნება შვიდწუთიანი ფილმით, რომელშიც გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის პრობლემები იქნება წარმოდგენილი.

29 აპრილს პაატა ბურჭულაძე მოსკოვში გაემგზავრება და რუსეთის პატრიარქის ალექსეი მეორეს ლოცვა-კურთხევით სააღდგომო ღამეს მაცხოვრის ტაძარში იგალობებს. ***ინტერ-პრესი***

მისია სამხრეთ საქართველოში

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და სამინისტროს პრევენციული კონსერვაციის სამმართველოს სპეციალისტები, სარეკონსტრუქციო-სარესტავრაციო სამუშაოების დასაგეგმად - ახალციხე, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში, გაემგზავრნენ.

ბორჯომი-ახალციხის ეპისკოპოს - მეუფე თეოდორესა და სამცხე-ახალციხე პრეზიდენტის რწმუნებულ გოგა ხაჩიძესთან ერთად განიხილება ზარზმის, ურავლის, აგარისა და თოკის მონასტრის არქიტექტურისა და ფერწერის სარეაბილიტაციო სამუშაოთა საორგანიზაციო საკითხები. ძეგლთა საპროექტო-კვლევითი და სარესტავრაციო სამუშაოები, სავარაუდოდ, გაზაფხულის ბოლოს დაიწყება. სამუშაოებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს.





წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.